პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; გამცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— პროფინტერთან დაარსდა ზანგ მუშების საერთაშორისო პროფკომიტეტი.
— გაფიცულთა დემონსტრაცია ნიუ-ბედფორდში.
— მაქს ჰელცის შეხვედრა ხემნიცში.
— ლენინგრადში ჩამოვიდა ბე ?ა კუნი.
— დამთავრდა ობრეგონის მოკვლის საქმის გამოძიება.
— გომინდანის მიწვევა მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე.
— ინდუსების შეტაკება მაჰმადიანებთან ბანგალორაში (ინდოეთი).
— ამხ. სერებროვსკი დანიშნულ ია საბჭოთა კავშირის ფინანსკომის კოლეგიის წევრად.

ხუთშაბათი, 2 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 177 (2220)

ინგლისი და ეგვიპტე

დიდმნიშვნელოვანი ამბები, რომლებიც ვითარდება ამჟამად ეგვიპტეში, ერთხელ კიდევ იპყრობს ყურადღებას, რადგან მათ გამოაქვთ დღის სინათლეზე ერთი მხრით იმპერიალისტური სახელმწიფოების (ამჟამად ინგლისის) ვერაგობა და მეორეთი კი კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების გამანთავისუფლებელი მოძრაობის სუსტი მხარეები.

ეგვიპტე არ არის არც პირველი და არც, რასაკვირველია, უკანასკნელი ქვეყანა, რომლის გადაყლაპვა სურს ინგლისის იმპერიალიზმს. როგორც თავისი ეკონომიური (ბამბა, დაბანდებული კაპიტალი) ისე სტრატეგიული მნიშვნელობით (სუეცი) ეგვიპტეს აქვს ყველა „შანსები“ იქნეს ლონდონელ ყაჩაღების ყურადღების საგნად. ეს ასეც არის. ინგლისის აქტიურ პოლიტიკას აქ თავისი გრძელი და სისხლიანი ისტორია აქვს ისევე, როგორც მსოფლიოს არა ერთ კუნჭულში. ამ აქტიური პოლიტიკის უკანასკნელი ორმოცი წლის მიზანი იყო და არის მოსპობა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობისა და იქ უკონტროლო პარპაში. და ვინაიდან ინგლისი იქაც, როგორც სხვა თავის კოლონიებში და ნახევრად კოლონიებში, წააწყდა წინააღმდეგობას, ამიტომ ეს წინააღმდეგობა, ეს ბრძოლა შეადგენს შინაარსს ამ ორი ქვეყნის ურთიერთ დამოკიდებულებისას. ამ ბრძოლის უკანასკნელი აქტი იყო პარლამენტის გარეკვა და ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი მეფის და მისი სამინისტროს დიქტატურის გამოცხადება ერთი მხრით და მეორე მხრით—დათხოვნილი დეპუტატების (სამი მეოთხედი პარლამენტის შემადგენლობიდან) შეკრება, შეკრება და ახლოვებით ისეთივე ხასიათის, როგორიც იყო რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში გარეკილი პირველი დუმის დეპუტატების აქტი.

სულ უკანასკნელ ხანებამდი ეგვიპტეს განაგებდა ნაჰას ფაშის კოალიციური (ორი პარტიისაგან) კაბინეტი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ქვეყნის მართვა - გამგეობას სერვატ ფაშის მთავრობის დაშლის შემდეგ, რაც შედეგად მოჰყვა მის მიერ ლონდონში დადებული ხელშეკრულების უარყოფას პარლამენტის მიერ. კოალიციური პარტიებიდან ყველაზე უფრო ძლიერი იყო პარლამენტში ვაფდის (ნაციონალისტური) პარტია, რომელსაც თითქმის 200 დეპუტატიდან ეკუთვნოდა 142 ადგილი, ბევრად სუსტი იყო მასთან შედარებით კოალიციის მეორე მონაწილე ეგრედ წოდებული კონსტიტუციურ - ლიბერალური პარტია (28 დეპუტატი) კიდევ უფრო სუსტი იტიხადის (კონსერვატიული) სასახლის პარტია და სულ უმნიშვნელო ჯგუფი ვატანისტების ე. ი. უკიდურესი ნაციონალისტების. პარლამენტის უძლიერესი პარტია, ვაფდის პარტია, გამოხატავს ეგვიპტეს წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს, კონსტიტუციურ-ლიბერალები არიან „ბრწყინვალე“ წოდებისა და მსხვილი ბურჟუაზიის პარტია. ყველაზე უფრო ძლიერი პარტია როგორც პარლამენტში ისე მის გარედ, პარტია ნაციონალისტების (ვაფდი) ნაჰას-ფაშას მეთაურობით ხელმძღვანელობდა და დღესაც ხელმძღვანელობს ეგვიპტეს განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რამდენადაც წვრილი ბურჟუაზია საზოგადოდ შეიძლება იყოს ამ განთავისუფლების ფაქტორი. უკვე სერვატ ფაშას კაბინეტის გადადგომა და ნაჰას ფაშას მთავრობის შედგენა ჰქმნიდა ახალ საკონფლიქტო მდგომარეობას ეგვიპტესა და ინგლისს შორის. მაგრამ საჭირო იყო რაიმე ხელმოსაკიდებელი ფაქტი, რომ ლონდონს გარეგნულად მაინც გაემართლებია თავისი რეპრესიები ამ მთავრობის წინააღმდეგ. თუ 1924 წელს ასეთი რეპრესიების საბაბს შეადგენდა ინგლისელ გენერალის ლისტეკის მოკვლა, დღეს ასეთივე როლი ითამაშა კანონმა კრებების შესახებ, რომელიც შეიტანა პარლამენტში ნაჰას-ფაშამ და რომელიც ფართო უფლებებს აძლევდა მთავრობას, კერძოდ ნაციონალისტურ პარტიას, თუ ის მიღებული იქნებოდა პარლამენტის მიერ. მიუხედავად ინგლისის მკაცრი ჩარევისა კანონი არ იქნა უარყოფილი, მხოლოდ ერთი თვით გადასდეს მისი გარჩევა და საბოლოოთ მიღება. ამ დროის განმავლობაში ამუშავდა ლონდონის დიპლომატია და აიძულა მისი მომხრე ელემენტები ეგვიპტეში ჩამოეგდოთ ნაჰას ფაშას მთავრობა. დაიწყო კამპანია მის წინააღმდეგ. „ციხე“ შიგნიდან გატყდა. კაბინეტს ჩამოსცილდა ინგლისის იმპერიალიზმის კონსტიტუციურ- ლიბერალური ლაქიები. ნაჰას ფაშა გააფრთხილეს თავისი ნებით ეთქვა უარი მთავრობის თავმჯდომარეობაზე; როდესაც ამით შედეგს ვერ მიაღწიეს წამოაყენეს მისი და ზოგი ცნობილ ვაფდისტის, როგორც მაგალითად პარლამენტის თავმჯდომარის და კიდევ ერთი დეპუტატის წინააღმდეგ ბრალდება იმაში, რომ თითქოს ყველა ეს პირები სარგებლობდნენ თავიანთი მდგომარეობით სახელმწიფოში, რომ დღევანდელი მეფის, ფუადის, მიერ წართმეული მამულები დაუბრუნონ პრინც სეფ-ედინის მემკვიდრეებს, რომელიც ერთ დროს გამოვიდა დღევანდელი მეფის წინააღმდეგ და შემდეგ, დაპატიმრებული და გადაყვანილი ინგლისში, გაიქცა საპყრობილედან. ამნაირად ფუად მეფე, აყენებდა რა ამ ბრალდებას ნაჰას ფაშას წინააღმდეგ, აკეთებდა ამით არა მარტო თავის პირად საქმეს, არამედ ამ შემთხვევაშიაც მისი პირადი ინტერესები მჭიდროდ დაკავშირებული შეიქნა ინგლისის მთავრობის ინტერესებთან, რამდენადაც ლონდონის კაბინეტიც ცდილობდა თავისი სავალი გზა ეგვიპტეს დასამონებლად განეთავისუფლებია ისეთი ფიგურისაგან, როგორსაც მისთვის წარმოადგენდა ვაფდისტების ბელადი. ფუადმა და ლიბერალურმა პარტიამ ისარგებლეს ამ ბრალდებით, რომელიც მათ წაუყენეს (სრულიად უსაფუძვლოდ, როგორც ამბობენ) ნაჰას ფაშას და ჩამოაგდეს მისი მთავრობა.

ახალი მთავრობის შედგენა მიანდვეს ლიბერალების ბელადს მოჰამედ მაჰმუდ ფაშას (რომლებსაც, როგორც ზემოთ ვთქვით, 28 ხმა გააჩნია მთელ პარლამენტში). ასეთ პირობებში მისი „ცხოვრება“ არ იქნებოდა ტკბილი და აი, პარლამენტი გარეკეს. ლონდონის კაბინეტმა, დაყრდნობილმა მეფეზე, მემამულეებზე, და მსხვილ ბურჟუაზიაზე, რომლებიც შეადგენენ პარტიულ უმცირესობას ქვეყანაში და უმნიშვნელო ჯგუფს პარლამენტში, უნდა მართოს ეგვიპტე უპარლამენტოთ სამი წლის განმავლობაში. მანამდი კი გაატარებენ საერთოდ კონსტიტუციის და კერძოთ საარჩევნო უფლების რევიზიას იმ აზრით, რომ თუ ეს ლონდონს მოეპრიანება და გადაწყდება ახალი პარლამენტის არჩევა, ეს უნდა მოხდეს ახალ საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს უზურპატორების შემდგომ პარპაშს და ნაციონალისტური პარტიის განდევნას სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზიდან.

შესძლებენ თუ არა ამას მეფე და მისი ბანდები რომელთა ზურგს უკან იფარება ლონდონი? უეჭველად შესძლებენ, მაგრამ დროებით. და ესეც იმ შემთხვევაში, თუ არ ამოძრავდა ის ფართო მასსა, რომელსაც მხოლოდ ერთი შეუძლია ააშოროს ეგვიპტეს იმპერიალიზმის მოქნეული ხმალი.

როგორც დეპეშებმა გადმოგვცეს, ამ დღეებში, მიუხედავად ყოველგვარი კრებების აღკვეთისა, რაც პარლამენტის გარეკასთან ერთად იქნა გამოცხადებული, შეიკრიბენ კერძო ბინაზე ვაფდის პარტიის წევრები, პარლამენტის დეპუტატები ე. ი. მთელი პარლამენტის სამი მეოთხედი, გამოაცხადეს დათხოვნილი პარლამენტი აღდგენილად თავის კანონიერ-კონსტიტუციურ უფლებებში და მოითხოვეს მოჰამედ მაჰმუდ ფაშის მთავრობის გადადგომა. ამასთანავე აღიარეს არა კანონიერად ყოველი შეთანხმება, რომელსაც ამ მთავრობამ მიაღწია ან სურს მიაღწიოს ლონდონთან. ეს თითქოს აქტიური წინააღმდეგობის დასაწყისს მოასწავებს. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად არის ასეთი. ფაქტიურად ვაფდის პარტია არ წარმოადგენს ისეთ ძალას, რომელიც შესძლებს ლონდონის გეგმების ჩაფუშვას. ამას მოახერხებს მხოლოდ ფართო მასიური მოძრაობა, რომლის შიში ლონდონთან ერთად ვაფდის პარტიასაც აქვს. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ვაფდისტ-დეპუტატების ეს ჟესტი ამზადებს სულიერ განწყობილებას, რომელიც ერთერთ ელემენტად შევა გარემოებათა საერთო ჯამში, რომელიც ხელს შეუწყობს ფართო მასების ამოძრავებას. რამდენადაც ეს მასიური მოძრაობა ჩამოყალიბდება ნაციონალისტებისაგან დამოუკიდებლად და დაადგება საკუთარ გზას, იმდენად წაიწევს წინ ეგვიპტეს დამოუკიდებლობის და იმპერიალიზმთან ბრძოლის საქმეც.

მუშებისა და გლეხების ამ რევოლიუციონური მოძრაობის გარეშე არ არის ეგვიპტეს, ისე როგორც სხვა დამორჩილებული ქვეყნების. ხსნა დამონებულ იმპერიალიზმისაგან. ამ დებულებას არ ესაჭიროება დიდხანს მტკიცება ინდოეთისა და ჩინეთის მაგალითების შემდეგ.

პოლონეთის დიპლომატიის მანევრი

გუშინ საკავშირო დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა პოლონეთის მოსკოველი ელჩის პატეკის იმ ნაბიჯების შესახებ, რომლებიც მან გადასდგა ბუხარინის გამოსვლის გამო კომინტერნის კონგრესზე. როგორც საკავშირო დეპეშათა სააგენტო გვაუწყებს, პატეკი ცდილობდა განემარტა ბუხარინის სიტყვა, როგორც პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევა და როგორც საბჭოთა კავშირსა და პოლონეთის სამშვიდობო ხელშეკრულების მეხუთე მუხლის დარღვევაც კი. ამავე დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ პოლონენია; ამ კამპანიის დასაყრდენ პუნქტს კი წარმოადგენს ის „იდეა“, რომელსაც პოლონეთის ელჩი ანვითარებდა კარახანთან ლაპარაკის დროს.

საბჭოთა საზოგადოებრიობა იმდენად მიეჩვია პოლონეთის პრესისა და სახელმწიფო მოღვაწეების მტრულ გამოსვლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომ ეს „ანტიკომინტერნული“ გაავფთრება მოულოდნელი არ არის და არც განსაკუთრებულ გაოცებას იწვევს. ჩვენ არ ვაპირებთ ხელახლა დისკუსიის დაწყებას კომინტერნისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის ურთიერთის პრესამ გააძლიერა მორიგი კამპათობის შესახებ, რადგან ვფიქრობთ, ეს იქნება განმეორება იმისა, რაც არა ერთხელ გვითქვამს და განვიმარტავს თუნდაც ინგლისელი შუბლმაგრების ანალოგიური გამოსვლების გამო. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ძალიან კარგად იციან, რომ ყოველთვის, როდესაც საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილ ამა თუ იმ ქვეყნის წრეებს სურთ ანტისაბჭოთა ნაბიჯის გამართლება, სცენაზე ჩნდება ლეგენდა საბჭოთა მთავრობასთან კომინტერნის კავშირისა და ამა თუ იმ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩარევის შესახებ, რადგან ეს ლეგენდა საბაბს წარმოადგენს ანტისაბჭოთა მუშაობისათვის.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა არსებობს, მოსკოვში კომინტერნის არა ერთი კონგრესი გამართულა, მაგრამ დღემდე ამის გამო პოლონეთის მთავრობას არავითარი პროტესტი და საჩივარი არ განუცხადებია. და მხოლოდ ეხლა, 1928 წელს, როდესაც კომინტერნის კონგრესზე განხილულ იქნა საკითხი პოლონეთის იმპერიალიზმის სამხედრო სამზადისისადმი, პოლონეთის მუშათა კლასისა და პოლონეთის კომპარტიის დამოკიდებულების შესახებ, პოლონეთის მთავრობამ მიზანშეწონილად სცნო მოლიპულ გზაზე დადგომა. ეს კი ყველაფერს ადასტურებს, გარდა იმისა, რომ პოლონეთის მთავრობას სურდეს ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა კავშირს არა ერთხელ დაუმტკიცებია და ახლაც უმტკიცებს პოლონეთს, რომ მას მშვიდობიანობა სურს და მუდამ დაინტერესებულია, რომ ნორმალური ურთიერთობა არსებობდეს ორსავე ქვეყანას შორის. წინააღმდეგ პოლონეთის პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირი ყოველგვარ ზომას ხმარობდა და ხმარობს ამ ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ამიტომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მორიგი გამოსვლისათვის—ბუხარინის სიტყვის გამოყენება შეუძლებელია არ ჩავსთვალოთ პოლონეთის მთავრობის უხეირო ცდად, რომ ეს სიტყვა იარაღად იხმაროს რაღაც წინდაწინვე დასახული პოლიტიკური მიზნებისათვის.

რაკი ვიცით პოლონეთის დამოკიდებულება ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმისაგან, წინდაწინვე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ პოლონეთის მთავრობის გამოსვლა ბუხარინის სიტყვის გამო პარიზისა და ლონდონის „სპეციალური დავალების“ შესრულებას წარმოადგენს, რისთვისაც პოლონეთს სათანადო „ჯილდოს“ მიღების იმედი აქვს საერთაშორისო ასპარეზზე. შეიძლება ეს ჯილდო იყოს ლიტვასთან გასწორების დასტური ან გამარჯვებული სახელმწიფოების ზედმოქმედება გერმანიაზე. ასეთ „სპეციალურ დავალებას“ პოლონეთი პირველად არ ასრულებს. საკმაოა, მაგალითად, მოვიგონოთ ყბადაღებული „ზინოვიევის წერილი“, რომელიც დაამზადა პოლონეთის პოლიტიკური პოლიციის თვალსაჩინო მოხელემ აციოროვსკიმ.

ამავე დროს პოლონეთის გამოსვლა უნდა ჩავთვალოთ პოლონეთის მთავრობის დივერსიად, რომელსაც მიზნად აქვს მიაფუჩჩოს ის ფაქტი, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე, პოლონეთის მთავრობის დახმარებით მოქმედებენ საბჭოთა კავშირთან აქტიურად მებრძოლი თეთრგვარდიელთა ყოველგვარი ტერორისტული ორგანიზაციები. ვოიკოვის მოკვლამ, მისი მკვლელის კავერდას გასამართლების კომედიამ, ლიზარევზე თავდასხმამ და თავდამსხმელ ტერორისტებისადმი პოლონეთის მთავრობის დამოკიდებულებამ ნათელჰყო მეტის-მეტად „ლმობიერი“ პოლიტიკა, რომელსაც პოლონეთის ხელისუფლების წარმომადგენელნი დღემდე ადგიან პოლონეთში მოკალათებული რუსეთის, უკრაინის და საქართველოს თეთრი ემიგრაციის მიმართ.

საჭირო არ არის ჩამოვთვალოთ სხვა ფაქტები; ეს ფაქტები უკვე მოყვანილია ჩვენი პრესის ფურცლებზე, როგორც იმ „ლოიალობის“ დამამტკიცებელი, რომელსაც პოლონეთის მთავრობა იჩენს თუნდაც რიგის ხელშეკრულების იმავე მუხლის შესრულების დროს.

პოლონეთის მთავრობის გამოსვლა ერთგვარი საფარის როლსაც უნდა ასრულებდეს იმ სამხედრო მზადებისათვის, რომელიც სწარმოებს საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვრის გადაღმა და რომელიც ბოლო დროს თავის გამოხატულებას ჰპოვებს პოლონეთისა და მისი მოკავშირეების მილიტარისტული წრეების მეტის-მეტად გაძლიერებულ აქტივობაში.

ბოლოს, პოლონეთის მთავრობის გამოსვლა უეჭველად ნაკარნახევია პოლონეთის შინაური მდგომარეობით. იქ იწყება შინაპოლიტიკური კლასობრივი ბრძოლის ხანა. ფეიქართა გაფიცვა ბელოსტოკში და მემაღაროეთა ერთი დღის გაფიცვა იმას მოწმობს, რომ გაიზარდა მუშათა კლასის აქტივობა და მშრომელთა მასების რევოლიუციონური შეგნება. ეს აქტივობა საფრთხეს უქმნის კაპიტალისტურ სტაბილიზაციას პოლონეთში და პოლონეთის ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ასეთ პირობებში ყოველგვარი რევოლიუციონური მოძრაობის ახსნამ „მოსკოვის დაქირავებული აგენტების“ მოქმედებით უნდა გაუადვილოს პოლონეთის ფაშიზმის რევოლიუციონერ მუშებთან, გლეხთა მასებთან და კომუნისტურ მოძრაობასთან გასწორება. კომუნიზმი—აი ჩვენი მტერიო. ასეთი ლოზუნგი წამოაყენა პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ორგანომ „პოლსკა ზბროინამ“.

პოლონეთის მთავრობამ მეტად სერიოზული მანევრი დაიწყო. მაგრამ უკვე ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს მანევრი თავის მიზანს ვერ მიაღწევს. იგი ვერ შეარყევს მთელი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასების ნდობას საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობისადმი, იგი ვერ დააცხრობს პოლონეთის მუშათა კლასის ბრძოლას პოლონეთის ბურჟუაზიისა და პოლონეთის მილიტარიზმის წინააღმდეგ.

«პრავდა» 1 აგვისტო.

უცხოეთის პრესის გამოძახილი ამხ. ბუხარინის სიტყვაზე

იაპონია უარს ამბობს დაიწყოს მოლაპარაკება ნანკინთან ხელშეკრულებების გადასასინჯად

ჩემბერლენი მანჯურიას ჩინეთის განუყოფელ ნაწილად სთვლის

კომინტერნის კონგრესის მოწოდება ნიკარაგუას მშრომელებისადმი

უცხოეთის პრესის გამოძახილი
ამხ. ბუხარინის სიტყვაზე

პოლონეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

ვარშავა, 31 ივლისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო ავრცელებს შემდეგ ცნობას:

„პოლონეთის ელჩმა მოსკოვში პატეკმა ჩიჩერინის მოადგილეს კარახანს პროტესტი განუცხადა ამხ. ბუხარინის იმ სიტყვის გამო, რომელიც მან ინტერნაციონალის მე-6 კონგრესზე წარმოსთქვა. ბუხარინმა, როდესაც იგი პოლონეთის კომპარტიაზე ლაპარაკობდა, იმედი გამოსთქვა, რომ კონგრესი სათანადო უფლებებს მისცემს კომინტერნის ალმასკომს, რომ მან ამ პარტიაში სათანადო წესრიგი დაამყაროს, რათა იგი გადაიქცეს კომუნისტური ინტერნაციონალის ერთ-ერთ მთავარ ძალად, ისეთ ძალად, რომელიც ომის დროს იმოქმედებს როგორც რევოლიუციის მებრძოლი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ. პატეკმა კარახანს განუცხადა, რომ ბუხარინის სიტყვის შინაარსი, რომელიც პოლონეთის შინაურ საქმეებში ჩარევას ნიშნავს, რიგის ხელშეკრულების მე-5-მუხლის უხეშ დარღვევას წარმოადგენს“-ო. (ადს).

„გაზეტა პორანა დვა გროშა“

ვარშავა, 31 ივლისი. „გაზეტა პორანა დვა გროშა“-მ გამოაქვეყნა მეტად მკაცრი წერილი, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთი აღნიშნავს: საბჭოთა კავშირი ბრალს სდებს პოლონეთს, რომ იგი ლმობიერად ეპყრობა რუსეთის თეთრ გვარდიელებს; ამავე დროს საბჭოთა მთავრობა აშკარად უჭერს მხარს კომინტერნს, რომელიც სცდილობს გააჩაღოს რევოლიუცია ყველა ქვეყანაში. წერილის ავტორი ურჩევს პოლონეთის მთავრობას—ენერგიულად გამოვიდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს).

„დეილი ტელეგრაფი“-ს კომენტარიები

ლონდონი, 31 ივლისი. „დეილი ტელეგრაფი“ ეხება პროტესტს, რომელიც პატეკმა კარახანს განუცხადა და სწერს:

„პრაქტიკულად კომინტერნი საბჭოთა მთავრობის ნაწილია. როგორც ფიქრობენ, ბუხარინის სიტყვას მხედველობაში აქვს მოსალოდნელი კონფლიქტი პოლონეთსა და ლიტვის შორის ვილნოსთან დაკავშირებით. (ადს).

„ფორვერტს“-ის ჭკუამახვილობა

ბერლინი, 31 ივლისი. პატეკის მიმართვა საბჭოთა მთავრობისადმი ბუხარინის სიტყვის გამო კომინტერნის კონგრესზე გერმანიის პრესის უმეტესობას უკომენტარიოდ მოჰყავს:

„ფორვერტს“-ი ირონიულად აღნიშნავს, რომ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რა პასუხს გასცემს მოსკოპი პოლონეთის ნოტას: „კომინტერნს საერთო არაფერი აქვს საბჭოთა მთავრობასთან, ბუხარინი არ არის არც მთავრობის წევრი, არც საბჭოთა მოამსახურე—ის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის თავმჯდომარეა. ის, რაც წარმოითქმის ინტერნაციონალის კონგრესებზე, არ შეეხება საბჭოთა მთავრობას და ეს უკანასკნელი არავითარ გავლენას არ ახდენს კონგრესის მუშაობის მსვლელობაზეო. პოლონეთის მთავრობა წინდაწინვე უნდა ელოდეს ასეთ პასუხს“.

დასასრულ, „ფორვერტს“-ი იძლევა კითხვას: პოლონეთის მთავრობამ იმიტომ ხომ არ მიმართა საბჭოთა კავშირს პროტესტის ნოტით, რომ გადასწყვიტა აღარ დაეთანხმოს საბჭოთა კავშირის მთავრობისა და კომინტერნის ჩვეულებრივ გამიჯვნას? (ადს).

„ტან“-ის კომენტარიები

პარიზი, 31 ივლისი. „ტან“-ი კომენტარიებს უკეთებს ბუხარინის სიტყვას კომინტერნის კონგრესზე. გაზეთი აღნიშნავს „ბოლშევიკური აქტივობის განახლებას საერთაშორისო ასპარეზზე“.

„ბუხარინის გაუფრთხილებელი აღიარებიდან,—ამბობს გაზეთი,— აშკარავდება, რომ კომუნისტური ჯგუფები, რომელსაც აარსებს და მხარს უჭერს მოსკოვი უცხო სახელმწიფოებში, წარმოადგენენ მებრძოლ ორგანიზაციებს. ბუხარინის აღიარებიდან სჩანს, რომ მოსკოვს განზრახული აქვს განსაზღვრულ პირობებში გამოიყენოს ეს ორგანიზაციები საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. ჩარევა უცხო სახელმწიფოების შინაურ ბრძოლაში, კომუნისტური ჯგუფების ისეთ სამხედრო ძალად გადაქცევა, რომელიც, ომის შემთხვევაში, საბჭოების ბრძანებით მზად იქნება აღსდგეს თავის სახელმწიფოს წინააღმდეგ, გარკვეული კავშირი ყველა ბოლშევიკურ ხელისუფალთა შორის—პოლიტბიუროს, სახ. კომ. საბჭოს და კომინტერნის შორის,—ყოველივე ეს უდავოა. სახელმწიფოებს, რომლებსაც არ სურთ ჩაეფლან ანარქიისა და არეულობის მორევში, ფრთხილად უნდა იყვნენ. მათ მტკიცედ უნდა გადასწყვიტონ—დაიცვან თავი საშიშროებისაგან, რომელიც ყველა მათ ერთნაირად მოელის. (ადს).

„ექსპრეს პორანნის ცნობა“

ვარშავა, 31 ივლისი. გაზეთ „ექსპრეს პორანნი“-ში გამოქვეყნებულია იუნაიტედ პრესის სააგენტოს ბერლინის კორესპონდენტის დეპეშა რეპარაციების გენერალური აგენტის პარკერ ჯილბერტისა და ბერლინში ჩამოსულ საფინანსო მეთვალყურის პოლონელი დიუის შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. გაზეთი იუწყება, ვითომ პარკერის ყურადღება მიაპყრეს იმ გარემოებას, რომ პოლონეთს ძლიერ უჭირს თავის სესხების განაღდება შეერთებულ შტატებში. 1928 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში შეერთებული შტატების ბაზარზე განაღდებულ იქნა პოლონეთის მხოლოდ ორი მუნიციპალური სესხი—ვარშავისა და სილეზიისათვის. ამ სესხების საერთო თანხა 17 მილიონ დოლარს უდრის.

იუნაიტედ პრესის ამ ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია პოლიტიკურ წრეებში. იმ გარემოებას, რომ დიუი ამ საკითხის შესახებ სწორედ ჯილბერტთან თათბირობდა, სთვლიან იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ პოლონეთის საფინანსო სტაბილიზაციის გეგმა არსებითად დაუესიზაციის გეგმას წარმოადგენდა პოლონეთის ეკონომიკის დაუესის გეგმისათვის დაქვემდებარების მხრივ.

იუნაიტედ პრესის ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ იმ დროს, როცა პოლონეთის მთავრობის პრესამ გაუგონარი ხმაურით გაილაშქრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ბუხარინის სიტყვის გამო, გაზეთებმა „ნაშ პშეგლონდ“-მა და „გაზეტა ვარშავსკა“-მ მოათავსეს ერთისა და იმავე შინაარსის შენიშვნები, რომელთაც ახალი ჰანგები შეაქვთ ამ კამპანიაში. ამ შენიშვნებში ნათქვამია, ვითომ უცხოეთის პრესა, განსაკუთრებით გერმანიისა, გამოსთქვამს იმედს, რომ ბუხარინის მოხსენების შემდეგ გამწვავდება პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობა. ამ ორ ერთმანეთში მტრულად განწყობილ გაზეთების შენიშვნათა ერთგვარობა ჰბადებს აზრს ინსპირაციის შესახებ. (ადს).

„ეპოკა“

ვარშავა, 31 ივლისი. ბუხარინის მიერ კომინტერნის კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით პოლონეთის პრესამ გააფთრებული კამპანია დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ოფიციოზური „ეპოკა“, ეხება რა ბუხარინის მოხსენებას, სწერს:

„ბუხარინის მოხსენებამ ცხადჰყო, რომ კომინტერნი და საბჭოთა მთავრობა ერთი და იგივეა. დღემდე საბჭოთა მთავრობა ემიჯნებოდა კომინტერნს და ამ ფორმულას ანგარიშს უწევდნენ ისინი, რომლებსაც სურდათ ნორმალური დამოკიდებულება დაემყარებინათ საბჭოთა კავშირთან. ამ სახელმწიფოთა რიცხვს ეკუთვნოდა პოლონეთიც. ეხლა ამ ფორმულას ნიადაგი გამოეცალა. საბჭოთა მთავრობა ხომ ვერ დაჰფარავს, რომ ბუხარინი წევრია პოლიტბიუროსი, ე. ი. საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსი. ის გარემოება, რომ რიკოვი კომინტერნის კონგრესის პრეზიდიუმშია არჩეული და რომ ბუხარინის მოხსენება ყველა საბჭოთა გაზეთში იბეჭდება, მოწმობს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა უკვე აღარ ემიჯნება კომინტერნს და ნიღაბს იხსნის. ეხლა ჩვენ ვიცით რომ საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა, რომ საბჭოთა მთავრობა ემზადება პოლონეთთან საომრად და რომ ამ ომში პოლონეთის კომუნისტებმა ჯაშუშებისა და დივერსანტების როლი უნდა ითამაშონ“.

შემდეგ გაზეთი სწერს:

„საჭიროა დაისვას კითხვა: ასეთ პირობებში ეგრედწოდებული ნორმალური დამოკიდებულება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირს შორის ხომ არ არის უბრალო კომედია, რომელსაც უხეიროდ თამაშობს საბჭოთა მთავრობა? ბუხარინის განცხადების შემდეგ უცნაურად გვეჩვენება ჩიჩერინთან მოლაპარაკება თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ. ბუხარინის განცხადების შემდეგ არავის არა აქვს უფლება უკმაყოფილო იქნეს პოლონეთის სასამართლოს განაჩენით კომუნისტების შესახებ, თუ ისინი შეფასებული იქნებიან, როგორც აგენტები (გამოტოვებულია)... რას იტყვის ყოველივე ამის შესახებ ჩიჩერინი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატი“? (ადს).

ჩინეთში

ინგლისის მთავრობა გაბრაზებულია

ლონდონი, 1 აგვისტო. თემთა პალატაში შეტანილ იქნა შემდეგი შეკითხვა: საჭირო ხომ არ არის ინგლისის მთავრობამ იკისროს ინიციატივა იმისა, რომ სახელმწიფოებმა შესცვალონ პოლიტიკა ჩინეთის მიმართ.

ჩემბერლენმა აშკარა უკმაყოფილებით მიუგო: „მე სრულებითაც არ ვფიქრობ ვიკისრო ინიციატივა და გაუსწრო ამ საქმეში სხვა ვინმეს“.

ჩემბერლენის პასუხი ადასტურებს, რომ ინგლისის მთავრობა გაბრაზებულია იმით, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ ნანკინი იცნო. კამათის დაწყებამდე გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის გამო, ჩემბერლენი გამოვიდა საყურადღებო განცხადებით მანჯურიის შესახებ. მისი სიტყვით, ინგლისის მთავრობა მანჯურიას უყურებს, როგორც მხოლოდ ჩინეთის ნაწილს, საერთო აზრით, ეს განცხადება წარმოადგენს ახალ გაფრთხილებას იაპონიის მიმართ.

ლიბერალმა ლოიდ ჯორჯმა და კროუფორდმა და მუშათა პარტიის დეპუტატებმა ტრეველიანმა, კენვორტმა და მონსონმა კამათის დროს აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ჩაბმას კელოგის პაქტში. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ შეუძლებელია განიარაღების განხორციელება იმ დრომდე, ვიდრე საერთაშორისო ვალდებულებანი საბჭოთა კავშირზე არ გავრცელდება. (ადს).

ტოკიო და ნანკინი

ტოკიო, 31 ივლისი პრესის ცნობით, ტანაკამ მიიღო ნანკინის მთავრობის წარმომადგენელი ვან-ტა-ჩეუნი, ამ უკანასკნელმა წინადადება მისცა ტანაკას დაიწყონ მოლაპარაკება ხელშეკრულებათა გადასინჯვის შესახებ. მან მთავრობის სახელით აღუთქვა, რომ იაპონიის მოქალაქეთა მიმართ არ იქნება მიღებული ის დროებითი წესები, რომლებიც გამოიცა ვადაგასულ ხელშეკრულებათა ნაცვლად. მაგრამ ტანაკამ უარი განაცხადა მოლაპარაკების დაწყებაზე სანამ ნანკინის მთავრობა უკან არ წაიღებს დეკლარაციას იაპონიის მთავრობასთან ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

იაპონიის ელჩი პეკინში იოშიზავა პასუხს გასცემს ნანკინის მთავრობას ხელშეკრულების გაუქმების შესახებ გაგზავნილ ნოტაზე.

როგორც „ხოჩი“ იუწყება, იოშიზავა შეეკითხა იაპონიის მთავრობას—საჭირო ხომ არ არის პასუხის დამზადებულ ტექსტში შეტანილ იქნეს რაიმე ცვლილება ამ ახალ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ნანკინისა და ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის უნდა დაიდოს.

გომინდანის მიწვევა
მეორე ინტერნაციონალის კონგრესზე

ბერლინი, 31 ივლისი. „როტე ფანე“-ს ცნობით, მეორე ინტერნაციონალმა ბრიუსელის კონგრესზე მოიწვია გომინდანი და ჩინეთის მუშათა სხვა ორგანიზაციები. (ადს).

რესპუბლიკის დაცვის კომიტეტი პოლონეთში

ვარშავა, 31 ივლისი. „ექსპრეს პორანნი“ იუწყება, რომ პოლონეთის სოციალისტურმა პარტიამ და „ვიზვოლენიემ“ დაადგინეს, შექმნან კომიტეტი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევს კონსტიტუციის გადასინჯვას და რესპუბლიკანურ - დემოკრატიულ იდეების პროპაგანდას გასწევს. (ადს).

კომინტერნის მოწოდება ნიკარაგუას მშრომელებისადმი

მოსკოვი, 1 აგვისტო. ნიკარაგუას მშრომელებისადმი მიმართულ კომინტერნის კონგრესის მოწოდებაში ნათქვამია:

„კომუნისტური ინტერნაციონალის მსოფლიო კონგრესი ძმურ სალამს უძღვნის ნიკარაგუას მუშებსა და გლეხებს და გენერალ სანდინოს გმირულ არმიას, რომელიც იბრძვის ეროვნული განთავისუფლებისათვის და რომელიც გაბედულ და დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებს შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ“.

კონგრესი მოუწოდებს კომპარტიებს, მუშათა კლასის ყველა ორგანიზაციას და მთელი ქვეყნის პროლეტარიატს—მხარი დაუჭირონ ნიკარაგუას მუშათა და გლეხთა განთავისუფლებისთვის წარმოებულ ბრძოლას.

ეს მოწოდება კონგრესს წარუდგინეს მექსიკის და შეერთებული შტატების კომპარტიების დელეგაციებმა. (ადს).

კომპარტიის რიგები იზრდება

ბერლინი, 31 ივლისი. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყოფილი თავმჯდომარე ხოლცში (საარის ოლქი), პარტიის წევრი 1914 წლიდან,—შვაბი კომპარტიაში გადავიდა. (ადს).

ზანგი მუშების საერთაშორისო პროფკომიტეტი

მოსკოვი, 1 აგვისტო. პროფინტერნის ალმასკომის სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ კომინტერნის კონგრესის დელეგატი ზანგები, ამერიკის პროფკავშირული პროპაგანდის ლიგის და საფრანგეთის უნიტარული კონფედერაციის წარმომადგენლები და სხვ., განხილულ იქნა საკითხი ზანგთა პროლეტარიატის ორგანიზაციის შესახებ.

ალმასკომმა დაადგინა, შექმნას პროფინტერთან ზანგი - მუშების საერთაშორისო პროფკომიტეტი. პროფკომიტეტში შევლენ ორი წარმომადგენელი შეერთებული შტატების ზანგი-მუშებისა და თითო წარმომადგენელი სამხრეთ ამერიკის, გვადელუპის; მარტინიკის და კუბისა. მომავალში პროფკომიტეტმა უნდა მიიზიდოს ზანგი-მუშები ჰაიტიდან; აღმოსავლეთ აფრიკიდან; პორტუგალიის აფრიკიდან; ბელგიის კონგოდან, ლიბერიიდან; საფრანგეთის ეკვატორიალურ აფრიკიდან და ლათინთა აფრიკის იმ ქვეყნებიდან, სადაც მუშა-ზანგების საგრძნობი რიცხვია. პროფკომიტეტს ევალება აგრეთვე მუშაობა ზანგი-მუშების ჩასაბმელად პროფკავშირებში. (ადს).

მაქს ჰელცის შეხვედრა ხემნიცში

ბერლინი, 31 აგვისტო. მაქს ჰელცს ხემნიცში გაუმართეს გრანდიოზული შეხვედრა. დემონსტრაციაში დაახლოვებით 50.000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. მაქს ჰელცი მიემგზავრება ფოგტლანდიაში, სადაც იგი 1918-20 წლებში რევოლიუციონურ მუშაობას ეწეოდა. (ადს).

ბელგიის მთავრობა უზრუნველჰყოფს „ცენტროსოიუზ“-ის ვალდებულებებს

პარიზი, 31 ივლისი. ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ ბელგიის მთავრობა თანახმაა 500.000 დოლარით უზრუნველჰყოს „ცენტროსოიუზ“-ის წარმომადგენლობის (საფრანგეთში) ვალდებულებანი იმ პირობით, თუ მოსკოვის სახალხო ბანკი გარანტიას მისცემს ამ თანხის რაოდენობით. თამასუქების გაცემა იმის შედეგია, რომ საფრანგეთის მთავრობამ „ცენტროსოიუზი“-საგან შეიძინა საქონელი ბელგიაში. თამასუქები საშუალოდ 18 თვის ვადითაა. (ადს).

ნობილეს ექსპედიციის გარშემო



მფრინავი ჩუხნოვსკი

ნობილე რომში ჩავიდა

რომი, 1 აგვისტო. სტეფანის სააგენტო იუწყება, ნობილე და მისი თანამგზავრნი რომში მოვიდნენ 31 ივლისს, საღამოთი. სადგურზე მათ დახვდნენ ხელისუფლებისა და ოფიციალურ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. ხალხი მიესალმა მოსულებს (ადს).

ჩუხნოვსკის რადიოგრამა

მოსკოვი, 1 აგვისტო. „იტალია“-ს დამხმარე კომიტეტმა **ჩუხნოვსკისაგან** მიიღო რადიოგრამა, რომ 2 აგვისტოს იგი შეკეთებულ თვითმფრინავზე საცდელ გაფრენას მოახდენს. (ადს).

პროფ. ბეგოუნეკი „იტალია“-ს კატასტროფის შესახებ

ბერლინი, 1 აგვისტო. გერმანიის გაზეთებში გამოქვეყნებულია ინტერვიუ პროფ. ბეგოუნეკთან, რომელშიაც ის დაწვრილებით ეხება დირიჟაბლის კატასტროფის ამბებს და მალმგრენის ბედს.

„ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენ ჰაერში ვიმყოფებოდით,—განაცხადა ბეგოუნეკმა,— მალმგრენი შიშობდა, რომ ქარიშხალი დირიჟაბლს მიახეთქებდა ყინულს. ძალიან დაბლა მივფრინავდით. ორი საათის ფრენის შემდეგ მოულოდნელად გავიგეთ, რომ დირიჟაბლმა აუარებელი გაზი დაჰკარგა. მიზეზი გამოურკვეველი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაზიანებული არაფერი არ იყო, კატასტროფა მაინც მოხდა, ჩვენ გადმოვყარეთ მთელი ბალასტი, მაგრამ დირიჟაბლი მაინც დაეცა. ბალასტთან ერთად სურსათ-სანოვაგეც გადავყარეთ. საბედნიეროდ მალმგრენმა მაინც ნახა მისი ნაწილი.

ჩვენს ბანაკს შვიდჯერ მოუახლოვდა თეთრი დათვი. ბოლოს მალმგრენმა რევოლვერით მოჰკლა, მალმგრენი თავისი სურვილით დაგვშორდა, რომ თვითონ ეშველა თავისი თავისათვის. შემდეგი მისი ბედის შესახებ ვიცით მხოლოდ ცაპის სიტყვებიდან ვფიქრობ, მალმგრენმა წინადადება მისცა ცაპის და მარიანოს, დატოვებიათ ის და განეგრძოთ სვლა. მალმგრენი მეტად კეთილშობილი და მტკიცე ხასიათის ადამიანი იყო.

ღალატის „ახალი ფაზა“

განსაცვიფრებელ გულახდილობას იჩენენ ხანდახან სოციალ-დემოკრატები. მოულოდნელად ისეთ რამეს „აღმოაჩენენ“, რაც თავიდან ბოლომდე ადასტურებს კომუნისტების დებულებებს მათ შესახებ. მაგალითად ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის სოციალურ ფუნქციას შეადგენს ბურჟუაზიის პოლიტიკური რეჟიმის გამაგრება, კაპიტალის ეკონომიური სისტემის განმტკიცება. გვითქვამს, რომ ამ რეჟიმს, ამ ეკონომიური სისტემისათვის საბედისწერო მომენტებში, როდესაც ბურჟუაზია თავდაცვითი პოზიციაზე გადადის და მოელის კიდევაც დამარცხებას, სწორეთ ასეთ მომენტებში მას ევლინება მხსნელად სოციალ-დემოკრატია, უწვდის მას ხელს, გამოჰყავს ის კრიტიკული მდგომარეობიდან.

ასეთია სოციალ-დემოკრატიის როლი.

რა უნდა იყოს მის ამნაირ მუშაობაში სახარბიელო და თავმოსაწონი, რა უნდა იყოს დასაკვეხნი ყოველივე ამაში იმ პარტიის მხრივ, რომელსაც თავი მოაქვს მუშათა პარტიად, პროლეტარიატის ინტერესების დამცველად. რასაკვირველია, არაფერი! მაგრამ ეს სამარცხვინო ხელობა, ეს ღალატი პროლეტარიატის ინტერესებისა იმდენად ბუნებრივი ხდება სოციალ-დემოკრატიისათვის, იმდენად შეეჩვია ის ასეთ როლს, რომ არა თუ სათაკილოდ იჩნევს მას, არა თუ არ აფარებს მას ხელს, არამედ ხმამაღლა და ცინიკური გამბედაობით თვით მოგვითხრობს ყოველივე ამის შესახებ.

აიღეთ მაგალითად ავსტრიელ სოციალ - დემოკრატების გაზეთი „Arbeiter Zeitung“ იქ მოთავსებულია სარედაქციო წერილი „კოალიციური პოლიტიკის ახალი ფაზის“ შესახებ. გაზეთი ეხება გერმანიის მაგალითს, როგორც იტყვიან სიხარულით, ცას წვდება. იმის გამო, რომ გერმანიის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეა სოციალ-დემოკრატი და რომ თვით მთავრობაში ოთხი სოციალ-დემოკრატი შედის. თავის ისტორიულ ექსკურსში ამის გამო, იმის მიმოხილვაში, თუ რა პირობებში უხდებოდა სოციალ-დემოკრატიას მთავრობაში მუშაობა, გაზეთი გულახდილად სწერს 1919—1923 წლის პერიოდის შესახებ შემდეგს:

„სულ უფრო და უფრო საშიშ სახეს იღებდა მაშინ სამოქალაქო ომის საფრთხე. საჭირო იყო მივშველებოდით ამ საფრთხეში ჩავარდნილ რესპუბლიკას და გადაგვერჩინა ის. და აი იმ ხანებში მუშათა კლასის ველური აღელვების გამო, სამოქალაქო ომის საფრთხის გამო, ბურჟუაზიულმა პარტიებმა უფრო მიზანშეწონილად დაინახეს, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობისათვის ხელი მოეკიდა სოციალ-დემოკრატიის დახმარებით და არა მათ წინააღმდეგ. მათ არ შეეძლოთ გვერდი აეხვიათ მაშინ სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობისათვის“.

სრული ჭეშმარიტება, არა ერთხელ ჩვენს მიერ აღიარებული, რომელსაც რასაკვირველია არ ეკარგება დამარწმუნებელი ძალა მით, რომ მას დღეს თვით სოციალ-დემოკრატები იმეორებენ. პირიქით!

ამნაირად მდგომარეობა იყო მძიმე. ბურჟუაზიული რესპუბლიკა გასაჭირში, „გაველურებული“ მუშები მას საფრთხეს უმზადებდნენ. ვის უნდა მოეხდინა გავლენა მუშებზე? ბურჟუაზიული მთავრობა და ბურჟუაზიული მოღვაწეები მუშებში ვერ გამოჩნდებოდნენ, რადგან მათ არავითარი გავლენა იქ არა აქვთ და პირიქით მათ მიმართ ზიზღითა და მტრობით არიან აღვსილი. საჭირო იყო ისეთი ხალხი, რომელიც მუშებში ტრიალებენ, იქ მოქმედებენ, ასეთები იყვენ სოციალ-დემოკრატები. ამიტომ მიმართეს მათ მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ხერხმა გასჭრა. ბურჟუაზიამ მიზანს მიაღწია, ამას ამბობს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. თავისთავად აქ ახალი არაფერია გარდა იმისა, რომ ამ ძველ ამბავს თავიანთი სამარცხვინო როლის შესახებ იმეორებენ დღეს თვით სოციალისტები.

ასე იყო უშუალოდ ომის შემდეგ წლებში, როდესაც ბურჟუაზიის მდგომარეობა ძალზე შერყეული იყო. მაგრამ მდგომარეობა იცვლება, იწყება შედარებით უკეთესი დრო 1923—27 წლები, როდესაც ბურჟუაზია მაგრად გრძნობს თავს უნაგირში. „სახელმწიფოს ძალდატანების აპარატი გაძლიერდა—სწერს ამ ხანის შესახებ იგივე სოციალ- დემოკრატიული გაზეთი—მთავრობებს აღარ აქვთ პროლეტარიატის აჯანყების შიში“. ამიტომ რაღა საჭიროა მათთვის სოციალ-დემოკრატია და აი ისინიც „შტატ გარეთ“ სტოვებენ მას. იწყება ბურჟუაზიული ბლოკის ხანა. აქაც აშკარაა სოციალ-დემოკრატიის როლი, აშკარათ განმარტავს ამ როლს სოციალ-დემოკრატიული გაზეთი. ის ამბობს არსებითად: როდესაც „მავრმა“ გააკეთა თავისი საქმე ის „მიაბრძანეს“ გარეთო.

სრული სიმართლეა აქაც.

იწყება „ახალი ფაზა“ კოალიციური პოლიტიკის. ამ ფაზის დამახასიათებელი ის არის, სოციალ-დემოკრატების აზრით, რომ უნდა დაიწყოს სოციალისტური პროგრამის განხორციელება, კაპიტალიზმში სოციალიზმის „მშვიდობიანი“ შეზრდა. ეს არის მორიგი (არა უკანასკნელი) ილიუზია, რომელსაც სოციალ-დემოკრატია ავრცელებს მუშებში. მწარე სინამდვილე დაუმტკიცებს მათ, რომ ეს „ახალი ფაზა“ დამთავრდება ახალი მარცხით, რომელსაც უკვე წინასწარმეტყველებენ თვით ე. წ. ოპოზიციონერები სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.

X.

პ რ ე ს ა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხებს ჩვენ მუშურ-გლეხური საზოგადოებრიობა შეეჩვია: მან სახელმწიფოს მიაწოდა დიდი თანხები, თვითონაც უშუალოდ სარგებლობა ნახა. ორას მილიონიანი სესხის დაფარვა (ისიც გადამეტებით) ამისთვის დადებულ ვადაში მომასწავებელი იყო არა მარტო ნდობის, რომელიც ასულდგმულებს ფართო მასების დამოკიდებულებას თავისი ხელისუფლებისადმი, არამედ იმისიც, რომ ამ მასამ რეალური ყოველდღიური ინტერესი დაინახა სესხის განაღდებაში. ასეთი დამოკიდებულების გამო სესხებისადმი, იმ წარმატების გამო, რომელიც წილად ხვდა წინანდელ სესხებს და მათ შორის უკანასკნელ ინდუსტრიალიზაციის პირველ სესხს, ჩვენ შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ინდუსტრიალიზაციის მეორე მომგებიანი სესხიც ასევე წარმატებით ჩატარდება და ჩვენი სახალხო მეურნეობა—ქალაქისა და სოფლის—შემდგარი რეკონსტრუქციის გზაზე კვლავ შეისვამს ახალ მაცოცხლებელ ენერგიას.

„საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტი 500 მილიონიანი მომგებიანი სესხის შესახებ—სწერს „იზვესტია“ წარმოადგენს ახალ საფეხურს საბჭოთა სახელმწიფო კრედიტის ისტორიაში. 500 მილიონი მანეთი ეს აღარ არის რაღაც პატარა საქმე, რომელსაც მხოლოდ პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, არამედ ეს არის უდიდესი მატერიალური ფაქტორი, რომელსაც შეეძლება მოახდინოს ღრმად არსებითი გავლენა საბჭოთა კავშირის სამეურნეო ცხოვრების მიმდინარეობაზე“.

„ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მიზანია — სწერს „რაბოჩაია გაზეტა“—სოციალისტური მშენებლობის დაჩქარება. მისი წარმატებით გავრცელება მისცემს სახელმწიფოს დამატებით 500 მილიონ მანეთს და დააჩქარებს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციას. ამ საერთო მიზნის გარდა, თითო ხელის მომწერს ექნება პირადი სარგებლობაც: შემოსავალი პროცენტებით და მოგება“.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ზოგჯერ წარსულში სესხის ობლიგაციების გავრცელების დროს აქა-იქ ადგილი ჰქონდა იძულებას. ხელისუფლების ორგანოების, და ადგილობრივი სხვა ორგანიზაციების მიერ იქნება მიღებული ენერგიული ზომები, რომ აღარ განმეორდეს ასეთი მაგალითები, რომლებიც ზიანს აყენებენ სახელმწიფოს კრედიტს.

„კატეგორიულად უარი უნდა ვთქვათ სწერს „იზვესტია“—ყოველგვარ ზომებზე, რომლებიც რამოდენიმედ მაინც მოგვაგონებს ხელის მოწერას იძულებითი ხასიათის“.

ეს გარემოება უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში ყველგან, რომ სესხის წარმატებით [illegible] ერთად არ ვავნოთ სახელმწიფოს კრედიტის პრესტიჟს და მეორე ხელით არ დავანგრიოთ ის, რასაც ერთით ვაშენებთ.

უკანასკნელი ცნობები

ანტიმილიტარისტული კამპანია

პარიზი, 1 აგვისტო. დღეს კომპარტია ხუთი დიდი მიტინგის გამართვით იწყებს ანტიმილიტარისტულ კამპანიას, 3, 4 და 5 აგვისტ. პარიზსა, პარიზის მახლობელ უბნებსა და პროვინციაში მოეწყობა მრავალრიცხოვანი მიტინგები მილიტარიზმის წინააღმდეგ. „იუმანიტე"-ს დღევანდელ ნომერში თვალსაჩინო ადგილი აქვს დათმობილი მუშკორთა ცნობებს სამხედრო მასალების დამზადების შესახებ სამხედრო და სხვა წარმოებებში.

პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობის გამარჯვება

ბერლინი, 1 აგვისტო. სრ. გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირების ყრილობისათვის დელეგატების არჩევნების შედეგების შესახებ დღემდის მიღებულ არა სრული ცნობების მიხედვით, მეტალისტთა კავშირში პროფკავშირების მემარცხენე უმცირესობამ ბერლინის გარდა გაიმარჯვა, გალში, ესსენში, ზოლინგენში, გოტაში, მიუნხენში, გლადბახში, ჰიბტერმაუზენში და ოპლადენში.

ამნისტიით განთავისუფლებულნი დასასვენებელ სახლებში

ბერლინი, 31 ივლისი. რეიხსტაგის ამნისტიით განთავისუფლებულ პოლიტიკურ პატიმრებს 40 კაცს გზავნის დასასვენებელ სახლებში ელბორსდორფში. რეიხსტაგის გერმანულმა ფრაქციამ მუშათა კლასს მიმართა მოწოდებით გაიღოს შემოწირულება ამნისტიით განთავისუფლებული პოლიტპატიმრების დასვენებისა და მკურნალობის მოსაწყობად (ადს).

გაფიცულთა დემონსტრაცია ნიუ-ბედფორდში

ნიუ-იორკი, 31 ივლისი. 30 ივლისს პოლიციამ ნიუ-ბედფორდში დააპატიმრა 52 გაფიცული ფეიქარი პიკეტებში მონაწილეობის მიღებისთვის. საპატიმროსთან გაფიცულებმა დემონსტრაცია გამართეს და რევოლუციონური სიმღერები იმღერეს. საპატიმროსთან მოგროვდა 10.000 გაფიცული, რომელნიც მოითხოვდნენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას. ჯარმა გამოფანტა გაფიცულნი (ადს).

პოლიცია ფხიზლად არის

ტოკიო, 31 ივლისი. 16 პროფკავშირისა და მემარცხენე პროფკავშირების დათხოვნილი გაერთიანების მოღვაწეებმა გამართეს თათბირი ამ კავშირების შეერთების შესახებ „ხელშემწყობ საბჭოს" ხელმძღვანელობით. 8 წუთსაც არ გაუვლია, რომ პოლიცია მოვიდა და თათბირი დაშალა. დააპატიმრეს 50 კაცი (ადს).

ინგლისის მთავრობის სხდომა

ლონდონი, 1 აგვისტო. ინგლისის მთავრობის დღევანდელი სხდომა ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ბოლდუინმა მინისტრებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა: კაბინეტის წევრებმა აუცილებლად მტკიცედ უნდა დაიცვან მთლიანობა და ლოიალურად შეასრულონ მთავრობის გადაწყვეტილებანი.

თავდასხმა პოლიციის სამმართველოზე

ვენა, 1 აგვისტო. აქ მიღებული ცნობით, სოფიაში გუშინ ღამით ყუმბარა გადააგდეს პოლიციის სამმართველოს შენობაზე. ეს ცნობა საბოლოოდ არ არის შემოწმებული (ადს).

განაჩენი კუტიურიეს საქმეზე

პარიზი, 1 აგვისტო. საფრანგეთის კომ. პარტიის ცეკას წევრს ამხ. ვაიან კუტიურიეს მიუსაჯეს 6 თვით დაპატიმრება და 1.000 ფრანკი ჯარიმა წერილისათვის, რომელიც შეეხებოდა საფრანგეთის იმპერიალიზმს ჩინეთში (ადს).

გაზეთი „ბოროტბას" დახურვა

ვენა, 31 ივლისი. ჩერნოვიცის გაზეთების ცნობით, რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ აკრძალა უკრაინული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ბოროტბა" (ადს).

მზადება „კრასინის" შესახვედრად

ოსლო, 1 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „როცა „კრასინი" სტავანგერში ჩავა ყველა მუნიციპალურ შენობებზე აღმართულ იქნება დროშები. მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე და ბურგომისტრი ყინულისმჭრელ კრასინის" მეზღვაურებს მიესალმებიან და მიიწვევენ ბანკეტზე, რომელსაც მუნიციპალიტეტი მათ პატივსაცემად აწყობს (ადს).

მეთევზის ნაპოვნი

ოსლო, 1 აგვისტო. 15 ივლისს ქრისტიანზუნდის ჩრდილოეთ ნაწილში მეთევზემ იპოვა ბოთლი, რომელშიაც აღმოჩნდა წერილი 12 ივნისის თარიღით. წერილი დაწერილია იტალიურ ენაზე. მას ხელს აწერს უმბერტო ნობილე. წერილში ნათქვამია: „ჩვენ დავეცით ყინულზე, გაყოფილი ვართ ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი დირიჟაბლმა გაიტაცა შორს, შორს, სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. გთხოვთ დახმარება და ვიმედოვნებთ, რომ გადაგვარჩენთ. ჩემს ჯგუფში ხუთი იტალიელი და ერთი შვედი მალმგრენი". ქრისტიანზუნდში წერილი აჩვენე იტალიელს, რომელმაც განაცხადა, რომ წერილი დაწერილია სწორი იტალიური ენით. სინამდვილის გამოსარკვევად წერილი გაგზავნილია ნორვეგიის მინისტრ რომში, მაგრამ, როგორც თარიღიდან და ზოგიერთი დეტალებიდან ჩანს, წერილის სინამდვილე საეჭვოა. (ადს).

შტრეზემანს დაუთმეს

ბერლინი, 31 ივლისი. გერმანიის ელჩმა პარიზში გარეშე საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მდივან ბერტელოსთან საუბარში მიღწეულ იქნა შეთანხმება სამი გერმანელი ქვეშევრდომის გაცემის შესახებ, რომელთაც ბრალად ედება „საფრანგეთის სამხედრო ხელისუფლების შეურაცხყოფა" ოკუპაცია-ქმნილ ოლქში. საფრანგეთის მთავრობა უარს ამბობს ფორმალურ პოზიციაზე გაცემის საკითხში და მზად არის მიიღოს მხედველობაში საქმის პოლიტიკური მხარე. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ ამ ინციდენტის მოგვარების შემდეგ არ არსებობს დაბრკოლება იმისათვის, რომ შტრეზემანი გაემგზავროს პარიზში „ომის აკრძალვა" ხელშეკრულების დასადებად, რომელიც კელოგმა წარმოადგინა.

ვენიზელოსის დათმობა

ანგორა, 31 ივლისი. სტამბოლის გაზეთები იუწყება, რომ ვენიზელოსს სურს საბოლოოდ მოაწესრიგოს ურთიერთობა თურქეთთან. ამის გამო მან გადასწყვიტა მისცეს წინადადება თურქეთის მთავრობას, რომ 500.000 ფრანკის გადახდის გარდა, საბერძნეთი დასთმობს პატარა ტერიტორიას დასავლეთ ფრაკიის საზღვრებზე, სადაც ამჟამად ადრიანოპოლის რკინისგზის ნაწილი გადის.

მთავრობის წრეებში არავითარი ცნობა არ არის ამის შესახებ (ადს).

შეთანხმება ფორდთან

ანგორა, 31 ივლისი. ირკვევა, რომ ფორდი სტამბოლში აშენებს მხოლოდ შემკრებ სახელოსნოებს საბარგო ავტომობილებისა და ტრაქტორებისათვის. მას ანთავისუფლებენ ყოველგვარი ბაჟისაგან დამზადებულ მანქანებზე და ცალკე ნაწილებზე, რომლებსაც ფილიალი გაგზავნის სხვა ქვეყნებში. სამაგიეროდ ფორდი კისრულობს იმას, რომ მუშებს შორის 50 პროც. თურქები მიიღოს და ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ თურქეთის ნედლეულით. საბოლოო შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღებული (ადს).

გერმანია და კელოგის ხელშეკრულება

პარიზი, 31 ივლისი. გაზეთების ცნობებით საფრანგეთის ელჩმა გერმანიაში შტრეზემანი პარიზში მიიწვია კელოგის პაქტზე ხელმოსაწერად. (ადს).

ობრეგონის მოკვლის საქმის გამოძიება

მექსიკო, 31 ივლისი. პოლიციამ დაამთავრა ობრეგონის მოკვლის საქმის გამოძიება. გამოძიების შედეგი უკვე გამოქვეყნდა. მკვლელი ხოსე და ლეონ ტორალი—სარწმუნოების ფანატიკოსი, იმ მღვდლის ყოფილი მოწაფეა, რომელიც შარშან სიკვდილით დასაჯეს. მას ბრალდებოდა ობრეგონის მოკვლის განზრახვა. თუმცა ტორალი რელიგიის დამცველ ლიგის—კათოლიკური ორგანიზაციის წევრია, მაგრამ იგი დამოუკიდებლად მოქმედებდა. რევოლვერი მიიღო მანუელ ტრეხოსაგან, რომელიც ეკუთვნის შრომის ფედერაციის მოღვაწეთა რიცხვს და რომელსაც რამდენიმე თვის წინად ბრალდებოდა ყუმბარის აფეთქება დეპუტატთა პალატაში.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს ტრეხომ განუცხადა, რომ არც მორონეს და არც შრომის ფედერაციის რომელიმე მოღვაწეს არავითარი კავშირი არა აქვს ობრეგონის მოკვლასთან. (ადს).

პროტექციონიზმის პრობლემა ინგლისის კაბინეტში

ლონდონი, 31 ივლისი. აგვისტოს ინგლისის კაბინეტი განიხილავს პროტექციონიზმის პრობლემისადმი მთავრობის დამოკიდებულების საკითხს. პოლიტიკური მიმომხილველნი წინასწარმეტყველებენ: ამ სხდომაზე დაისმება საკითხი იმის შესახებ, რომ არის თუ არა კაბინეტი კოლექტიურად პასუხისმგებელი [illegible] პოლიტიკისათვის ამ დარგში. ამას გარდა ბოლდუინი ხიქს მოსთხოვს ახსნა-განმარტებას მისი გამოსვლის გამო პროტექციონიზმის დასაცავად. (ადს).

სამხედრო საპატიმროდან გაქცევა

ვენა, 31 ივლისი. რუმინეთის გაზეთების ცნობით, გასულ კვირას კლაუზენბერგის სამხედრო საპატიმროდან გაიქცნენ ტორდაი და ჩისმადია, რომელნიც ამ წლის მარტში დააპატიმრეს ორადეა-მარეში მასიური დაპატიმრების დროს. ორივეს ბრალდებოდა არალეგალური კომუნისტური მოქმედება. გაზეთების სიტყვით, ტორდაი და ჩისმადია საპატიმროს დარაჯების დახმარებით გაიქცნენ (ადს).

ბელა კუნის ჩამოსვლა ლენინგრადში

ლენინგრადი, 1 აგვისტო. 31 ივლისს გემით „გერცენ"-ით მოვიდა ბელა-კუნი. ნავთსადგურში გაიმართა მიტინგი. სიტყვები წარმოსთქვეს პროფინტერნის, პარტიის საოლქო კომიტეტის და რემედასის წარმომადგენლებმა. საღამოთი ბელა-კუნი მოსკოვში

სხვადასხვა

ინდუსების შეტაკება მაჰმადიანებთან

ლონდონი, 1 აგვისტო. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ბანგალორაში (ინდოეთი) შეტაკება მოხდა ინდუსებსა და მაჰმადიანებს შორის, რომლის დროსაც დაჭრილ იქნა 55 კაცი. შეტაკება მოხდა დემონსტრაციის დროს, რომელიც გამოიწვია უთანხმოებამ მოსწავლე ინდუსებსა და ხელისუფლებას შორის რელიგიურ კულტთან დაკავშირებულ საკითხებში. შეტაკების ლიკვიდაციისათვის გამოწვეულ იქნა ჯარი (ადს).

სამგზავრო მატარებლის დამსხვრევა აუგსბურგის მახლობლად

ბერლინი, 1 აგვისტო. დინკელშერბენში აუგსბურგის ახლოს. ისრის გაუსწორებლობის გამო, დაიმსხვრა სამგზავრო მატარებელი. ორთქლმავალი და 3 ვაგონი სავსებით დამსხვრეულია, წინასწარი ცნობებით, მოკვდა—12 დაიჭრა—35.

მიწისძვრა ნამანგანში

კოკანდი, 31 ივლისი. ნამანგანში რამდენჯერმე იძრა მიწა. ყველაზე ძლიერად მიწა იძრა 30 ივლისს, ღამე. მოსახლეობას მიწისძვრამ მცირე ზარალი მიაყენა. (ადს).

რა ხდება უცხოეთში

უცხოეთის გაზეთებიდან

გერმანელი მენშევიკები და ჰინდენბურგის რძალი

ანუ

„დემოკრატიის გზით" სოციალიზმისაკენ

თავის დროზე ეს ამბავი ტელეგრაფმა გვაუწყა და ამიტომ ძალიან მოკლეთ. გადმოცემული იყო მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა იმ წერილიდან, რომლითაც გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადმა და დღეს კი მთავრობის თავმჯდომარემ გერმან მიულერმა მიმართა პრეზიდენტ ჰინდენბურგს. თავისთავად ჰინდენბურგისადმი მიმართვაში, თუ გინდ წერილობით და ისიც მთავრობის თავმჯდომარესაგან, თავისთავად არაფერი მოულოდნელი და გასაკვირი არ არის. მაგრამ არის წერილიც და წერილიც. ზოგი მათგანი შჩედრინისებური იუმორის მომგვრელია, თუმცა იმავე დროს ამა თუ იმ პარტიისათვის (აქ მენშევიკებისათვის) ფრიად დამახასიათებელია და როგორც იტყვიან, ეპოქის „სტილის" შემქნელი. აბა მოვუსმინოთ რასა სწერს სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) მიულერი მონარქისტ ჰინდენბურგს: მოგვყავს სიტყვა-სიტყვით კომუნისტურ გაზეთ „როტე ფანე"-დან):

„ღრმად პატივცემულო ბატონო რაიხსპრეზიდენტო!

ეს არის რაც ცნობა მივიღე, რომ თქვენ, ღრმად პატივცემული ბატონი რაიხსპრეზიდენტი, დღეს გაბედნიერებულხართ შვილიშვილის დაბადებით. გერმანიის ხალხი თქვენთან და თქვენ ოჯახთან ერთად გაიზიარებს უზენაეს ბედნიერებას იმის გამო, რომ ამიერიდან ჰინდენბურგის გვარეულობას მამრობითი სქესის ხაზითაც ეყოლება გამგრძელებელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ იმ ღრმა პატივისცემის გამო, რომლითაც თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო რაიხსპრეზიდენტო, სარგებლობთ გერმანიის ხალხის ფართო წრეებში, ეს ამბავი ჰპოვებს აღზნებული სიხარულის გამოძახილს. თავის პირველ სხდომაზე შეკრებილ გერმანიის მთავრობის სახელით მე ნებას მივცემ თავს გიძღვნათ თქვენ პატივისცემის გრძნობით აღსავსე და უგულწრფელესი მილოცვა. გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ქალბატონს თქვენს რძალს და ბატონ თქვენ შვილს.

ვრჩები სრული პატივისცემის გრძნობით აღვსილი თქვენი, პატივცემულო ბატონო რაიხსპრეზიდენტო, მორჩილი

მიულერი".

ამ გზით სურთ მენშევიკებს დაიპყრან ძალა-უფლება. ასეთია კაუცკიანური სოციალ-დემოკრატიის „გარდამავალი პერიოდის" სიბრძნე.

ამხ. მიქოიანის მიმართვა

პურის დასამზადებელი მუშაობის გაძლიერების შესახებ

მოსკოვი, 1 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარი თავის წერილში საკავშირო რესპუბლიკების სავაჭრო კომისარიატების სახელზე აღნიშნავს, რომ უმთავრესი ამოცანა, რომელიც ამჟამად კავშირის სახალხო მეურნეობის წინაშე სდგას, არის ახალი მოსავლის პურის დასამზადებელი მუშაობის წარმატებით დაწყება. ამის გამო საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭომ გამოსცა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლებმაც უზრუნველჰყვეს პურის დამზადების კამპანიის ნორმალური მსვლელობა, კერძოდ კი, გაადიდეს პურის დასამზადებელი ფასები. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პირად პასუხისმგებლობის ქვეშ მტკიცედ დაიცვან შემოზიდვის წესები დეფიციტიანი სამრეწველო საქონლის განაწილების დროს რაიონებში და ქალაქისა და სოფლის შორის. (ადს).

ამხ. სერებროვსკის დანიშვნა

მოსკოვი, 1 აგვისტო. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ ამხ სერებროვსკი დანიშნა საბჭოთა კავშირის ფინსახკომის კოლეგიის წევრათ. ამხ. სერებროვსკი განთავისუფლებულია საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობის შესრულებისაგან. (ადს).

ნორვეგიის კომუნალურ მუშაკთა დელეგაცია თბილისში

გუშინ, ნორვეგიის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა დელეგაციამ დაათვალიერა ზაჰესი, სადაც დელეგაციის წევრებს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ადგილობრივ მომუშავე სპეციალისტები. დელეგატებმა, სადგურის ნაგებობათა დაწვრილებითი დათვალიერების შემდეგ, თავისი გაკვირვება გამოსთქვეს საქართველოს მშრომელთა ასეთი დიდი გამარჯვების გამო აღმშენებლობის ფრონტზე, მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში გავრცელებულ ჭორით საქართველოში, თითქოს, ახალი არაფერი არ კეთდება.

— ზაჰესი საქართველოს მშრომელთა უდიდესი გამარჯვებაა და ამ გამარჯვებას შესაფერი ანგარიში უნდა გაუწიონ მტრებმაცო, განაცხადა დელეგაციის თავმჯდომარე ლ. ოლდებარდმა.

შემდეგ დელეგაციამ დაათვალიერა ახალი წყალსადენის გასაყვანი სამუშაოები ნატახტარში.

დღეს დილით პროფსაბჭოში გაიმართება კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელსაც დაესწრება დელეგაციის მთელი შემადგენლობა. შემდეგ დელეგაცია დაათვალიერებს ტრამვაის წარმოებებს. საღამოს დელეგაცია მიემგზავრება ბათუმისაკენ.

ვაჭრობა აღმოსავლეთთან

(თათბირი ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში)

გუშინ ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის სავაჭრო პალატაში შესდგა გაფართოებული თათბირი საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობის გაუმჯობესების საკითხებზე. თათბირს დაესწრენ მრავალ დაწესებულებათა წარმომადგენლები და აღმოსავლეთ ქვეყნების თბილისის საკონსულოების წარმომადგენლები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოს წარმომადგენელი ინჟ. ა. ტოლსტონოგოვი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების საშუალებით ევროპიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში გამოგზავნილი საქონელი უმოკლესი გზით მიდის დანიშნულების ადგილას. ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის რკინის გზების არსებობამდე ამიერ-კავკასიაზე გადიოდა უდიდესი გზა ევროპისა და აზიის ქვეყნების დასაკავშირებლად. ამჟამად მარტო სპარსეთის ექსპორტ-იმპორტის მთელი 54 პროცენტი გადის ამიერ-კავკასიის რკინის გზების სისტემით.

მომხსენებლის გადმოცემით, როგორც სპარსეთთან, აგრეთვე თურქეთთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას შესამჩნევად უშლის ხელს სარკინიგზო კონვენციების უქონლობა ორივე სახელმწიფოსთან.

თათბირმა საჭიროდ სცნო აღნიშნულ ქვეყნებსა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერების მიზნით დაჩქარებულ იქნეს სარკინიგზო კონვენციების დადება.

პარტიული ცხოვრება

გაზეთების რედაქტორთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 1 აგვისტო. საკ. კ. პ. (ბ) ცკ-ის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება სექტემბრის მეორე ნახევარში იწვევს გაზეთების რედაქტორთა საკავშირო თათბირს, რომელზე დასასწრებლადაც, ცენტრალური გაზეთების რედაქტორებს გარდა, გამოწვეულია ადგილებიდან 60 მუშაკი (გაზეთების რედაქტორები და სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკნი ბეჭდვითი საქმის დარგში). ადგილების განაწილება თათბირზე ორგანიზაციების მიხედვით დაეკისრა ცეკას საგიტაციო, საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებას. დამტკიცებულია დღის შემდეგი წესრიგი: ბეჭდვითი სიტყვის როლი პარტიის მორიგი ამოცანების განხორციელების დროს (საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მოხსენება), ბეჭდვითი სიტყვის ძირითადი საკითხები, პარტიული ხელმძღვანელობა მუშსოფკორულ მოძრაობაზე (ამხ. მ. ი. ულიანოვა), სამეურნეო და საორგანიზაციო საკითხები, ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა მომზადება. (ადს).

ღარიბთა შორის მუშაობის ზოგიერთი საკითხი

ღარიბ გლეხთა კრებებს იწვევენ პარტუჯრედები უწყებების დარიგებით ანუ პერსონალურ შეტყობინების გზით. ამ მუშაობის სახელმძღვანელოდ უჯრედს შეუძლია გამოჰყოს ერთი ან ორი ამხანაგი. ხელმძღვანელები უნდა ეცადონ, რომ კრებას დაესწროს ღარიბთა უმრავლესობა. ასეთი კრებები საშუალო გლეხობის აქტივისათვისაც მისაწვდომი უნდა იყოს და საერთოდ საკითხების გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საშუალო გლეხობის ინტერესებიც.

ღარიბთა კრებების მსჯელობის საგანს წარმოადგენს სოფლის ყოველგვარი საჭირბოროტო კითხვები: მიწათ-მოწყობა, ტყის განაწილება და მოვლა, კულტურული საქმიანობა, საზოგადო მუშაობათა საკითხი, სოფლის კეთილმოწყობა და სხვა.

ამ საკითხებს ღარიბთა კრებებზე წინასწარ იხილავენ იმ მიზნით, რომ ღარიბები შეკავშირებულათ გამოვიდნენ სოფლის საერთო კრებებზე და დაიცვან თავისი ინტერესები.

ეხლა ორიოდე სიტყვა ღარიბთა ჯგუფების შესახებ.

ჯგუფების დაარსების საქმეში ჩვენ პარტიულ ორგანოებს უკვე გარკვეული ხაზი აქვთ. ჯგუფი იქმნება ყოველგვარი სახის კოოპერაციასთან, საბჭოსთან, გლეხკომთან და სხვა ძირითად ორგანოებთან.

ჯგუფებმა თავისი მუშაობით გარკვეული კლასიური ხაზი უნდა მისცენ ჩვენი სოფლის ორგანოებს და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მინიჭებული ყოველგვარი შეღავათები და დახმარება სისწორით გამოიყენონ.

საკ. კომპარტიის მე-15 ყრილობამ უკვე მიზანშეწონილად სცნო ღარიბთა ჯგუფების თათბირების დროგამოშვებით მოწვევა თემის მაზრის მასშტაბით. ამ თათბირების მოწვევის მიზანია გამოცდილებათა გაცვლა-გამოცვლა, რისთვისაც საჭიროა მათ დღის წესრიგში დაისვას ცალკე ჯგუფების მოხსენებები მათი საქმიანობის შესახებ.

მთავარი ნაკლი, რომელიც აფერხებს ღარიბთა შორის მუშაობის მდგომარეობს იმაში, რომ ეს მუშაობა არ სწარმოებს რეგულიარულად, ხშირად მოკლებულია გეგმიანობას და შემთხვევითი საქმიანობის ხასიათს ატარებს. მაგალითად: დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ღარიბ გლეხთა კრებებს მხოლოდ მაშინ ვიწვევდით, როცა დიდი პოლიტიკური კამპანიის ჩატარება გვიხდებოდა. ასეთ მუშაობას სარგებლიანობის ნაცვლად ხშირად ზიანი მოჰქონდა, რადგან გლეხობა ფიქრობდა: ღარიბებს მხოლოდ იმიტომ ეძახიან, რომ ხელისუფლებას საიმედო კაცები გაიყვანოს არჩევით ორგანოებში, ღარიბების დარაზმვა, მათი მეურნეობის გაუმჯობესება კი პარტიას არ აინტერესებსო. ამ აზრის გაფანტვა შეიძლება მხოლოდ სისტემატიური გეგმიანი მუშაობით ღარიბთა შორის, აგრეთვე საჭიროა პარტორგანიზაციამ ფართო ახსნა-განმარტება აწარმოოს გლეხობაში იმის შესახებ, რომ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ღარიბთა შორის მუშაობის გზით ცდილობს აამაღლოს ეს უკანასკნელნი, გაადვილოს მათში კლასიური თვითშეგნება და უკეთ დაიცვას მათი პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები.

ა. დარახველიძე.

ბიუროების გადარჩევის შედეგები

(გორის მაზრა)

ბიუროების გადარჩევის წინ მოწვეულ იქნა სპეციალური თათბირი. სხვათა შორის ამ თათბირზე გაირჩა სოფლის პარტორგანიზატორთა გამოყოფის საკითხიც. ჩვენს მაზრაში ზოგიერთი კომუჯრედები უკანასკნელად ძლიერ სუსტად მუშაობდნენ. იყო უჯრედები, სადაც მარტო 4 კაცი ირიცხებოდა, ცხადია ასეთ უჯრედს არ შეეძლო სოფლის საქმიანობაში თავი გამოეჩინა. თათბირმა მიზანშეწონილად სცნო მცირე წევრებიან უჯრედების გაერთიანება და სოფლის პარტორგანიზატორების გამოყოფა, თათბირმა სასურველად ჩასთვალა აგრეთვე უჯრედების მოძრავი „მფრინავი" სხდომების მოწყობა.

ბიუროების მუშაობის გამოკვლევამ და შემდეგ კი გადარჩევებმა მოწვევასთან ერთად გამომჟღავნეს მთელი რიგი ნაკლოვანება, სოფლად განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია პარტიის ზრდისა და მოწესრიგების საკითხი. თვით უჯრედში არათანაბრად არის განაწილებული დავალებები, ამხანაგების ნაწილი ძლიერ დატვირთულია, ნაწილი კი არავითარ მოვალეობას არ ასრულებს. უჯრედებს არ ჰყავდათ აღრიცხული პარტაქტივი, რის გამოც დატვირთვის განაწილება ხდებოდა არა ცოდნის და უნარიანობის მიხედვით. არამედ იმის მიხედვით თუ ვის ჰქონდა მეტი თავისუფალი დრო.

პარტმასის პოლიტიკური ცოდნის დონე, ჯერ კიდევ დაბალია, უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ პარტგანათლების საკითხებს, ეს განსაკუთრებით სოფლის კომუჯრედებზე ითქმის. ადგილობრივი პრაქტიკული საკითხები უჯრედის სხდომაზე იშვიათად ისმებოდა.

საწარმოო უჯრედებში კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ ადმინისტრაცია მუშების წინადადებებსა და მათ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ნაკლებ ყურადღებას აქცევს. კომუჯრედებიც ამ მიმართულებით სუსტათ მუშაობენ.

საერთოდ წარსულთან შედარებით ბიუროების გადარჩევა ეხლა უკეთესად ჩატარდა რასაც ადასტურებს, როგორც კრებებზე დამსწრეთა რიცხვის სიდიდე, ისე შეკითხვის რაოდენობა და კამათში გამოსულ ამხანაგების აქტივობა.

ბიუროების შემადგენლობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მუშების რიცხვი გაიზარდა 5,9 პროც., მოსამსახურეების შემცირდა 2,7 პროც. ერთ-ერთ ნაკლათ უნდა აღინიშნოს ქალთა პროც. დაცემა.

მაზრის მასშტაბით გაერთიანდა 6 კომუჯრედი და ყველა სოფლის კომუჯრედებში გამოყოფილ იქნა სოფლის პარტორგანიზატორთა ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა სათანადო სამოქმედო დებულება.

იზუ.

პარტიის წევრები ქალეს ხელს უწყობენ

(ძირულის თ., შორ. მაზრა)

პარტია რელიგიური ტრადიციების წინააღმდეგ, ამიტომაც თვითეული კომუნისტი და კომკავშირელი ვალდებულია ყოველ ფეხის ნაბიჯზე აწარმოებდეს აგიტაცია-პროპაგანდას რელიგიის წინააღმდეგ.

მაგრამ პარტიის ყველა წევრი ამართლებს ამ მოწოდებას? არა, ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ ფაქტს ძირულის თემის ცხოვრებიდან.

ამხ. პავლე ბუხნიკაშვილს (პარტიის წევრი 1921 წლიდან, ქარხანა „შრომა"-ს წითელი დირექტორი) მოუკვდა ვიღაც მეზობელი. ნათესავებმა, როგორც წესია ძველებურ ქელეხის გამართვა დააპირეს, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ თუ საქმეს „წინაურულად" არ მოაჭარხალებდნენ თეთრი პური სუფრას ვერ დაუმშვენებდა. საფიქრებელში ჩავარდნილ „მოქელეხეებს" უცბად მხსნელად პავლე ბუხნიკაშვილი მოევლინათ. მან იმდენი მოახერხა, რომ ადგილობრივი მუშკოოპის ფურნიდან „ქელეხის ფონდში" 15 ფუთი პური გადაიცა.

ბუხნიკაშვილს აბა რით ჩამორჩება ამხ. ონიფანტე ფურუშიძე (პარტიის წევრი 1924 წლიდან, დამხმარე სალაროს გამგე) იმასაც მოუკვდა სიდედრი. რა თქმა უნდა უქელეხოდ არც მისი გასვენება შეიძლებოდა, მაგრამ პურის საკითხის მოგვარება აქაც მძიმე იყო. დაფიქრდა ონიფანტე. აბა სიძე რა სიძეა თუ უკანასკნელი პატივი არ სცა გარდაცვლილ სიდედრს. ბევრი იწვალა თუ ცოტა იწვალა, ონიფანტემ არ ვიცით, მაგრამ 10 ფუთი პური, რომ ქელეხისაკენ წავიდა მუშკოოპის ფურნიდან ეს ძირულის მცხოვრებლებმა საკუთარი მწარე გამოცდილებით გაიგეს.

ამნაირად ოცდა ხუთი ფუთი კოოპერატიული პური ქელეხების გამართვას მოხმარდა, ეს იმ დროს, როდესაც პურის ნაკლებობაა და გამგეობის დადგენილებით მომხმარებლებს ორი გირვანქის მეტს არ აძლევენ (ამაზედაც ხანდახან საპროტესტო წერილია საჭირო).

მუშები და გლეხები პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას ადგილობრივი პასუხისმგებელი მუშაკების მოქმედებით აფასებენ. ამხ. პავლესა და ონიფანტის მოქმედება კი გარდა იმისა, რომ დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში, დახავსებულ ჩვეულებების განმტკიცებასაც ხელს უწყობს.

საკითხავია: სად არის ადგილობრივი თემკომი? ნუ თუ ის ვერ ხედავს, რომ პარტიის წევრები ასეთ „საფუძვლიან ანტირელიგიურ პროპაგანდას" აწარმოებენ?

მ—ოლ.

კომკავშირში

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ ალმაკომის დარბაზში შესდგა თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი რაიკომის და სარევიზიო კომისიის წევრების თანდასწრებით.

დღის წესრიგში იდგა:

1. მოხსენება თბილისის ორგანიზ. ზრდისა და მოწესრიგების შესახებ; 2. უჯრედების ბიუროების გადარჩევის შედეგები; 3. თბ. კომიტეტის პრეზიდიუმის მუშაობის გეგმის დამტკიცება; 4. ა.-კავკასიის კომკავშირული გაზეთის შესახებ და 5. მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხომასურიძე—იგი შეეხო ორგანიზაციის საერთო მდგომარეობას და აღნიშნა რომ განვლილ პერიოდში ორგანიზაციის ზრდა ნელი ტემპით მიმდინარეობდა, რაც გამოწვეული იყო წესიერი ზრდით. ორგანიზაცია 13,374-დან გაიზარდა 14.208-მდე, ანუ 834 კაცით.

აქედან ახლად მიღებულია 547 კაცი. ამ რიცხვის 77 პროც. მუშაა. 1927 წლის მთელ პერიოდში სულ მიღებულთა შორის 67,7 პროც. მუშები შეადგენენ. რაც შეეხება ორგანიზაციის სოციალურ შემადგენლობას— განაცხადა მომხსენებელმა,—აქ გვაქვს თვალსაჩინო მიღწევა, მაგ. მუშები გვყავდა 42 პრ., ეხლა გვყავს 42,6 პროც. სხვები წინად შეადგენდენ 15,3 პროც., ეხლა შეადგენენ 14,9 პროცენტს.

საანგარიშო პერიოდში ერთ-ერთ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სოფლის უჯრედებში გაიზარდა საშუალო გლეხ-ახალგაზრდობის რიცხვი. შინამრეწველ ხელოსნების რაოდენობა კი უმნიშვნელოა, რაც გვავალებს მათ შორის მასიური მუშაობის გაძლიერებას.

ქალიშვილების პროცენტი 14,9-დან 15,9-მდე ავიდა. ამასთანავე გადიდდა პარტიული ბირთვიც (იყო 14,8 პროც., ეხლა არის 15,1 პროც.).

ამხ. ხომასურიძის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

— თბილისის მაზრაში კ. კ. ორგანიზაციის ზრდის საქმე დღემდე ვერ არის მოწესრიგებული— ამბობს ამხ. ძეგლისშვილი,—თემებიდან გადმოგზავნილი ანკეტები თბილისის კომიტეტში ხშირად წლობით აწყვია.

— ორგანიზაციის შემდეგი ზრდა საჭიროა მიმდინარეობდეს მუშების, ღარიბ გლეხების და მოჯამაგირეობის ხარჯზე—ამბობს ამხ. ბუჯიაშვილი.—მოსამსახურეთა და საშუალო გლეხების მიღება კი უნდა სწარმოებდეს მათი საზოგადოებრივ სამუშაოზე შემოწმების შემდეგ.

— ქალაქად ჩვენ გვაქვს ისეთი წარმოებანი, სადაც მუშა ახალგაზრდობა სავსებით არ არის დაპყრობილი—აღნიშნავს ამხ. მაისურაძე,—საჭიროა ამ ნაკლის გამოსწორება.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. მაისურაძე.

ა.-კავკასიის კომკავშირული გაზეთის გამოცემას პლენუმი კმაყოფილებით შეხვდა.

ლეჩხუმის სამაზრკომის პლენუმი

15 ივლისს ქ. ცაგერის მუშა - მოსამსახურეთა კლუბში გაიხსნა კომკავშირის ლეჩხ. სამაზრკომის მეორე გაფართოებული პლენუმი ქალაქის აქტივთან ერთად. პლენუმის დღის წესრიგში იდგა:

1. საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას მეორე პლენუმის შედეგები, 2. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კომკავშირის ამოცანები. 3. კომკავშირის ორგანიზაციის როლი ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და სხვ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ცეკას წარმომადგენელმა ამხ. ვ. ბერიძემ.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა. ამხანაგები გულახდილად აღნიშნავდენ მუშაობის, როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებს. მიღებულ რეზოლიუციაში მოწონებულია ცეკას პლენუმის ყველა დადგენილებები.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ბითაძის მოხსენება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით აღნიშნა, თუ როგორ, რა გზით უნდა წარიმართოს მუშაობა იმისთვის, რომ სოფლის დაქუცმაცებული და დაქსაქსული მეურნეობა სოციალისტურ კოლექტიურ მეურნეობად გარდაიქმნეს, აგრეთვე ფართოდ გააშუქა კომკავშირის ორგანიზაციის როლი ახალი სოფლის მშენებლობაში.

უკანასკნელ საკითხად პლენუმმა მოისმინა ამხ. ვ. გულბანის მოხსენება ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა კომკავშირის ამოცანებზე.

პლენუმმა ყველა გარჩეულ საკითხებზე მიიღო სათანადო პრაქტიკული წინადადებები.

ს. ფრუიძე.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბერლინის გაზეთები „იზვესტია"-ს წერილის შესახებ

მოსკოვი, 1 აგვისტო. „იზვესტიას" ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება: „იზვესტია"-ს გამოსვლამ პოლონეთ-ლიტვას კონფლიქტში გერმანიის მხრივ მეტი ობიექტივობის შენარჩუნების საჭიროების შესახებ, გამოხმაურება ჰპოვა ბერლინის გაზეთებში. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის ვარშაველი კორესპონდენტი სწერს, რომ ლიტვის პრემიერი ვოლდემარასი მეტ დათმობაზე უნდა წავიდეს პოლონეთის მიმართ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც შუამავლის როლს კისრულობენ პოლონეთსა და ლიტვას შორის არ უნდა წარმოადგინონ გადაჭარბებული მოთხოვნილებანი ლიტვის მიმართ, გაზეთ „გერმანია"-ს ეჭვი ეპარება ზოგიერთ სახელმწიფოების თანამდებობის პირთა განცხადების სიმართლეში, იმის შესახებ, თითქოს ლიტვას განზრახვა ჰქონდეს დაარღვიოს მშვიდობიანობა. გაზეთის აზრით, პოლონეთი პროვოკაციულ ღონისძიებებს მიმართავს ლიტვას წინააღმდეგ".

უკეთებს რა კომენტარიებს ამ დეპეშას, „იზვესტია" კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანიის პრესის გამოხმაურების გამო.

ამხ. ბელა კუნი მოსკოვში

მოსკოვი, 1 აგვისტო. „ვეჩერნაია მოსკვა"-ში მოთავსებულია ფრიად საინტერესო შინაარსის საუბარი ამხ. ბელა-კუნთან, რომელიც ეხლახან ჩამოვიდა მოსკოვში ვენის საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ:

— „საპატიმროში ყოფნა მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია ჩემს ცხოვრებაში, განაცხადა ამხ. ბელა-კუნმა: მე იმთავითვე ვიყავი დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო პროლეტარიატი ყოველ ღონეს იხმარდა ჩემს დასახსნელად ფაშისტების კლანჭებისაგან. ჩემი მოლოდინი გამართლდა. ზეიპელის მთავრობამ ვერ გაბედა მსოფლიო პროლეტარიატის ერთსულოვანი მოთხოვნის წინააღმდეგ წასვლა და იძულებული გახდა განვეთავისუფლებინე მე მიუხედავად იმისა, რომ უნგრეთის ჯალათები დაჟინებით მოითხოვდნენ ჩემს გაცემას. განთავისუფლების შემდეგ მე მაშინვე გამოვემგზავრე მსოფლიო პროლეტარიატის დედა-ქალაქში, მოსკოვში. რა თქმა უნდა, მომავალშიაც ისევე, როგორც წარსულში მე კვლავ განვაგრძობ მუშაობასა და ბრძოლას მუშათა კლასის გამარჯვებისათვის". საუბარში ამხ. კუნი შეეხო „კრასინის" მიერ ნობილეს ექსპედიციისათვის გაწეულ დახმარებას და განაცხადა, რომ მალმგრენის ჯგუფისა და ნობილეს ექსპედიციის სხვა მონაწილეთა გადარჩენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დასავლეთ ევროპაში. „ამჟამად, სთქვა ამხ. კუნმა—მსოფლიოში ყველაზე უფრო პოპულიარული გემია „კრასინი".

წერილი ინგლისიდან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

კუკისა და მექსტონის მანიფესტი

ივნისის შუა რიცხვებში ერთი დიდი ქვა ჩავარდა იმ ტალახიან ჭაობში, რომელშიც მუშათა პარტიისა და ტრედუნიონების ბელადები ფუსფუსებენ მონდის კაპიტალისტურ ბანდასთან ერთად და ეგრედწოდებულ „სამრეწველო ზავს" ქმნიან.

მემაღაროების ეროვნული ფედერაციის მდივანმა და ტრედუნიონების გენერალური საბჭოს წევრმა, კუკმა და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის თავმჯდომარემ მექსტონმა მანიფესტით მიმართეს ინგლისის მუშებს.

მანიფესტში ნათქვამია:

„ეს ერთი ხანია მრავალი ჩვენგანი სერიოზულად დააღონა ინგლისის მუშათა მოძრაობის მდგომარეობამ. ჩვენ გვგონია, რომ მის საფუძველს შემდეგი პრინციპები უნდა წარმოადგენდეს: 1) შეუწყვეტელი ბრძოლა მუშათა კლასის სიღარიბისა და დამონების წინააღმდეგ; ეს ნიშნავს შეურიგებელ ომს კაპიტალიზმის წინააღმდეგ; 2) აუცილებელია, რომ მუშები მხოლოდ საკუთარი ბრძოლით მოიპოვებენ თავიანთ შრომის სრულს პროდუქტს".

მანიფესტი განაგრძობს, რომ მუშათა პარტია ამ პრინციპებზე იყო დაყრდნობილი, ისინი კერპარდიმ და სხვა პარტიულმა პიონერებმა ჩამოაყალიბეს, მაგრამ ბოლო დროს ირკვევა, რომ მუშათა პარტიის პოლიტიკა შორდება იმ პოლიტიკას, რომელიც მის დამაარსებელთ ასულდგმულებდათ.

„ჩვენ ახლა გვთხოვენ, ამბობს მანიფესტი, პარტიას შევხედოთ არა როგორც მუშათა კლასის წარმომადგენელს, არამედ როგორც მთელი საზოგადოების ყველა ფენების წარმომადგენელს. ჩვენ არ შეგვიძლია, როგორც სოციალისტებს, კაპიტალიზმის თვალსაზრისი და მიზნები დავიცვათ. სოციალიზმსა და კაპიტალიზმს არაფერი აქვთ საერთო.

„ამ ახალ შეხედულებას, რომლის მიხედვით კაპიტალიზმს და სოციალიზმს თითქო შეუძლიათ შეარბილონ ურთიერთი წინააღმდეგობანი, მოჰყვა ის, რომ იმ ენერგიის უდიდესი ნაწილი, რომელიც კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დახარჯულიყო, ახლა იხარჯება იმათ მოსადრეკათ, ვინც ერთგულათ შერჩა მოძრაობის ძველს იდეალებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ცვლილებამ გააქ'ადგურა ბრძოლის სული პარტიაში და ახლა საჯაროთ გამოვდივართ, რათა აშკარათ ბრძოლა ვაწარმოოთ ამ განხრის წინააღმდეგ. ჩვენ აღარ შეგვიძლია უსიტყვოთ ვუცქიროთ, თუ როგორ ანადგურებენ 30 წლის ნაშრომს, რათა ზავი დაამყარონ კაპიტალიზმთან და ჩვენი მოწინააღმდეგეების პოლიტიკურ ფილოსოფიასთან დათმობაზე წავიდნენ".

მანიფესტის ავტორები განაგრძობენ, რომ პროპაგანდის კამპანიას ვიწყებთ მთელ სახელმწიფოში და სექციებს შეეკითხებით—ადასტურებენ თუ არ ადასტურებენ მუშათა პარტიის ბელადების ახალ პოლიტიკას.

თავისი ბუნდოვანი ხასიათის მიუხედავათ, რომელიც „მემარცხენე სოციალ-დემოკრატების" ნაწერებს შეაგონებს, ამ მანიფესტმა მაშინვე მუშათა მოძრაობის და ბურჟუაზიის პოლიტიკოსების ყურადღება მიიპყრო და გაცხოველებული კამათი გამოიწვია მუშათა პარტიის ბელადებს შორის. იგი მეტად შერბილებულ ფორმაში გამოხატავს იმ აჯანყების გრძნობას, რომელითაც გამსჭვალულია მუშათა კლასის უდიდესი ნაწილი რეფორმისტ ბელადების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელებმა ხელში ჩაიგდეს მუშათა პარტია და ტრედუნიონები, საბჭო და დღეს ურცხვად უკიდურეს რეაქციონერებს ევაჭრებიან ორგანიზაციულად დარაზმული მუშათა მოძრაობის გასაყიდათ.

არტურ კუკის მხრით, რომელიც უკვე დიდი ხანია ასე თუ ისე ბრძოლას აწარმოებს რეფორმისტების მუხანათური პოლიტიკის წინააღმდეგ, ამ მანიფესტზე ხელის მოწერა სრულიად ლოღიკური ნაბიჯია. მაგრამ როგორია მექსტონის პოზიცია? მექსტონი უკვე კარგა ხანია მაკდონალდის პირადი მოწინააღმდეგეა და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში მას კავშირი აქვს გაბმული „მემარცხენეების" ჯგუფთან, რომელიც „შოტლანდიელი ექსტრემისტებისა" და რამდენიმე ბურჟუაზიული დილეტანტისაგან შესდგება. მაგრამ „მემარცხენეების" იერიშებს მემარჯვენე ბელადების წინააღმდეგ არასოდეს არ გადაულახავს მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დარბაზების კედლები.

მექსტონმა, როგორც დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ბელადმა, საქვეყნოთ სახელი გაიტეხა მუშათა პარტიის და ტრედუნიონების რეაქციონურ პოლიტიკაში მონაწილეობით. უმთავრესათ მისი ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა კომისია, რომელსაც დაკისრებული ჰქონდა ახალი პროგრამის შედგენა: ეს პროგრამა კი მხოლოდ უფერული „ლიბერალური" პროგრამაა და როგორც ფორმით, ისე შინაარსით თვით ლოიდ ჯორჯის პროგრამასაც კი ჩამორჩება. რა მოუვიდა დამოუკიდებელ მუშათა პარტიას მექსტონის თავმჯდომარეობის დროს? იგი გადაიქცა მუშათა პარტიის უბრალო საპროპაგანდო დეპარტამენტად. უმრავლესობა იმ კომისიის წევრებისა, რომელიც ტრედუნიონების გენერალურმა საბჭომ გაგზავნა მონდის ჯგუფთან მოსალაპარაკებლად, დამოუკიდებელ მუშათა პარტიაში შედის. და თავისი დუმილით მექსტონი ხელს უწყობდა ამ ღალატის პოლიტიკას.

ასეა თუ ისე, მექსტონს ისეთი წარსული აქვს, რომ მუშათა კლასი დიდი სიფრთხილით უნდა მოექცეს მას. კუკი, პირიქით, უეჭველათ გულწრფელ, მაგრამ ადვილად მოსატყუებელი ადამიანია და შესაძლებელია, რომ იგი თაღლითობის მსხვერპლი გახდეს. დავიცადოთ და ვნახოთ. ყოველს შემთხვევაში პროლეტარიატის რევოლიუციურ ელემენტებს ვიღარავინ მოატყუებს მაღალფარდოვანი და უშინაარსო ფრაზეოლოგიით. წარსულში მრავალი ოინი გვინახავს როგორც მუშათა პარტიის „მემარცხენეებისაგან", ისე „დამოუკიდებლების" ყალბ რევოლიუციონერებისაგან; ამ ოინების მიზანი იყო პროლეტარიატის იმ ძალების გადაბირება, რომელნიც კომპარტიისკენ მიისწრაფვიან, მათი თვალების ახვევა ილიუზიების შეწყობით და კლასობრივ მოწინააღმდეგეზე გაყიდვა. ამიტომ დიდის ეჭვით უნდა მოვეპყროთ ამ „აჯანყების" მოძრაობას. ვინ იცის, შეიძლება ეს ისეთივე ოინი იყოს, როგორიც 1921 წელს გააკეთეს, როცა დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ 2½ ინტერნაციონალის შემწეობით მეორე ინტერნაციონალისკენ გაუჭრა კალაპოტი ინგლისის მუშათა მოძრაობას, რომელიც მესამე ინტერნაციონალისკენ აპირებდა წასვლას? ვინ იცის, შეიძლება მუშათა პარტიაში ხელ-ახლა ყალბი მემარცხენე ფრთის შექმნას აპირებენ და ამისთვის კუკის პოპულიარობასაც იყენებენ?

მაგრამ დღეს მუშების დასაჯერებლად მექსტონის და მისი მოკავშირეების, კირვუდის და უიტლის, ფრაზები და ფიცი როდი კმარა. საჭიროა, რომ მათ მოქმედებით დაამტკიცონ განსხვავების არსებობა მათსა და რეფორმისტ ბელადებს შორის, უამისოდ არავინ დაუჯერებს მათს გულწრფელობას.

მექსტონის შემდგომი მოქმედება გვიჩვენებს, რომ მას არ სურს და არ შესწევს უნარი ნამდვილი ბრძოლა აწარმოოს მემარჯვენეთა წინააღმდეგ. მემარჯვენენი ცდილობენ აჯანყების მოძრაობას ჯებირი შეაგებონ დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ეროვნული საბჭოს შემწეობით. ამ ეროვნულმა საბჭომ მოიწონა მანიფესტი. სწორედ ეს გარემოება წარმოადგენს საფრთხეს მექსტონ-კუკისთვის: მოსალოდნელია, რომ მათი ხელმძღვანელობით დაწყებული მოძრაობა „ოფიციალური მემარცხენეობის" კალაპოტში ჩადგება და იმის მაგივრად, რომ რაიმე ზიანი მიაყენოს რეფორმისტ - ბელადებს, პირიქით - რევოლიუციური ფარის როლს გაუწევს მათ და შეაძლებინებს მოღალატური პოლიტიკა დამალონ მასსების წინაშე.

თუ მექსტონი გულწრფელია, რათ ეძებს დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ეროვნული საბჭოს ოფიციალურ დასტურს? ამ პარტიამ დაასრულა თავისი ვითომდა რევოლიუციური როლი. იგი მხოლოდ მუშათა პარტიის სამარცხვინო სექციაა და უკვე შეეჩვია კიდეც ამ ახალს როლს. მექსტონმა ყოველივე კავშირი უნდა შესწყვიტოს დამოუკიდებელთა ბელადებთან. მან სიტყვებით კი არა, მოქმედებით უნდა დაამტკიცოს, რომ თავი დააღწია გამცემლობის, ინტრიგების და მლიქვნელობის პოლიტიკას.

როცა მოქმედებაზე ვლაპარაკობთ, რასაკვირველია,—ჩვეულებრივი მიტინგების კამპანიას არ ვგულისხმობთ, სადაც ძლიერ ადვილათ ღებულობენ მაღალფარდოვან რეზოლიუციებს, რათა შემდეგ ოქმებში შეიტანონ. არა, გულწრფელობის დასამტკიცებლად საჭიროა მედგარი ბრძოლა მუშათა მასსების დასარაზმავად რეფორმისტ ბელადების და მათი მოღალატეობის წინააღმდეგ. ეს კი, ვიმეორებთ. არ შეეფერება მექსტონების ბუნებას. უნდა მოველოდეთ, რომ ისინი ბოლოს და ბოლოს სრულ კაპიტულიაციას მოახდენენ მემარჯვენეთა წინაშე.

მაგრამ მექსტონ-კუკის გამოსვლას სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა: ის მაჩვენებელია ინგლისის მუშათა კლასის გამემარცხენების პროცესის და მასებში უკმაყოფილების ზრდისა მუშათა პარტიის გამცემლურ პოლიტიკის წინააღმდეგ. კომპარტიისათვის ეს გარემოება ქმნის ხელსაყრელ ნიადაგს რევოლიუციონურ მუშაობის გასაშლელად.

ჯ. დავიდ.

ლონდონი.

წერილი საფრანგეთიდან

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

სამინისტრო პორტფელები და სოციალისტები.— დათმობა კლერიკალურ დემაგოგიას და შეურიგებელი ბრძოლა კომუნიზმს.— „ომი კანონის გარეშე".— საფრანგეთის მოკავშირეები. —„კრასინი" და საზოგადოებრივი აზრი.

ძნელი წარმოსადგენია, რა ტანჯვას განიცდის სოციალისტური პარტია საფრანგეთში. მან დიდი ხანია უკვე ხელი აიღო კლასობრივ ბრძოლაზე: იგი სულდგმულობს მხოლოდ საარჩევნო კამპანიებით. არავითარი სახალხო მანიფესტაცია, არავითარი მასიური მოძრაობა და დემონსტრაცია,— ერთი სიტყვით, არავითარი კლასობრივი გამოსვლა მისთვის აღარ არსებობს. მთელი მისი გულისყური შთანთქა პარლამენტმა და კვლავ პარლამენტმა. ბუნებრივია ამიტომ, რომ ერთად ერთი საკითხი, რომელიც პარტიას აღელვებს, არის ის, თუ როგორ გამოიყენოს საარჩევნო წარმატება ბურჟუაზიისაგან თავისი წილი ხელისუფლების მისაღებად, მთავრობის სავარძელში თავისი ადგილის მოსაპოებლად.

პარტიის მარჯვენა ფრთა პირდაპირ მოუთმენლობის ცეცხლში იწვის. ბურჟუაზია, რომელმაც დიდი ხანია დაკარგა ყოველივე შიში წყნარი და ლეგალური „სოციალიზმის" წინაშე, თითონ აჩეჩებს სამინისტრო პორტფელებს „სოციალისტურ" ბელადებს. ასე ახლოა ბედნიერება, ასე ხელმისაწვდენია იგი, და მაინც სოციალისტური ბელადები იძულებული ხდებიან უარი სთქვან ბურჟუაზიის ასეთ თვალწარმტაც წყალობაზე! მერე რისთვის? ამსტერდამის საერთაშორისო კონგრესის 1904 წლის რეზოლიუცია, რომელიც სოციალისტებს უკრძალავს ბურჟუაზიულ მთავრობაში მონაწილეობას, დიდი ხანია ყველამ დაივიწყა, ისევე, როგორც დაივიწყეს ამ რეზოლიუციის ის მუხლი, რომელიც სოციალისტურ პარტიას „რევოლიუციის პარტიად" აცხადებდა. მაგრამ, სამაგიეროთ, გაჩნდა ახალი დაბრკოლება: შიში პროლეტარიატის მემარცხენე ფრთის და მისი წარმომადგენლის— კომუნისტური პარტიის წინაშე. ამ შიშის გამომხატველია პარტიის „მემარცხენე ფრთა" ჟირომსკის მეთაურობით. რაც შეეხება ცენტრს, რომელსაც ბლიუმი და პოლფორი მეთაურობენ, იგი ცდილობს მემარჯვენეების და „მემარცხენეების" შერიგებას და ამრიგად პარტიის მთლიანობის გადარჩენას.

მაგრამ მემარჯვენეები დაუღალავნი არიან და თავიანთ პოზიციებს არ სთმობენ. თუ შეუძლებელია სამინისტრო პორტფელების აშკარად მიღება, ისინი სხვაფრივ უვლიან საქმეს და ცდილობენ ხელისუფლების სუროგატების გამოგლეჯას— პალატის პრეზიდენტის ადგილის მიღებას, ან ერთა ლიგაში დელეგატად ყოფნას, ან კიდევ თავმჯდომარის სავარძლის ხელში ჩაგდებას იმავე ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროში. ბუისონს, პოლ ბონკურს და ალბერტ ტომას უკავიათ ეს თანამდებობები, რომლებიც ბურჟუაზიამ და რეაქციამაც კი მათ სიხარულით დაუთმო. რეაქციონური პალატის არჩევის შემდეგ, როდესაც საფრანგეთის ბატონ-პატრონად პუანკარეს მთავრობა გახდა, სოციალისტური პარტიის ერთი ნაწილი დიდ უხერხულობას განიცდის პოლ ბონკურის სკანდალური როლის გამო, იმ პოლ ბონკურის, რომელიც კუდში მისჩანჩალებს რეაქციონურ ნაციონალურ ბლოკს და მის ბატონს პუანკარეს. და აი, ჩრდილოეთის ფედერაციამ, სადაც ოდესღაც დიდი გავლენით სარგებლობდა საფრანგეთის მარქსიზმის ბელადი ჟიულ გედი, მოითხოვა ბონკურის გადაყენება. ფედერაციამ მიზნად დაისახა პარტიის გაწმენდა, რომ ოდნავ მაინც გასუფთავდეს და პირგამურული არ წარუდგეს მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო კონგრესს ბრიუსელში. მოწვეულ იქნა კონფერენცია, სადაც პარტიის მარჯვენა და „მარცხენა" ფრთის შორის ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. გაიმარჯვეს, რასაკვირველია, მემარჯვენეებმა, და პოლ ბონკური გამოვა წარმომადგენლად ერისა და იმავე დროს პუანკარესიც და მუშათა კლასისაც, სოციალიზმისაც და იმპერიალიზმისაც, ბურჟუაზიული პაციფიზმისა და საერთაშორისო სოლიდარობისაც. მდგომარეობას ართულებს ის გარემოებაც, რომ კონფერენციამ გადაწყვიტა მოითხოვოს ბრიუსელში (და არა ჟენევაში)— საფრანგეთის ჯარის დაუყოვნებელი ევაკუაცია რეინის ოლქიდან. ბონკური პუანკარესთან ერთად, რა თქმა უნდა, ამ ევაკუაციის წინააღმდეგ წავა, და სოციალისტური პარტია ორ ენაზე ილაპარაკებს, ერთზე— ჟენევაში, ხოლო მეორეზე —ბრიუსელში. თუმცა, უნდა ითქვას, ორ ენაზე ლაპარაკის ჩვეულება მან მემკვიდრეობით მიიღო მეორე ინტერნაციონალისაგან.

⁂

როგორც ყოველთვის, საფრანგეთმა იდღესასწაულა 14 ივლისი— ბასტილიის აღების დღე. ბურჟუაზიული რევოლიუციის ეს დღესასწაული დიდი ხანია გადაიქცა ქუჩურ ცეკვა-თამაშად სამიკიტნოებისა და რესტორანების წინ. არის ხოლმე ოფიციალური ცერემონიებიც, მაგრამ ისინი არავის არ აინტერესებს. წელს ეროვნული ბლოკის მთავრობამ გადასწყვიტა ძველი მონარქიული რეჟიმის ციხე- სიმაგრის აღების დღე „დამნაშავეთა" პატიებით აღენიშნა. საპყრობილეებში ათასობით სხედან მუშები და კომუნისტები— სხედან იმპერიალიზმისა და კოლონიალური ომების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მთავრობამ ამათ, რაღა თქმა უნდა, „დანაშაული" არ აპატია. სამაგიეროთ მან საპყრობილეების კარები სიამოვნებით გაუღო ელზასელ მსჯავრდადებულ ავტონომისტებს. და ჩაიდინა ეს არა ელზას-ლორენის დამოუკიდებლობის იდეის პატივისცემის ნიშნად, არამედ კლერიკალური რეაქციის გულის მოსაგებად, იმ რეაქციის გულის მოსაგებად, რომელსაც ელზას-ლორენში ფრანგული საერო კანონების შემოღებისა ისე ეშინია როგორც ცეცხლისა. საპყრობილეებშივე კვლავ სხედან კომუნისტი- დეპუტატები, დორიო და მენეტრიე და ყოფილი დეპუტატი ანდრე მარტი. დაპატიმრების შიშით იმალება ამას წინად პარლამენტში არჩეული დიუკლოც. მათზე ბ-ნ პუანკარეს „წყალობა" არ ვრცელდება. მშვიდობა რეაქციას, ბრძოლა კომუნიზმს,— აი ნაციონალური ბლოკის ლოზუნგი, რომელიც ასე ცხადად გამოჟღავნდა მთავრობის ამ აქტში.

⁂

თავისი პოლიტიკის აშკარა იმპერიალისტური ხასიათის დასაფარავად, მთავრობა არ იშურებს პაციფისტურ ფრაზებსა და ხრიკებს. ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და ყოველგვარი დიპლომატიური ოინბაზობის შემდეგ ბრიანმა და პუანკარემ თანხმობა განაცხადეს შეერთებული შტატების წარმომადგენლის კელოგის წინადადებაზე— „გამოცხადდეს ომი კანონის გარეშე". აქ პირველ ხანს შიშობდნენ —კელოგის წინადადებას არაფერი ევნო ბურჟუაზიული პაციფიზმის რეკლამის საგნათ გადაქცეულ მეორე დაწესებულებისთვის —ჟენევის ერთა ლიგისთვის. მაგრამ ეს შიში ერთბაშად გაიფანტა, როცა კელოგი მთელ რიგ დათმობაზე წავიდა; ასეთი დათმობა იყო, მაგალითად, ის მუხლი, რომელიც ამბობდა: ყოველ ქვეყანას შეუძლია გამოაცხადოს ომი, თუ დაინახავს, რომ მის დამოუკიდებლობას განსაცდელი მოელის. და პაციფისტები უკვე დღესასწაულობენ მშვიდობის ომზე, თან ერთმანეთს ქებათა-ქებას უძღვნიან მშვიდობიანობის საქმის ასეთი ერთგულებისთვის...

თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პაციფიზმი წარმოადგენს დროებით აუცილებლობას საფრანგეთისთვის, რომლის მოსახლეობაც არ იზრდება და რომელიც უნდა დაეყრდნოს ისეთ საეჭვო მოკავშირეებს, როგორნიც არიან რეაქციონური, ნახევრად ფეოდალური რუმინეთი და არა ნაკლებად რეაქციონური პოლონეთი. ამ ქვეყნების მთელი მოკავშირეობა და დახმარება ჯერჯერობით გამოიხატა იმაში, რომ ისინი განუწყვეტლივ ფულს თხოულობენ სესხად. რუმინეთის სესხის გამო პარლამენტის სესიის დახურვის დროს პატარა სკანდალიც კი მოხდა. ბერჟერიმ მოსთხოვა პუანკარეს ზოგიერთი გარანტია, თან მოაგონა მეფის დროის რუსეთის სესხები, რომლების წინააღმდეგაც ჟორესი ილაშქრებდა. პუანკარემ უხეშად უპასუხა, ამასთან პირადათ შეეხო ახალგაზრდა დეპუტატს, რომელსაც, ვიტყვით აქვე, გარეშე საქმეთა კომისიისაგან დავალებული აქვს რუსეთის ვალების გამო მოლაპარაკების წარმოება.

⁂

ყინულის მჭრელის „კრასინის" გმირობამ აქ მთელი სენსაცია გამოიწვია. მტრულად განწყობილი პრესის ცდის მიუხედავად, საზოგადოებრივი აზრი აღტაცებაშია რუსი მფრინავების და მეზღვაურების გმირობით, ბოლო დროს ხსენებული პრესა საზიზღარ და უაზრო ხმებს ავრცელებდა საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის შესახებ. რუს გადამრჩენთა გმირობა საზოგადოებრივ აზრში როგორღაც არ უდგება ამ არაკებს საბჭოთა კავშირზე. ყოველ ნაბიჯზე გესმით აღტაცებული სიტყვები რუს ხალხზე და გესმით არა მარტო მუშებისაგან. ამ მოვლენათა ფონზე უფრო გარკვევით მოსჩანს პარიზის ნაციონალისტური მუნიციპალიტეტის შავრაზმული საქციელი: მან წაშალა კრედიტი— რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც გადაიდო ფრანგების გასამგზავრებლად სპარტაკიადაზე საბჭოთა კავშირში.

ხ. რაპპოპორტი.

პარიზი, 1928 წ. 20 ივლისი.

საბჭოთა საქართველო

წერილები

სურამ-ძირულის გზატკეცილი

ამ გზის აშენება დაწყებული იქნა სამი წლის წინად საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველოს მიერ. პირველ წელიწადს მუშაობა სწარმოებდა მთელ სიგრძეზე, მეორე წელიწადს სრულებით შეწყვეტილი იყო, ხოლო წელს ისევ დაიწყეს მუშაობა. პირველი წლის მუშაობამ გზა თითქმის სრულებით გააფუჭა, ბევრ ადგილას კლდეები იქნა გალეწილი და დარჩა მოუთავებელი, კლდე ინგრევა და ჩამოდის გზაზე, რაც ზოგ ადგილს გაუვალად ხდის.

ამ გზას დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით გორის და შორაპნის მაზრების გლეხობისათვის, უგზოობით გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის.

წელს მუშაობა სწარმოებს ძირულიდან 20 კილომეტრის მანძილზე სოფ. ბორითამდე. ამ მანძილში იყო გადაუვალი სახელწოდებით „დეკანოიძეების" კლდე. ამ კლდეზე გლეხებს ურმებით უხდებოდათ მიტანილი ტვირთის ნაწილ-ნაწილად გადაზიდვა. დღეს ეს კლდე გაარღვიეს და იქვე მდინარე „ხელმოსმულაზე" დაიწყეს ხიდის აგებაც. კეთდება აგრეთვე ხიდები სხვა მდინარეებზედაც, რომლის დამთავრების შემდეგ მგზავრობა ოცი კილომეტრის მანძილზე შესაძლებელი გახდება.

გზის მთავარ ხელმძღვანელად ითვლება ინჟ. გრ. ჩხეიძე და სამუშაოთა მწარმოებლად ტეხ. გ. ბაკურაძე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველო წინანდებურად არ გააცდენს წელიწადებს და მომავალ წელში სრულებით დაამთავრებს ამ გზის გაყვანას, რაც დიდ დახმარებას გაუწევს გლეხობას მეურნეობის წინმსვლელობაში.

მ. კუხელი.

მიღწევები მცირეა
(წერილი ხონიდან)

კოოპერაციის მიერ საპაიო თანხის გადიდების კამპანია ხონის რაიონში სუსტად მიმდინარეობს, რასაც ადასტურებს ის, რომ თუ გასულ წელს კოოპერაციას ჰყავდა 5.000 წევრამდე, კამპანიის შემდეგ დღეს-დღეობით არის 6.000-მდე (45.000 მცხოვრებზე), საპაიო თანხა კი საშუალოდ გასულ წელს უდრიდა 3—50 კ., ეხლა ის უდრის—3—90 კ.

ამის მიზეზი მრავალია: უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს გამოყოფილ კომისიის სუსტი მუშაობა. კომისიამ სათანადოთ ვერ გამოიყენა კოოპორგანიზატორები, ხელიდან უშვებენ მებრეშუმეობის დროს, ნაკლებად არის გამოყენებული ღარიბ გლეხთა ჯგუფებს (მათი ფონდები), საბჭოები, დელეგატ-ქალები, გლეხკომები და სხვა.

მეორე ის, რომ ხონის რაიონი წელს განიცდის დიდ კრიზისს სურსათ-სანოვაგის მხრივ (გლეხობას საშუალოდ არ მოსვლიათ 3—4 თვის საზრდო), სიმინდის ფასი ბაზარზე აღწევს 5—6 მანეთს. კოოპერაციამ კი პურისა და სიმინდის თავის დროზე მომარაგებით ძალზე მოისუსტა და ეხლა, თუ ასეთი მდგომარეობა არ გამოასწორა კოოპერაციამ სიმინდის მოტანის მხრივ, გლეხს, რომელსაც ის ყიდულობს 6 მან. ფუთ სიმინდს, არ შეუძლია კოოპერაციის წევრად გახდომა. საპაიო თანხის გადიდება და ამ მხრივ ჩვენ შემდეგომამდე ნაკლები მიღწევები გვექნება.

ი. ფალავა.

ყურადღება ამ აბარაკს
(აბარაკი ხურო, ზუგდიდის მაზრა)

საქართველო მდიდარია მინერალურ სამკურნალო წყაროებით. ამ ორი წლის წინეთ გალის თემშიც იქნა აღმოჩენილი ე. წ. კიროვანი წყლები. ეს წყაროები მეცნიერ-სპეციალისტების აზრით პირველხარისხოვან სამკურნალო წყლების რიცხვს უნდა მიეკუთვნოთ. სხურის წყაროების სამკურნალო თვისებას კარგა ხანია იცნობს ადგილობრივი მოსახლეობა უკანასკნელ ხანებში მაინც, ის ფრიად პოპულარული შექნა სამეგრელოში და აფხაზეთში. წყაროებს უამრავი ხალხი აწყდება სამკურნალოდ, ის არ არის მოწყობილი და მოვლილი. ადგილობრივი ხელისუფლება საკმაო ყურადღებას აქცევს აბარაკის კეთილმოწყობას, მაგრამ საჭიროა მეტი თანხების გაღება. ამას მოითხოვს ჩვენი გლეხობის გაჯანსაღების საქმე, რომელსაც უდიდესი ყურადღება ექცევა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს.

მ. ჭანტურია, შ. ჯიქია.

„პურ-მარილის" ბრალი ხომ არ არის?
(ქუთაისის სამ. ალმასკომის საყურადღებოთ).

გამოჩინებულის თემალმასკომის მდივანი (ნიკოლოზის დროის მწერალი) ესტატე ქორიძე უდიერათ ეპყრობა გლეხობას. უბრალო საქმისათვის რამოდენიმეჯერ უნდა მიხვიდე ალმასკომში, მდივნის ნახვას კი მაინც ვერ მოახერხებ ადამიანი. ის სამიკიტნოებში ატარებს დროს, გლეხები კი ალმასკომის კარების წინ უცდიან გალეშილი მდივნის მობრძანებას. ეს კიდევ არაფერია. როცა მოსვლას ინებებს არც მაშინ ბრძანდება ხასიათზე „უფალი" მდივანი. უყვირის და სტუქსავს ალმასკომში მოსულ გლეხებს.

აღსანიშნავია, რომ მდივანი ქორიძე ძველი დროის „გმირია". ის ძველი რეჟიმის დროსაც იჯდა ციხეში ყალბი საბუთების შედგენისათვის. ყველაფერი ეს იცის ადგილობრივ ალმასკომის თავმჯდომარემ, მაგრამ ჯერ იმას მოხსნა მაინც ვერ გაუბედია, ჩვენ ეჭვი გვეპარება: „პურ-მარილი" ხომ არაფერ „უშველია" აქ?

ტ—ლი.

მოსაგვარებელი საქმე
(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთში ყველაზე უფრო მოუგვარებელი და უყურადღებოთ არის მიტოვებული ამჟამად საბინაო საკითხი.

აქ ბინების კრიზისი იმდენად გამწვავებულია რომ მრავალი მუშა-მოსამსახურეები სრულიად უბინაოდ არიან. ბინის კრიზისი მით არის გამოწვეული, რომ ოზურგეთის აბრეშუმის ძაფ-საღებ ქარხანაში რამოდენიმე ასეული მუშა მუშაობს, რომლებიც ჩამოსული არიან გურიის სხვადასხვა კუთხიდან.

სახლების მეპატრონეთა თავაშვებულობას საზღვარი არა აქვს: მათთვის არ არსებობს არავითარი ნიხრი და კანონი; უბრალო სარდაფიც კი 15—20 მანეთამდე ფასობს.

უბინაოდ ქუჩაში დარჩენილი ხალხი ძალაუნებურად იძულებული ხდება ხელში ჩაუვარდეს ალვირახსნილ სახლის მეპატრონეებს და დააკმაყოფილონ მათი ყოველგვარი მოთხოვნილება.

საბჭოების გადარჩევის დროს ეს საკითხი პირველად წამოიჭრა და ამომრჩევლებმა დაავალეს ქალაქის საბჭოს, რათა მის მიერ შემუშავებული ყოფილიყო საბინაო ტარიფი, მაგრამ ეს ნაკაზად დარჩა ქაღალდის ფურცლებზე და საქმეს კი არაფერი ეშველა.

მდგომარეობა არ ითმენს ცდას, საბინაო ტარიფის გამომუშავება რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა მოხდეს, რათა ფრთები შეეკვეცოს ბინის პატრონების თარეშს.

საჭიროა აგრეთვე, რომ ბინის კრიზისთან ბრძოლის მიზნით ქალაქის ალმასკომი აქედანვე შეუდგებოდეს საბინაო კოოპერატიულ ამხანაგობის მოწყობას.

გლეხკორი ტ. ავანელი.

წერილებიდან

ქასპის თემი, (გორის მაზრა). კასპის თემში შედის ს. ალაიანი, რომელიც ძალზე ჩამორჩენილია, აქ არ არსებობს სამკითხველო, არც კოოპერატიული სავაჭრო და ამის გამო გლეხობა ხელში უვარდება კერძო ჩარჩებს. საჭიროა თაოსნობა კოოპერატივის და სამკითხველოს გასახსნელად.

ალ. ქინქაძე.

ს. ლებარდე, (სენაკის მაზრა). გასულ წელს ამ სოფლის გლეხობამ დაადგინა გაეფართოვებინა გზა სკოლიდან მდინარე ხანჯღარის მიმართულებით, მაგრამ ეს დადგენილება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. საჭიროა ფოცხას თემალმასკომმა მიაგვაროს ეს საკითხი.

ა. გოგინავა.

ს. მეწიეთი, (გურია). მეწიეთში მცხოვრები მარო კეშელავა მეტად უზნეო ადამიანია. დღე ისე არ გავა, რომ მან ვინმეს შეურაცხყოფა არ მიაყენოს, არ გალანძღოს. ცილისწამება, ჭორიკანობა და ჩხირკედელაობა ხომ მისი მოგონილია. მოსთხოვეთ პასუხი ამ უზნეო ადამიანს.

ბროლ-იაზამი.

ს. ქვიშარი, (ლეჩხუმის მაზრა). ამ სოფელში მცხოვრები 16 გლეხი წყლის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. გლეხობას სურს თავიანთი ხარჯით წყაროს გამოყვანა, რომელიც ნახევარი ვერსის მანძილზე დაშორებული, მაგრამ არა ჰყავთ ხელმძღვანელი, რომ ეს საქმე ითავოს. საჭიროა თემ-ალმასკომმა გლეხობას გაუწიოს დახმარება.

მწრომელი.

მუშათა ცხოვრება

ალმატების შედეგი
(სად. ხარაგოული)

ხარაგოულის სადგ. უფროსის თანაშემწე პავლე თავზარაშვილი, 24 ივლისს ცვლიდა შვებულებაში მყოფს სადგურის უფროსს. ეს სათანადო თანამდებობა თუმცა ხანგრძლივი არ იყო, მაგრამ პავლე რა პავლეა თუ ყველგან თავის კვალს არ დაამჩნევს.

პავლეს მოუწია რა მორიგეობამ, ის საიდღანაც უზომოდ გალეშილი მობრძანდა და სადგურზე, რომ ახალ უფროსს ყველასათვის თავისი რიხი და გავლენა ეჩვენებინა, პირველ რიგში დაუწყო ლანძღვა-გინება მორიგე ტელეგრაფის მოხელეს ამხ. კიკნაძეს. კიკნაძემ მას ურჩია წასულიყო და სადაც გალეშა იქვე გამოფხიზლებულიყო. ამაზე პავლე საშინლად გაწყრა და მედიდურად უყვირა: „მე მორიგე ვარ, მე გიბრძანებ". და თანაც სამაგიდო ჟურნალში რამდენიმე სიტყვა ჩასწერა, მაგრამ აბა რომელი სულელი იქნებოდა უზომოდ მთვრალ ადამიანისათვის მორიგეობა ჩაებარებინა.

მორიგე ვეფხვაძემ, ურჩია თავზარიშვილს წასულიყო დასასვენებლად და მის მაგიერ თითონ გასწევდა მორიგეობას, თხოვნამ გასჭრა მორიგეობის მიღებაზე პავლე აღარ იწევდა. მაგრამ სადგურზე მყოფს და არ მყოფს კი ცუდი დღე დააყენა: წაეკიდა მუშა მატარებლის ათისთავს ამხ. შარვაძეს, რომელიც სამსახურის გამო კანტორაში იყო და მოუნდომა გარეთ გამოგდება. მან ხელის შეხებითაც კი შეურაცხყოფა მიაყენა შარვაძეს. შემდეგ იერიში მუშა მატარებლის მთავარ კონდუქტორზე მიიტანა და ლანძღვა-გინებით გაუმასპინძლდა. პავლე თუ ვისმეზე გულნაკლულად იყო, არავინ დაინდო და უბნის უფროსს კოშკაძეს და გზის ოსტატს ნავრაზაშვილს სულ ცოლი და დედა აგინა, თუმცა არც ერთი მათგანი იმ დროს ხარაგოულში არ ყოფილა.

ამ ყვირილ და აყალმაყალზე აუარებელმა ხალხმა მოიყარა სადგურზე თავი. ყველა გულისწუხილით უყურებდა ამ მოინტელიგენტო ხულიგანს.

ასეთი ზეიმით აღინიშნა თავზარიშვილმა სადგურის დროებითი უფროსობა, არ იქნება მაშინ, როდესაც მას მუდმივად დანიშნავენ სადგურის უფროსად, მაგრამ ვფიქრობთ განყოფილების უფროსი, მოქ. თავზარიშვილს არ „მოაცდენს" სადგურის უფროსის მუდმივ თანამდებობაზე დანიშვნით.

მემუხრუჭე.

ქარხკომი კარგად მუშაობს

„საქართველოს ღვინო"-ს ქარხკომის მუშაობა დღითი-დღე უმჯობესდება. ძველი ქარხკომის მუშაობა ვერ აკმაყოფილებდა მუშების მოთხოვნილებას. დღეს კი ქარხკომის საქმიანობით მუშები კმაყოფილი არიან. ქარხკომი აერთიანებს 137 მუშა - მოსამსახურეს. კრებები სისტემატიურად იწვევა და ირჩევა საჭირბოროტო საკითხები. ქარხკომის მუშაობის წყალობით სამუშაოების უმიზეზოთ გაცდენა და ლოთობა; საგრძნობლად შემცირდა. ამასთან დაკავშირებით ქარხნის საქმიანობას დაეტყო გაუმჯობესება. ქარხკომთან არსებობს თავდაცვა-ავიაქიმის წრე და სამხედრო კუთხე, სადაც წრის წევრები სწავლობენ სროლას და საერთოდ სამხედრო საქმეს.

აღსანიშნავია აგრეთვე კულტკომისიის, შემფ. საქ. კომისიის და შრომის დაცვის კომისიის მუშაობა. აღნიშნული კომისიები პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას; მართავენ ლექციებს სხვადასხვა თემაზე და სხ. ქარხკომის საშუალებით მუშები იწერენ გაზეთებს. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე კედლის გაზეთს, რომელიც ყოველთვიურად გამოდის. გაზეთში იწერება ქარხნის ნაკლის და მიღწევების შესახებ. ქარხკომის ასეთმა მუშაობამ გააუმჯობესა სხვა-სხვა წრეების მუშაობა. მაგრამ ამ ქარხნის მეორე განყოფილებაში, სადაც მზადდება ლიკიორი, კონიაკი და სხვა, დღემდე არ არის მოწყობილი სასადილო. მუშები საუზმობენ სამქროებში, რაც დაუშვებელია. ქარხკომმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

ვ. ერემოვი.

მალარია ხელმეორეთ გაჩნდება

ფ. მახარაძის უბანი (საბურთალო) ყველასაგან მივიწყებული და ყველა უბანზე მეტათ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება. 1921 წ. ამ უბანში საშინელი მალარია იყო გავრცელებული. უბანი თავის მდებარეობით—თბილისის დანარჩენ ყველა უბნებზე მაღლობია, მაგრამ აქ ჭაობები მაინც ბლომად იყო. 25-30 წ. წინათ, უბნის დასავლეთ ნაწილში (ეხლა მდელოსად წოდებული), დასახლებულან მებაღეები. უსარგებლიათ ლისის ტბის წყლით, რომელიც მანქანების საშუალებით გადმოუყვანიათ თავიანთ ბაღებში და ნაწრეტი წყლისათვის კი გასავალი არ მიუციათ. მებაღეებმა, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ თუ ეს ნაწრეტი წყალი, უგზოობის გამო დააჭაობებდა მთელ მიდამოს. ძველად არსებულ ხელისუფლებებს კი ასეთი საქმისათვის არ ეცალოდა.

დღეს ამ გარემოებას მიექცა ყურადღება. ჭაობები ამოშრობილია, საშრობი არხებიც გაყვანილია, მაგრამ მიუხედავათ წარსული მწარე გაკვეთილისა, ისინი დღესაც მოკლებული არიან მეთვალყურეობას: გაყვანილ არხებზედ, ზოგ ადგილას ბოგირები უნდა გაეკეთებინათ. ამისათვის ჯერ კიდევ 1926 წელს მოზიდეს ქვები, მაგრამ ბოგირების გაკეთება ჯერაც არავის უფიქრია. ქვების ნაწილი კი უკვე მოიპარეს. აქა-იქ თხრილები აივსო, არხებში კვლავ ჩაგუბდა წყალი, წელს ამინდიც ხელს უწყობს და უნდა ვიფიქროთ რომ ასეთ ჩაგუბებულ წყალში, უამრავი კოღო გამოიჩეკება მალარიის გასავრცელებლად. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ შემოდგომის დასაწყისში, მალარიით დაავადების პროცენტი შესამჩნევათ აიწევს, რაც მეტათ დიდ ზიანს მიაყენებს როგორც მცხოვრებელთ, ისე თვით ხელისუფლებასაც.

დროა მივაქციოთ სათანადო ყურადღება განაპირა უბნების კეთილმოწყობის საქმეს და მივიღოთ შესაფერი ზომები დაწყებულ საქმის საბოლოოდ დასამთავრებლად.

გოგიტო ციმბირელი.

—:—

მუშკორთა წერილებიდან

ბინებით ვაჭრობენ. პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე მუნიციპალიზაციაქმნილ სახლში № 97, ყიდიან ბინებს და სცვლიან ერთმანეთში ოთახებს. უძრავ ქონებათა სამმართველოს, მიაქციე ყურადღება.

მუშა.

ჯილდოს არ ვღებულობთ. საბადურის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღის თანამშრომლები ხშირად მუშაობენ ზედმეტ საათებში, მაგრამ ზედმეტი მუშაობის ჯილდოს ისინი არ ღებულობენ. გარდა ამისა საბავშვო ბაღის ზოგიერთი ძიძები ბავშვებს უდიერად ეპყრობიან.

ფარ—ტი.

ნუ ვიზარალებთ (კახპო). კასპის ცემენტის ქარხნის ფარგლებში მოჰყვა საუცხოვო ბაღვენახები. სადაც ყოველ ზაფხულობით აუარებელი ხილი მოდის. ქარხნის ადმინისტრაცია ამ ხილს ჰყიდის ფუთ 1 მან. და 35 კაპიკად იმ დროს, როდესაც მისი ფასი თავის დროზე 5 მანეთს აღემატება. გარდა ამის ხილი კერძო ვაჭრებზე იყიდება. საამშენებლო კომიტეტმა ზომები უნდა მიიღოს ზარალის თავიდან ასაცილებლად.

მორბი.

რა გვიპასუხეს

თქვენი გაზეთის მე-155 ნომერში მოთავსებული შენიშვნის შესახებ, სათაურით „რატომ არ მოსთხოვეს პასუხი", ა.-კ. რკინის გზის გამგეობა გაცნობებთ, რომ მთავარ სახელოსნოს მოანგარიშე ზუბაძეს, როგორც პოლიტექნ. ინსტიტ. სტუდენტს, მიეცა ერთი კვირის შვებულება გამოცდების ჩასაბარებლად და 5 დღე ზედმეტ საათებში მუშაობის კომპენსაცია, რაც შეთანხმებული იყო შრომის ინსპექტორთან.

მთავარი კანტორის უფროსის მაგიერ—ვეკუა.

—:—

გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-129 ნომერში მოთავსებულ შენიშვნის შესახებ სათაურით „როდის გამოსწორდება", შავი ზღვის რკ. გზის სამხრეთ ნაწილის საამშენებლო სამმართველო გაცნობებთ, რომ წერილში აღნიშნული დისტანციის მოანგარიშე მოქ. ფონჩუა დათხოვნილია სამსახურიდან.

სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი კაციტაძე
ადმინისტრ. განყ. უფროსი ბახტაძე.

საქ. პროფკავშირთა მე-7 ყრილობისათვის

დელეგატების არჩევნები დაიწყო 1-ლ აგვისტოდან

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია:

ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ა. წ. ნოებრის მეორე ნახევარში მოწვეული იქნება საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობა.

ყრილობისათვის ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულია წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები და არჩევნების წესი:

პროფორგანიზაციები ყოველ 400-დან 500-მდე კავშირის წევრზე ერთ დელეგატს ირჩევენ. 500-ზე ზევით ყოველი სრული 400 კავშ. წევრი იძლევა თითო დელეგატის არჩევის უფლებას.

ის პროფორგანიზაციები კი რომელნიც 400-ზე ნაკლებ წევრს აერთიანებენ, დელეგატებს ირჩევენ სხვა პროფორგანიზაციებთან გაერთიანებულ კონფერენციებზე ან საერთო კრებებზე.

როგორც საერთო წესი, დელეგატების არჩევნები მოხდება დაწესებულებებში და ფაბრიკა -ქარხნებში კავშირის წევრ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ან გაფართოებულ კონფერენციებზე, ზევით აღნიშნულ ნორმის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დაწესებულებასა და ან ფაბრიკა-ქარხანაში კავშირის წევრთა რაოდენობა არ აკმაყოფილებს ამ ნორმას, ე. ი. არ აღწევს 400-ს, მაგრამ თუ ეს რაოდენობა იმავე დროს არ არის 300-ზე ნაკლები, მაშინ ამ დაწესებულებიდან ან ფაბრიკა-ქარხნიდან უშუალოდ აირჩევა ერთი დელეგატი.

ყრილობის დელეგატების არჩევნების დროს ანგარიშში უნდა იქნეს მიღებული მხოლოდ კავშირის ისეთი წევრები, რომელნიც ნამდვილად იხდიან საწევრო ანარიცხებს, იმ კავშირის წევრებს, რომელთაც არჩევნების დროს არ ექნებათ შეტანილი საწევრო ანარიცხები სამი თვის განმავლობაში, არ ექნებათ უფლება არჩევნებში მონაწილეობისა, ანგარიშში მიიღება აგრეთვე კავშირის ის უმუშევარი წევრები, რომელნიც დანიშნულ ვადებში წესიერად ცხადდებიან აღრიცხვაზე.

არჩევნების დროს ხელმძღვანელმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ, რათა მუშა-ქალები და ახალგაზრდები წარმოდგენილ იქნენ ყრილობაზე იმ ხვედრითი წონის მიხედვით, რომელიც მათ უჭირავთ კავშირის საერთო მასაში.

მე-7 ყრილობის დელეგატების არჩევნები ყველა პროფორგანიზაციებმა უნდა ჩაატარონ 1-ლ აგვისტოდან 15 ნოემბრამდე.

ყველა დელეგატებმა უნდა წარმოადგინონ სწორი ცნობა სათანადო პროფორგანიზაციის ხელმოწერით (კავშირის ცენტრ. გამგეობა, სამპროფბიურო) საწევრო ანარიცხების გადამხდელ კავშირის წევრთა რაოდენობის შესახებ. ეს ცნობები უნდა დადასტურებული იქნეს მაღლა მდგომ პროფორგანიზაციის მიერ: გარდა ამ ცნობისა დელეგატებმა უნდა წარმოადგინონ საერთო კრების ან კონფერენციის ოქმიდან ამონაწერი მათი არჩევის შესახებ.

ს. კ. პ. ს. პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა საკავშირო პროფორგანიზაციებს, მტკიცედ დაიცვან სრ. საქართველოს პროფკავშირთა მე-7 ყრილობის არჩევნების ის წესი და წარმომადგენლობის ნორმები, რომელიც აღნიშნულია ამ ინსტრუქციაში. საკავშირო და საკავშირთაშორისო არც ერთ ორგანიზაციის წარმომადგენელს ყრილობაზე არ მიეცემა სათათბირო ხმა.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესი

განათლების სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ მომავალი სამოსწავლო წლიდან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები განცხადებების შეტანა დაიწყო პირველ აგვისტოდან.

განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ, ან დაზღვეული წერილით, სათანადო უმ. სასწ. მიმღებ კომისიაში შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) წლოვანების (შემსვლელი უნდა იყოს არა ნაკლებ 17 წლისა), ბ) განათლებისა (ასლით), გ) სოციალურ მდგომარეობისა (ალმასკომის, ან პროფორგანიზაციის მიერ მიცემული ასლით), დ) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულებისა, ე) მატერიალურ მდგომარეობისა (თავისი ან მშობლების თვიური ხელფასი, გადასახადით დაბეგვრისა და სხვა), ვ) ჯანმრთელობის შესახებ (სამკურნალო დაწესებულების მიერ მიცემული), ზ) ორი შემოწმებული ფოტოგრაფიული სურათი და თ) სათანადოთ შემოწმებული ანკეტა.

საქ. უნივერსიტეტში გამოცდები დაიწყება 15 აგვისტოს. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: მათემატიკაში, ალგებრაში; გეომეტრიაში; ტრიგონომეტრიაში; ფიზიკაში, საზ. მეცნიერებაში, ქართულ წერაში და რუსული ზეპირში.

ლენინის სახელ. პოლიტექნ. ინსტიტუტში.—მათემატიკაში; ფიზიკაში; საზ. მეცნიერებაში; რუს. წერაში და ქართულ ზეპირში.

პროგრამების და ანკეტების ბლანკების შეძენა შეიძლება უმ. სასწავლებლების კანცელარიაში.

პურის დამზადება

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა სამაზრო პროფბიუროებს დაუგზავნა ცირკულიარული წერილი, რომელშიაც წინადადებას აძლევს მათ ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ პურის დამზადების საქმეს. ცირკულიარში ნათქვამია:

ამჟამად საქართველოში მიმდინარეობს პურის დამზადების კამპანია.

ახალი მოსავლის დამზადების წარმატებით დამთავრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის; დამზადების კამპანიის შეფერხება ხელს შეუშლის ჩვენი მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარების გეგმების შესრულებას, რაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენებს სახელმწიფოს და გააუარესებს მუშათა კლასის მდგომარეობას.

ს. პ. კ. საბჭო წინადადებას აძლევს ყველა სამაზრო პროფბიუროებს, რათა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მაზრებში ახალი მოსავლის დამმზადებელ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, გასწიონ აგიტაცია კავშირის წევრთა და მოსახლეობის შორის ამ კამპანიის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ და ამით ხელი შეუწყონ აღნიშნული ამოცანის 100 %-ით შესრულებას.

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის წინ

სამზადისი ადგილებზე

წინასწარი სამზადისი 1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გასაწვევათ წითელ ჯარის რიგებში დამთავრებულია.

გამორკვეულია გასაწვევ ახალგაზრდების რიცხვი და მათი ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა შეღავათების მისაცემათ.

სამხედრო კომისარიატების მიერ შედგენილია სია იმ მოწაფეებისა, რომლებსაც გაუგრძელდებათ ჯარში გაწვევის ვადა ამ თუ იმ სასწავლებლის დამთავრებამდე.

შეღავათები გასაწვევ ახალგაზრდობას

1906 წელში დაბადებულთა გაწვევასთან დაკავშირებით, მუშურ-გლეხური წითელი არმიის მთავარ სამმართველომ შეიმუშავა იმ სასწავლებლების სია, რომლებშიაც სწავლა იძლევა წითელი ჯარის რიგებში გაწვევის ვადის გაგრძელების უფლებას.

ხსენებულ სიაში შეტანილია მთელი რიგი ახალი სასწავლებლებისა, მაგ. პროლეტკულტის სტუდია, სახელოსნოები, უცხო ენებში უმაღლესი კურსები, სავაჭრო დაწესებულებების, სინდიკატების და ბანკების მუშაკთა მოსამზადებელი კურსები და სხვა.

ხსენებულ სასწავლებლების და კურსების ადმინისტრაციამ უნდა წარადგინოს სათანადო სამხედრო კომისარიატში იმ მოწაფეთა და მსმენელთა სია, რომლებსაც ეხება ჯარში გაწვევა. სიების მიღების და შემოწმების შემდეგ, სამხედრო კომისარიატი აძლევს შუამდგომლობას გასაწვევ ახალგაზრდებისათვის გაწვევის ვადის გასაგრძელებლად.

—:—

მიწის მხვნელებს და მიწათმოქმედებს, რომლებიც დაბადებულნი არიან 1906 წელში და ეხებათ წითელ ჯარში გაწვევა, გაუგრძელდებათ წითელ ჯარში გაწვევის ვადა დაინტერესებულ სამიწათმოქმედო ორგანიზაციების შუამდგომლობით.

მიწისმზომლებს და მიწათმოწყობებს ჯარში გაწვევის ვადა უგრძელდება 5 წლით.

ცნობების მიღება გაწვევის შესახებ

ცნობების მიღება იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებული არიან გაწვევასთან, შეიძლება სამხედრო მაგიდის გამგეებთან.

მიღებულია ზომები, რომ სოფლად, სამხედრო კუთხეებთან, ქოხ-სამკითხველოებთან სწარმოებდეს ცნობების გაცემა გაწვევის ირგვლივ.

სამხედრო კუთხეები და ქოხ-სამკითხველოები მომარაგებულნი იქნებიან საჭირო ლიტერატურით და მასალით.

მუშათა კლუბების ნაკლოვანებანი

(დისპუტი საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბში)

დისპუტის მეორე დღეს გაგრძელდა კამათი მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბიტუხანმა, კოვალევმა, ვ. პატარაიამ, შ. ორჯონიკიძემ, მგელაძემ, ნოდიამ; ჩიქოვანმა; გაიდუკოვმა; ვ. ნანუაშვილმა და სხვ.

ორატორები აღნიშნავდენ, რომ ამჟამად მუშათა კლუბებში არავითარი ყურადღება არ ექცევა პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობას. კლუბების შემოსავლის მეტი ნაწილი იხარჯება მოწვეულ გასტროლიორებზე, რომლებიც სრულიად ვერ აკმაყოფილებენ მუშათა მასების მოთხოვნილებას და ძალიან ძვირათაც ჯდებიან. ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ რომ საკუთარ დრამწრეს მიექცეს მეტი ყურადღება და მიეცეს მეტი თვითმოქმედების შესაძლებლობა. პროფსაბჭოსთან არსებულ საკონცერტო ბიუროს წინადადება უნდა მიეცეს მუშათა კლუბებში გასტროლიორები გაუშვას მხოლოდ გაცხრილვის შემდეგ. ამასთანავე ბიუროს უნდა დაევალოს მიიღოს გადამჭრელი ზომები გასტროლიორების ჰონორარის შესამცირებლად.

ორატორები აღნიშნავენ, რომ მუშათა კლუბებში ხშირად იმართება უხეირო ლექციები ლექციებს და მოხსენებებს ხშირად კითხულობენ მოუმზადებელი პირები, რაც გულს უცრუებს კლუბში მოსიარულე მუშებს. ორატორები საჭიროდ სთვლიან მომზადებულ ლექტორების კადრის შექმნას. ამავე მიზნით გამოყენებული უნდა იქნან ადგილობრივი სამეცნიერო ძალებიც. მუშათა კლუბების ეკრანზე უმეტესად აჩვენებენ ძველისძველ სურათებს. საკინმრეწვს, რომელიც მუშათა კლუბებისათვის ახალი სურათების მიცემაზე უარს აცხადებს, წინადადება უნდა მიეცეს ერთხელ და საბოლოოდ აღმოფხვრას მუშათა კლუბებისადმი ასეთი მოპყრობა და საშუალება მისცეს მუშათა კლუბებს თავის მაყურებელს აჩვენოს ახალი სურათები.

უკანასკნელ ხანებში მუშათა კლუბებში ისევ გახშირდა ხულიგნობის შემთხვევები რასაც საჭიროა მიექცეს სერიოზული ყურადღება და მიღებულ იქნეს გადამჭრელი ზომები. მუშათა კლუბებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ლოთობასთან ბრძოლის საქმეს კლუბებში უნდა მოეწყოს დედათა და ბავშვთა კუთხეები და სხვა. ორატორები საჭიროდ სთვლიან აგრეთვე კლუბების კეთილმოწყობის საქმის გაუმჯობესებას და კლუბის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. კლუბების გამგეობაში არჩეულ უნდა იქნან კლუბის აქტიური წევრები და არა შემთხვევითი ელემენტები.

კამათის დამთავრების შემდეგ მოსმენილ იქნა მომხსენებელთა საბოლოო სიტყვები. რეზოლიუციების შესამუშავებლა დარჩეულ იქნა კომისია 9 კაცის შემადგენლობით. კომისიაში არჩეული არიან: ამხ. მხიტაროვი; როგავსკოი, გალკინი, იაგნეტოვი, ცურინოვი; ს. ორჯონიკიძე; დნეპროვსკი; დუბენსკი და ფიროშოვი.

სახელმწიფო დაზღვევა გურიაში

ოზურგეთის მაზრაში არსებობს სახელმწ. დაზღვევის ერთი სამაზრო და ოთხი რაიონული სააგენტო. ცეცხლისაგან სავალდებულო დაზღვევა შემოღებული იქნა 1923 წ. მარტში ქ. ოზურგეთში. მსხვილფეხა საქონლის სავალდებულო დაზღვევა მაზრაში შემოღებულ იქნა 27-28 საბიუჯეტო წელში. მიმდინარე წელს ტარდება დაზღვევის ორი სახე: სავალდებულო და ნებაყოფლობითი. შენობები სავალდებულო წესით დაზღვეულია მარტო ოზურგეთში. რქოსანი და მსხვილფეხა საქონლის დასაზღვევი ანარიცხები მიმდინარე წელს მთელს მაზრაში უდრის 53,783 მან. ამ თანხიდან ულარიბესი გლეხობისათვის საშეღავათო ფონდში გამოყოფილია 9.464 მანეთი, რომელიც 600 მან. გარდა განაწილებულია ულარიბესთა შორის. სულ ასაკრეფი თანხა უდრიდა 44.314 მან.; აქედან 15 ივლისამდე აიკრიფა 22.000 მან., ესე იგი 50 პროცენტი.

ამავე საანგარიშო წელში სახდაზღვევის მიერ დახოცილ დაზარალებულ საქონლის ასანაზღაურებლად გაცემულია 90.000 მან. წლის ბოლომდე ეს თანხა 10.000 მ. გაიზრდება. აჰრივად დახოცილ საქონლის ასანაზღაურებლად გლეხობას დაურიგდება სამჯერ მეტი თანხა იმ შემოსავალზე, რომელიც უნდა აიკრიბოს გურიაში დაზღვევის გადასახადთა სახით.

დაზღვევის ანარიცხების აკრეფა ცუდათ მიმდინარეობს. მოსახლეობა ვერაა გარკვეული სახდაზღვევის მნიშვნელობა-ამოცანებში, რის გამოც დასაზღვევი ობიექტების აღრიცხვის დროს ადგილი ქონდა საქონლის გადამალვას. მიუხედავათ ამისა მოსახლეობა კმაყოფილია სახდაზღვევის მუშაობით და ნდობის თვალით უყურებს მას.

მომავალში ადგილებზე უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს დასაზღვევი ობიექტების სწორ აღრიცხვას, ფართოდ უნდა განემარტოს გლეხობას, რომ აღწერის დროს საქონლის გადამალვა მეურნეობისათვის საზიანოა, ვინაიდან აღურიცხავი საქონელი არ იზღვევა და დაზარალების შემთხვევაში არ იქნება ანაზღაურებული.

ობიექტების აღრიცხვის დროს დაშვებული შეცდომა პირველ ოქტომბრამდე უნდა გამოსწორდეს. ამისათვის საჭიროა მეურნემ ასარიცხ ობიექტის გამორჩენის ან საქონლის ახლად შეძენის შემთხვევაში მიმართოს სახდაზღვევის ადგილობრივ აგენტს, რომელიც ვალდებულია მაშინვე მოახდინოს დამატებითი აღრიცხვა.

მარტო ოზურგეთის მაზრაში მიმდინარე წელს რამოდენიმე ათასი დაუზღვეველი საქონელი გაწყდა. ამ გარემოებამ გლეხობას დიდი ზარალი მიაყენა.

სავალდებულო დაზღვევის გარდა მაზრაში აღრიცხულია ნებაყოფლობითი დაზღვევის შემთხვევა: რქოსანი და მსხვილფეხა საქონლის — 200; შენობების — 60; საგარანტიო ფინმუშაკების — 2; საოჯახო ნივთების —1 და გლეხის სიცოცხლის 1.568. ეს ციფრები მოწმობს, რომ გურიის მოსახლეობა სახელმწიფო დაზღვევას ნდობის თვალით უყურებს.

მ. პ.

სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენისათვის

ავტონომიურ რესპუბლიკებს და ყველა სამაზრო ალმასკომებს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ ავტონომიურ რესპუბლიკებს და ყველა სამაზრო ალმასკომებს დაუგზავნა შემდეგი ცირკულიარი:

მიმდინარე წელს ჩვენს უმთავრეს ამოცანას შეადგენს უმაღლესი საკავშირო ორგანოების (სსრკ სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს) დირექტივების შესრულება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენის შესახებ.

ზემოაღნიშნული დირექტივების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია შეუდგა სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენას და ამჟამად უკვე დამთავრებულია მისი პირველი ვარიანტი.

მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებული გეგმით მუშაობაში ჩაბმული იყვნენ რესპუბლიკის სამეცნიერო ძალები, სახელმწიფო-სამეურნეო და პროფესიონალური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სახალხო კომისართა საბჭოს საჭიროდ მიაჩნია, რომ საგეგმო კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობა ამ მხრივ შეთანხმებული იქნეს ადგილებზე დაგროვილ გამოცდილებასთან და აგრეთვე ცენტრში მომუშავენი გაეცნონ ადგილობრივ მუშაობის მსვლელობას და რესპუბლიკის ცალკე რაიონების სპეციალურ პირობებს.

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დაგეგმვა გლეხურ ინდივიდუალურ მეურნეობათა სხვადასხვაობის გამო.

სასოფლო-მეურნეობის გეგმის განხილვის საქმეში ჩვენი პარტიული და საბჭოთა აქტივის, აგრეთვე აგრო-პერსონალისა და ადგილობრივი მეურნეობის ხელმძღვანელთა ჩაბმის მიზნით, სახალხო კომისართა საბჭომ თავის ა.-წ. ივლისის 13-ის სხდომაზე დაადგინა: მოწვეულ იქნეს ქ. თბილისში სოფლის მეურნეობის და კერძოთ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათა აღმშენებლობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის 1-ლი ვარიანტის განსახილველად ავტონომიური რესპუბლიკების და სამაზრო ალმასკომების წარმომადგენელთა ფართო თათბირი.

სახკომსაბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების შესასრულებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ საერთო რესპუბლიკანური თათბირის მოწვევის დღეთ დანიშნულია ა.-წ. აგვისტოს 21.

წინადადებას გაძლევთ სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის და კოლმეურნეობის მშენებლობის გეგმის 1-ლი ვარიანტის და უმთავრესად კი საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის დეტალურად განხილვის მიზნით მოიწვიოთ მაზრის მასშტაბით თათბირი.

ადგილობრივ თათბირზე მონაწილეობა უნდა მიიღონ მთელი მაზრის აგრონომიულმა პერსონალმა, გლეხთა აქტივმა და თემსაბჭოების წარმომადგენლებმა რიცხვით 5-6 კაცმა თვითეულ თემიდან და აგრეთვე პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა.

თათბირებზე უნდა იწერებოდეს ოქმები სათანადო საკითხების შესახებ თათბირის მონაწილეთა კონკრეტიულ წინადადებებისა და რეზოლიუციების აღნიშვნით. მთელი მასალა—ოქმები, რეზოლიუციები და სხვ. უნდა წამოიღონ თან ქ. თბილისში საერთო რესპუბლიკანურ თათბირზე (ა.-წ. აგვისტოს 21-ს) მივლინებულმა დელეგატებმა.

ადგილობრივ თათბირებზე მოხსენებით უნდა გამოვიდნენ მაზრის პასუხისმგებელი მუშაკები—მაზრაღმასკომის თავმჯდომარე ან მიწადმოქმედების განყოფილების გამგე.

ადგილობრივი თათბირები ჩატარებულ უნდა იქნეს 8-დან 19 აგვისტომდე იმ ანგარიშით, რომ დელეგატებს შეეძლოთ თბილისში ჩამოსვლა საერთო რესპუბლიკანურ თათბირის დღისათვის.

ადგილებზე თათბირის დანიშვნის დღის შესახებ ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და სამაზრო ალმასკომებმა წინასწარ, არა უგვიანეს აგვისტოს 6-ისა, უნდა აცნობონ ტელეგრაფით საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რათა საგეგმო კომისიის წარმომადგენლები, შეძლებისდაგვარად, თავის დროზე გაემგზავრონ მაზრებში თათბირებზე მონაწილეობის მისაღებად.

ქ. თბილისში რესპუბლიკანურ თათბირზე უნდა მივლინებულ იქნენ ავტონომიურ რესპუბლიკებისა და სამაზრო ალმასკომების ხუთ-ხუთი დელეგატი,—მათ შორის ორი გლეხი, ერთი აგრონომი, ერთი მიწათ-მოქმედების განყოფილების გამგე და ერთიც ადგილობრივი თათბირის არჩევით.

იმ დელეგატ-გლეხების სამგზავრო და სხვა ხარჯები, ვინც სამსახურში არ იმყოფება, გაღებული იქნება სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ივანოვ-კავკასიელი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ა. კვირიკაძე.

საქ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
პრ. მეგრელიშვილი.

პოლიტმუშაკების ახალი კადრი

ა.-კ. ქვეითი სკოლის პოლიტ კურსანტთა გამოშვება

გუშინ ა.-კ. ქვეითი სკოლის ბანაკში შესდგა წითელი არმიის პოლიტიკურ ხელმძღვანელების საზეიმო გამოშვება.

დილის 11 საათზე შესდგა ახალ პოლიტიკურ ხელმძღვანელების აღლუმი, რომელსაც დაესწრო ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და კავკ. წით.-დროშ. არმიის სამხ.-რევ. საბჭოს წევრი ამხ. შალვა ელიავა.

ამხ. შ. ელიავამ მიმართა პოლიტხელმძღვანელებს სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა მათი წითელი ჯარში მომავალი მუშაობის ამოცანები.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე არმიის პოლიტსამართველოს უფროსმა ამხ. ვასილიევმა.

თავის სიტყვაში ამხ. ვასილიევმა აღნიშნა პოლიტაპარატის მნიშვნელობა წითელ ჯარში და ის როლი, რომელიც დაკისრებული აქვთ პოლიტიკურ ხელმძღვანელებს წითელი არმიის უნარიანობის განმტკიცების საქმეში.

აღლუმის დასასრულს სიტყვა წარმოსთქვა ა.-კ. ქვეითი სკოლის უფროსმა ამხ. კლემპტიუმმა. მან აღნიშნა, რომ კურსანტების მიერ პროგრამა განვლილ იქნა მთლიანად და წარმატებით. კურსანტებმა ზედმიწევნით შეითვისეს რუსული ენა, რაც აძლევს მათ შესაძლებლობას იმუშაონ არა მარტო ეროვნულ, არამედ რუსულ ნაწილებშიაც.

ახლად გამოშვებულ კურსანტების ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირია: ქართველები—38,6 პროც., სომხები—27,8 პროც., თურქები—29,5 პროც., გერმანელები—2,8 პროც., უკრაინელები—2,8 პროც.

სოციალური მდგომარეობის მიხედვით კურსანტები იყოფიან: მუშა—38,1 პროც., გლეხი—52 პროც., მოსამსახურე—9,9 პროც.

ახლად გამოშვებულ კურსანტების 50 პროც. მუშაობს წითელ ჯარის რიგებში 1918 წლიდან და მონაწილეობა აქვს მიღებული სამოქალაქო ომში.

საქ. სახკომსაბჭოში

ამხ. გ. ყურულაშვილის დანიშვნა

ქიათურის კონცესიის საქმეების რწმუნებულად დროებით დაინიშნა ამხ. გ. ყურულაშვილი.

ტყვარჩელის კომისიის შედგენილობის დამტკიცება

ტყვარჩელის კომისია დამტკიცებულ იქნა შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდ.—ამხ. ბ. ჭიჭინაძე; წევრები: ამხ. ნ. ლაკობა, გ. ყურულაშვილი, ჭელიძე, ინჟ. იუშკინი, კანდელაკი და ტერ. დავიდოვი. ხსენებულ კომისიას დაევალა წარმოადგინოს მოკლე ხანში მოხსენება ტყვარჩელის ქვანახშირის საგამოძიებო მუშაობის შესახებ.

საბიუჯეტო სახარჯთაღრიცხვო თათბირის შედგენილობის დამტკიცება

ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო თათბირის თავმჯდომარეთ დამტკიცებული იქნა ამხ. გ. მგალობლიშვილი. წევრებათ დაინიშნენ დ. თოფურიძე, (საგეგმო კომისია), ჭანიშვილი (მ.-გ. ინსპექცია), ხვედელიძე (პროფსაბჭო), ჯუგაური (შრომის სახ. კომისარიატი) და იმ უწყების წარმომადგენლები, რომელთა ხარჯთაღრიცხვა იქნება განსახილველი.

ამხ. ასრიევის დანიშვნა

ამხ. ივანოვ-კავკასკი განთავისუფლებულ იქნა ზაჰესის დირექტორის თანამდებობიდან მისი სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოად. დანიშვნის გამო. ზაჰესის დირექტორად დაინიშნა ამხ. ასრიევი.

თბილისის სას.-სამ. ტეხნიკუმის გაფართოება

სახკომსაბჭომ მოიწონა განათლების სახალხო კომისარიატის დასკვნა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმთან სომეხ და აზერბეიჯანელ მოწაფეებისათვის სამელიორაციო განყოფილების გახსნის შესახებ.

გამოყენებითი მინერალოგიისა და მეტალურგიის ინსტიტუტის განყოფილების გახსნა

სახკომსაბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო საქართველოს სმუ საბჭოსთან გამოყენებითი მინერალოგიისა და მეტალურგიის ინსტიტუტის განყოფილების გახსნა.

ა.-კ. ცაკში

დედათა და ბავშვთა დაცვა

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმ. კომიტეტებს მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინონ იმ დაწესებულებათა მოწყობა, რომლებიც ხელს უწყობენ ქალთა განთავისუფლებას (ბაგა, საქმიმო კონსულტაცია, საბავშვო ბაღები; და სხ.) და პერიოდიულათ მოისმინონ მოხსენებები დედათა და ბავშვთა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

დებულება ქალთა კომისიის შესახებ

ა.-კ. ცაკმა რესპუბლიკანურ ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტებს, განსახილველათ დაუგზავნა დებულების პროექტი ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის შესახებ. რესპუბლიკანურმა ცენტრ. აღმ. კომიტეტებმა ა.-კ. ცაკს ორ კვირაში უნდა წარუდგინონ თავისი დასკვნები აღნიშნული დებულების პროექტის შესახებ.

ამიერ-კავკასიის მონაწილეობა საკავშირო სპარტაკიადაზე

ა.-კ. ცაკმა ა.-კ. ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს, წინადადება მისცა—მოაწყოს ამიერ-კავკასიის მონაწილეობა საკავშირო სპარტაკიადაზე, რა მიზნითაც უნდა შეადგინოს მოვარჯიშეთა კოლექტივები.

ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას (მოსკოვში) წინადადება მიეცა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სპარტაკიადის მონაწილეთ.

რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცათ გამოარკვიონ საკავშირო სპარტაკიადაზე მიმავალ მოვარჯიშეთა რაოდენობა და გაიღონ თანხები ამ საქმის ხარჯების დასაფარავათ.

სპარტაკიადაში მონაწილე მუშა-მოსამსახურეებს მივლინების დროს ენახებათ ჯამაგირი და საშუალო ხელფასი.

საბავშვო ბაგათა ქსელის გასაფართოებლად

მუშა-ქალთა საბავშვო ბაგებით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახკომსაბჭომ დაადგინა:

დაწესებულ იქნეს 1928 წლის ოქტომბრის 1-დან სავალდებულო გადასახადი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთათვის, რომლებშიაც ქალთა შრომა თვალსაჩინოდ არის გამოყენებული, სამუშაო ხელფასის ფონდის ერთი მეოთხედი პროც. რაოდენობით იმ ბაგათა შესანახად, რომელნიც მომსახურეობას უწევენ მარტოოდენ აღნიშნული საწარმოს მუშა-ქალებს, მიუხედავად იმისა, მოწყობილია ეს ბაგანი საწარმოს ტერიტორიაზე—თუ მის გარეშე.

იმ სამრეწველო ტრესტებში, სადაც ქალთა შრომა თვალსაჩინოდ არის გამოყენებული, მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდის განაწილების დროს ამ ფონდიდან გამოყოფილი უნდა იქნეს ბაგათა ასაშენებლად და შესანახად არა ნაკლებ 5 პროცენტისა, ხოლო იმ ტრესტებში, სადაც ქალთა შრომა სჭარბობს, ამ მიზნისათვის გამოსაყოფი თანხები აუცილებლად სათანადოთ უნდა იქნეს გადიდებული.

მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდიდან გამოყოფილი თანხები უნდა გადაეცეს ჯანმრთელობის სათანადო ადგილობრივ ორგანოებს და მათ ეს თანხები უნდა მოახმარონ ტრესტის მუშა-ქალთა ბავშვების ბაგათა აშენებას, გაფართოებას და მოწყობას იმ მტკიცე გეგმების მიხედვით, რაც შეთანხმებულ იქნება სათანადო ტრესტებსა და პროფესიონალურ ორგანიზაციებთან.

საქართველოს ყველა დაწესებულებებსა და რესპუბლიკანური მნიშვნელობის საწარმოებს დაევალა გადასცეს, სამი თვის განმავლობაში ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, მათ გამგებლობაში მყოფი ბაგანი ჯანმრთელობის სათანადო ორგანოებს.

საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატს ევალება დააწესოს ბაგათა მოსამსახურე პერსონალისათვის, ექიმების გამოკლებით, 8 საათის სამუშაო დღე.

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტის" კანტორაში შემოვიდა

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 2 მან. და 50 კ. და ვიწვევ შემდეგ პირებს:

პროფ. ი. აბულაძე, ი. იმედაშვილს, ი. გრიშაშვილს, სერო წერეთელს, სიმონ წველს, კოკი ემრალიძეს, მელ. ქავჟარაძეს, არ. ხუნდაძეს, გიორგი ხუნდაძეს და ბორის ჭყოსელს.

აკაკი ხუციტარიძე.

—:—

ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთაისის ბავშვთა სასარგებლოდ მერი თოდუას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქორუჟიკა თოდუას, ვალიკო თოდუას, კოტიკო ჯაბუას, კოკი თორდიას, გოგო თოდუას და კემე შულაიას.

პლატონ პლატონის ძე თოდუა.

—:—

სან. ძრაზინდის მუშა - მოსამსახურეებს ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვთ 43 მან. და 25 კ.

—

ახ.-სენაკის შინა-მრეწველო-ხელოსანთა კოოპერატიული ამხანაგობას ქ. ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვს 50 მან. და იწვევს ზუგდიდის ხელოსანთა კოოპერატიულ ამხანაგობას.

—:—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

ნუცა გოგორიშვილს, ბალიკო ქეიშვილს, შალვა იობიძეს, ვალოდია ჩოგოვაძეს, არკადი ტყეშელაშვილს. თამარა გოგორიშვილს, ვალერიანე ხონელიძეს, ვენედიქტე ტყეშელაშვილს, ქეცრა ლორთქიფანიძეს და ქორუჟიკა ბელთაძეს.

ოლია ტყეშელაშვილი.

—:—

ა.-წ. 1 ივნისს შესდგა ბორჯომის გაზ-ჩამომსხმელ ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრება. რომელმაც ქუთაისის დაზარალებულ მოსახლეობის დახმარების მიზნით დაადგინა გადასცეს ნახევარი დღის ხელფასი, რაც შეადგენს 336 მან. 93 კ.

ქარხნის ქარხკომი.

—:—

ბაღდათის რაიონის პ.-კავშირთა სამდივნოს ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოაქვს 187 მან. და 57 კ. შეგროვილი ბაღდათის რაიონის პროფკავშირთა წევრებს შორის.

—:—

ბუტუნა და შუშანა ნანეიშვილების გამოწვევით შემოგვაქვს თითო მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს. ტობანიერიდან — ბუხუტი სულაქველიძეს, თორნიკე მილორავას; ბორჯომ-ბაღიდან — სერგო და შოთა გელაშვილებს, ქვედა ბეშეთიდან (ბორჯომის რაიონი) კოლია და შალიკო ლომიძეებს და ქუთაისიდან ვალოდია და შოთა სოლობერიძეებს.

კუკუშა და ვახტანგ მილორავა.

—:—

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ მერი თოდუას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნასტია ჩიხლაძეს, კუკური კოდუას, ჯუნჯულ ლატარიას, ოროდი მეტალიას, გიგო კოდუას, ლიონტრა აბშილავას, ნაპოლეონ ცხადაიას, ხუტული ბებურიას და უჩე კოდუას.

დარეჯანა ცხადაია.

—:—

სევა კუხალეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 15 მანეთი.

ნიკოლოზ გაბაშვილი.

—:—

ოთარი შოთაძის გამოწვევით ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ფოთიდან — ეთერი ვეკუას, ერეთი ორაგველიძეს, დილუ სვანიძეს, ნათელა ჯაკონიას, ლუარა და ბურსა ჯულელს, ნელი მიქელაძეს.

გულიადა ლოდუა.

—:—

ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს 4 მან.

მე-2-რე ქართ. მსრ. ლეგ. არტ-დივიზიონის წ.-არმიელები.

—:—

თიკო შოთაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან თამრიკო გორგაძეს, ლილიკო ყუფუნიშვილს, რუსუდან თოთაძეს, გოგლიკო გურამიშვილს, გია კლდიაშვილს, კოდიკო მადიძეს და თემურ გორგაძეს.

რეზიკო გორგაძე.

—:—

თინათინ გვასალიას და ლამარა ქუქავას გამოწვევით შემომაქვს ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ 1 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს. სენაკიდან — ოთარ და თინათინ თელიებს, ბათუმიდან — ლილე ქიქოძეს, თბილისიდან — თამარ გორგაძეს.

ლეილა ფიოფილაქტოვა.

შემომაქვს ხვარბეთის თემის მერიის ბაზრისაგან მოკრებილი თერთმეტი მანეთი ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ.

ალმ. თავ-რე ერ. გოგრონიძე.

ნათელა შმინოშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. ქუთაისის დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხ.-ბს: თბილისიდან — რეზო ლორთქიფანიძეს, ვასიკო და კატია ბარათაშვილს, სენაკიდან — ბუხუტი თევზაძეს, ზაჩანა დემურიას, ლუბა ჯანჯღავას და გივი გრიგოლიას.

თინა ბარათაშვილი.

—:—

ლადო გეგელიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევ შემდეგ ამხ.: ჩოხატაურიდან—კალისტრატე ჩიჩუას, თბილისიდან — ალ. შელიას, ჩოროწყუდან — არტე ბაპასქირს.

სიმონ შელია.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოთ ნუნუ ჩხიკვიშვილის გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ ოზურგეთის საბავშვო ბაღიდან თამარ აბაშიძეს, პელო კილურაძეს, პუსკუ უჯმაჯურიძეს, ნონა ხუჭუას და ლალი ორაგველიძეს.

ნოდარ შვანგირაძე.

—:—

შემომაქვს ქუთაისის დასახმარებლად 32 მ. და 32 კ.

ნაქალაქევის განათლების მუშაკთა ადგილკომი.

ბიჭიკო, ნათელა და ლელიკო გურულების გამოწვევით შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 2 მან. 50 კ. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ჯულიკო და ნელი ტყემალაძეებს, ეთერი და ბიჭიკო იაკობაშვილებს, ნოდარი გუგუშვილს, სპარტაკ მელქაძეს, ატლინა გუგუშვილს.

ქეთინო ბუზუშვილი.

—:—

ეთერი ქვარიანის გამოწვევით შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ნოდარ მოსეშვილს, თამარა და ვახტანგ ზურაბიშვილს, გოგილო გუგუშვილს, ბონდო, ხუხუ გივი და თალიკო გუგუშვილებს და ვახტანგ ქურციკიძეს.

ქეთინო ბუზუშვილი.

—:—

გიგზავნით 10 მან. და 50 კ. ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ზესტაფონის პროფბიუროსთან არსებულ კომუჯრედის წევრებისაგან შეკრეფილს.

კომუჯრედის მდივანი ს. მახარაშვილი.

—

სას.-სამ და ტყის მუშათა პროფკავშირის ხაიშის მუშკომს ამასთან ერთად შემოაქვს ტყისმჭრელი მუშების შემოწირულება 80 მანეთი ქუთაისის ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და იწვევს ფოთის, ჭალადიდის და ცაგერის მუშკომებს.

ხაიშის რაიონის მუშათა კომიტეტის თავმჯდ. — ა. კოდუა.

—

დებახუს თემის განათ. მუშაკთა კრებამ დაადგინა: ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გადასდოს ერთი დღის ხელფასი. ივნისის თვის ჯამაგირიდან, რაც შეადგენს 43 მან. და 52 კაპ. რომელიც შეგვაქვს „კომუნისტი"-ს კანტორაში.

კრების მინდობილობით დებახუს თემის განათ. მუშ. კავშირის ადგკომის თავ-რე ილარიონ ხომერიკი.

—

თბილისის ალმასკომის საბაშო ახალშენის (დუშეთში) თანამშრომლების სახელით შემომაქვს 69 მან. და 50 კ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობის სასარგებლოთ.

გამგ. თავმჯდ. მოადგ. ნ. აბესაძე.

—

რევაზ წულეისკირის გამოწვევით შემომაქვს ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულ ბავშვთა სასარგებლოდ ერთი მანეთი და ვიწვევ: ნუცა ქაჯაიას, ვალიკო გუგუშვილს, თანა გვარამიას, მოცკო მარშანიას, თალიკო ჩილაჩავას და დათუნა დგებუაძეს.

ნათელა გვალია.

—:—

რევაზ წულეისკირის გამოწვევით ქ. ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი. და ვიწვევ: გივი აფენდოპულოს, თამარა ბარამიას, გულიკო ბოკუჩავას, ოთარ ჯაფარიძეს, ვახტანგ კაკულიას და მოკოშა სანაიას.

გივი ჯავახია.

—:—

ამასთანავე გიგზავნით 29 მან. და 44 კაპ. რომელიც შეკრებილია, ნაგომარის თემში, ქუთაისის დასახმარებელ ფონდში ჩასარიცხავად.

ოზურგეთის სამაზრო ალმასკომთან არსებული ქუთაისის დამხმარე კომისია.

—:—

შემოგვაქვს 21 მან. და 85 კ., რომელიც შეკრებილია — ნატანების თემში ქუთაისის დასახმარებელ ფონდში ჩასარიცხავად.

ოზურგეთის სამაზრო ალმასკომთან არსებული ქუთაისის დამხმარე კომისია.

„კომუნისტი"-ს კანტორაში სულ შემოვიდა 22.067 მან. 60 კაპ.

სანიტარული თათბირი

ხუნაგთან ბრძოლისა და პურის ცხობის გაუმჯობესების შესახებ

გუშინ თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებასთან შესდგა სანიტარული თათბირი, რომელმაც განიხილა ხუნაგთან ბრძოლისა და პურის ცხობის გაუმჯობესების საკითხები. ხუნაგთან ბრძოლის საკითხზე მოხსენება გააკეთა ექ. ს. ქიქოძემ, რომელმაც თათბირს აცნობა, რომ უკანასკნელ ხანებში ქალაქში ხუნაგით ავათ გახდომის შემთხვევები გახშირდა. მარტო მაისის განმავლობაში თბილისში აღრიცხულია ხუნაგით ავათმყოფი 39 მოზარდი, ივნისში—27 და ივლისში—20-მდე. ხუნაგით ავათ გახდომის შემთხვევები არის აგრეთვე კოჯორშიაც.

ხუნაგთან ბრძოლის მიზნით თათბირმა დაადგინა მიღებულ იქნეს სანიტარულ-პროფილაქტიური ღონისძიებები და მოხდეს ხუნაგით დაავადებულთა სასწრაფო იზოლიაცია საავათმყოფოში მოთავსებით.

პურის ცხობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სანიტ. საბჭოს წევრი ექ. ვეფხვაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისში არსებული პურის საცხობები სანიტარული თვალსაზრისით ცუდათ არიან მოწყობილნი და ამიტომ ნამცხვარ პურში ხშირად ხვდება მტვერი და ინფექციის გამომწვევი სხვა ნივთიერებანი. აღნიშნული მოვლენის თავიდან ასაცილებლად მომხსენებელი საჭიროდ სთვლის სასწრაფოდ იქნეს დაწყებული პურის საცხობების შეკეთება.

მუშკოოპის წარმომადგენელმა თათბირს აცნობა, რომ კოოპერატიულ პურის საცხობების შეკეთება დაწყებულია და მიღებულია ზომები პურის საცხობების სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში

მეოთხე კვარტალის საკრედიტო გეგმა

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, მიმდინარე საანგარიშო წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშში საქ. სას.-სამ. ბანკს გადასცა შემდეგი დანიშნულების კრედიტები:

ჩაის მეურნეობისათვის—75.000 მ. სახელმ. ვაჭრობისათვის (ნაწლავების და სხვა საწარმოები),—141.000 მან., ტრაქტორების შესაძენათ—8.000 მ., ელექტროფიკაციისათვის—145.000 მან.; მევენახეობისათვის (აფხაზეთში)—10.000 მან., აჭარისტანის საბჭოთა მეურნეობების საჭიროებისათვის—140.000 მან. და კანაფის მეურნეობას—4.000 მან.

სულ გაიცემა 397.000 მ., აქედან, გრძელვადიანი კრედიტს მოხმარდება 378.000 მ., ხოლო 19.000 მ. მოკლე ვადიან კრედიტს.

50.000 მ. ონის ჰიდრო-ელსადგურს

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა, ონის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასამთავრებლად, საქ. სას.-სამეურნეო ბანკს გრძელვადიანი სესხის სახით მისცა 50.000 მ.

სესხი ღარიბ გლეხობას

ა.-კ. სას.-სამ. ბანკმა 1926-27 საოპერაციო წლის მოგებიდან, ულარიბეს გლეხობისათვის სესხების მისაცემ ფონდში გადარიცხა 84.000 მანეთი.

აღნიშნული თანხა ბანკმა შემდეგნაირათ გაანაწილა: საქართველოს გადაეცა—42.000 მ აზერბეიჯანს—25.000 მ. და სომხეთს—16.800 მანეთი.

ბეწვეულის დამზადება

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, 1927-28 წელში ბეწვეულის დამზადებას ამიერ-კავკასიაში აწარმოებდნენ მხოლოთ ის ორგანიზაციები, რომლებსაც დადებული ჰქონდათ საკონვენციო ხელშეკრულება („ზაკგოსტორგი", „სოფლის კავშირი, „არმენტორგი" და მონადირეთა კავშირი). ამიერ-კავკასიაში წელს დამზადებულია სულ 144.417 ცალი ბეწვეული, 381.139 მან. ღირებულებით. დამზადებული ბეწვეულობის მეტი ნაწილი გაგზავნილი იქნება საზღვარგარეთის ბაზარზე.

თამბაქოს კონტრაქტაცია

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის (საქართველოში) სამმართველოში მიღებულ უკანასკნელი ცნობების თანახმად, თამბაქოზე ხელშეკრულებები დადებულია აფხაზეთში 7.803 დესეტინაზე, აჭარისტანში—100 დესეტინაზე, გურიაში—18 დესეტინაზე, სამეგრელოში—120 დესეტინაზე და კახეთის რაიონში—844 დესეტინაზე, ამ ცნობების მიხედვით საქართველოში წელს დადებულია ხელშეკრულებები 8.885 დესეტინა თამბაქოზე.

მოსავლის აკრეფა აღმოსავლეთ-საქართველოში

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში უკვე ორი კვირაა დაიწყო შემოდგომის ნათესების აკრეფა. მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობით, შემოდგომის ნათესების მოსავალი განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს თბილისის მაზრაში. მცხეთის, ავჭალის და გარე-კახეთის რაიონებში საგრძნობია პურის სამკალი იარაღებისა და სალეწი მანქანების სიმცირე.

მაღლობ რაიონებში, როგორიც არის წალკის, მანგლისისა და დუშეთის მაზრის ზოგიერთი კუთხეები, პურის მკა დაიწყება ერთი ან ორი კვირის შემდეგ. სიმინდის მოსავალს ყველა რაიონებში საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს.

ბალახების მოსავალი მაღლობ ადგილებზე ძალიან ცუდია, რადგან მათ ამოსვლას ხელი შეუშალა ივლისის 1-ლ რიცხვებში დამდგარმა სიცივეებმა. ბოსტნეულისა და საზამთროს მოსავალს დამაკმაყოფილებელი პირი უჩანს.

ალაზნის გაღმა რაიონში სიმინდის მოსავალი ძალიან კარგია. ამავე რაიონში უკვე შეთავდა პურის მკა და ამჟამად მიმდინარეობს პურის ლეწვა, რაც დამთავრდება დაახლოვებით ათ დღეში. მთელ კახეთის რაიონში კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ჯერ-ჯერობით დაამზადეს 165 ტონა ახალი მოსავლის ხორბალი.

ბამბის ნათესებს განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ყარაიაზის [illegible] რაიონებში.

ქრონიკა

ქრონიკა

ამხ. პ. პავლოვსკის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს პროკურორის უფროსი თანაშემწე პროკურატურის დარგში და სამხედრო კოლეგიის წევრი ამხ. პ. პავლოვსკი.

ხორბლეულის დამზადება

სოფლის კავშირის ცნობით 1-ლ აგვისტომდე მთელ რესპუბლიკაში დამზადებულია 12.181 ფ. ხორბალი და 2.678 ფ. ქერი, სულ 14.859 ფუთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **მიწების გადაცემა უნივერსიტეტისათვის.** თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის შემადგენლობა მისთვის ვაკეში მდებარე ზოგიერთი მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ.

◆ **ბარმაქსიზის ხიდის დასამთავრებლათ.** ბარმაქსიზის გზატკეცილზე დაწყებული ახალი ხიდის დასამთავრებლად აღმასკომმა გადასდო 670 მანეთი. ფული უკვე გაცემულია დანიშნულებისამებრ.

განათლების კომისარიატში

◆ **მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.** ლეჩხუმში და სვანეთში ამჟამად სწარმოებს მასწავლებელთა ხელახალი გადამზადება მოკლევადიან სამასწავლებლო კურსებზე. ასეთივე კურსები გახსნილია ახალციხეში თურქ მასწავლებელთა გადასამზადებლად.

◆ **უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა.** განათლების კომისარიატმა სომხეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიავლინა 38 სომეხი-სტუდენტი.

◆ **საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა მომზადება.** გუშინ დაიხურა საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა მოსამზადებელი კურსები, რომელიც გახსნილი იყო განათლების კომისარიატის ინიციატივით კოჯორში. კურსები მოისმინა 45 კომკავშირელმა-ქალმა.

წყალთა მეურნეობის სამმართველოში

◆ **პროფ. ფროლოვის დასკვნები.** ფოთიდან თბილისში დაბრუნდა წყალთა სამმართველოს მიერ ექსპერტად გაგზავნილი პროფ. ა. ფროლოვი, რომელმაც უკვე დაამთავრა კოლხიდის ჭაობების დასაშრობათ დაწყებული სამუშაოები. თავისი დასკვნები პროფ. ფლოროვმა უკვე წარუდგინა წყალთა სამმართველოს.

◆ **მოსარწყავი რაიონების გამოკვლევა.** წყალთა მეურნეობის სამმართველომ მოიწვია ბოტანიკოსი ნ. კეცხოველი, რომელსაც დავალებული აქვს მოახდინოს სამგორისა და ქვეშის მოსარწყავი რაიონების გეო-ბოტანიკური გამოკვლევები.

სოცდაზღვევის კომიტეტში

◆ **შეთანხმება რკ. გზის დამზღვევ სალაროსთან.** სოც. დაზღვევის ცენტრ. კომიტეტსა და რკ. გზის დამზღვევსალაროს შორის მომხდარი შეთანხმებით, მოეწყო გაერთიანებული საექსპორტო ბიურო, სადაც ამიერიდან უნდა მიმართონ დაზღვეულმა რკინისგზელებმა.

◆ **დასასვენებელ სახლებში გასაგზავნად.** დასასვენებელ სახლებში დაზღვეულთა გასაგზავნად გამოყოფილია ორი კომისია, სადაც ყოველდღიურად ტარდება 100-მდე დაზღვეული.

სხვადასხვა

◆ **კურორტების გამოკვლევა.** რესპუბლიკის სახელმწიფო კურორტების დასათვალიერებლად და მათი მუშაობის საინსპექციოთ გაემგზავრება ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე. ამხ. კუჭაიძე პირველ რიგში ჩამოივლის ბორჯომის ხეობის კურორტებს და აბასთუმანს.

◆ **სამთო მრეწველობის დასათვალიერებლად.** სამთო მრეწველობის ტრესტის მმართველი ამხ. ი. ჭელიძე გაემგზავრა სამთო მრეწველობის წარმოებათა დასათვალიერებლად და მათი მუშაობის გასაცნობათ.

შირაქის ნავთი

სამთო ზედამხედველობის უფროსის დეპეშა

გუშინ, ს. მ. უ. საბჭომ შირაქიდან, რესპუბლიკის სამთო ზედამხედველობის უფროსი ინჟ. ი. ყიფშიძისაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ვისწრაფვი გადმოგცეთ, ნამდვილი ცნობები შირაქის ნავთის საგამოკვლევო სამუშაოების შესახებ, რომელსაც აწარმოებს იტალო-ბელგიის საკონცესიო საზოგადოება. ქვიშა ნარევი ნიადაგის განვლის შემდეგ, საცდელი ჭაბურღილის 375 მეტრის სიღრმიდან ამოვარდა ძლიერი გაზი, რაც ნავთის აღმოჩენის უსათუო ნიშანი იყო.

30 და 31 ივლისს აღნიშნულ სიღრმეზე დაწყებულ იქნა ნავთის ამოღება. ორი დღის განმავლობაში ამოღებულია 80 ფუთი ნავთი სუფთა ნავთის ხვედრითი წონის გამორკვევა ვერ მოვახერხეთ შესაფერი ხელსაწყოების უქონლობის გამო. მოულოდნელად ჭაბურღილში გაკეთდა ე. წ. „პრობკა“ ნიადაგის ნარჩენებისაგან. მიღებულია სასწრაფო ზომები ჭაბურღილის გასაწმენდათ, რის შემდეგაც კვლავ გაგრძელდება ნავთის ამოღება გაზების ამოსვლა თანდათან ძლიერდება, რაც კარგი ნიშანია

ინჟ. ყიფშიძე“.

აღნიშნული დეპეშის გამო ს. მ. უ. ს. სამთო სამმართველოს ნავთის სამუშაოთა სექციაში ჩვენს თანამშრომელს გადასცეს:

— ინჟ. ყიფშიძის დეპეშით ჩვენ ვტყობილობთ, რომ შირაქში უკვე აღმოჩენილია ნავთი. ამის გათვალისწინება წინდაწინვე არ იყო ძნელი, მაგრამ ჯერ მაინც ძნელია თქმა იმისა, თუ როგორი ხასიათის იქნება ნავთის ის ფენა, რომელიც აღმოჩენილია თუ აღნიშნულმა ფენამ შესძლო დღე-ღამეში 600-ზე მეტი ფუთი ნავთის მოცემა, მაშინ შეიძლება ეს ფენა მიჩნიინოთ საექსპლოატაციო დანიშნულების ფენათ. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამ სიღრმეზე (375 მეტრი) არ იყო საექსპლოატაციო ფენის აღმოჩენა გათვალისწინებული.

ყოველ შემთხვევაში ეს ცნობა ადასტურებს რომ შირაქის ველი მდიდარია ნავთით.

პროფკავშირებში

ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება

დღეს, 2 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე შესდგება პროფკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა—კავშირების ცენტრალურ გამგეობებთან ერთად.

დღის წესრიგში სდგას ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება კავშირების კულტმუშაობის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ.

მოხსენება შესდგება პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.

მიტინგი—გამოძახება

მიუხედავათ ს. პ. კ. ს. ცირკულიარული წერილისა, მუშკოოპის მიერ მოწყობილ მიტინგ-გამოძახების კამპანიის ჩატარებაში მხურვალე მონაწილეობის მიღების აუცილებლობის შესახებ, კავშირებს ამ დავალების შესასრულებლად არავითარი ზომები არ მიუღიათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა და სავაჭრო მუშ. პ-კავშირის სრული უმოქმედობა, რომელსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კამპანიის ჩატარებაში.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი სთვლის რა პ.-კავშირების მხრივ ამ კამპანიისადმი ასეთ დამოკიდებულებას არანორმალურად, ავალებს ყველა კავშირებს, განსაკუთრებით საბჭ. და სავაჭ. მუშ. პ.-კავშირს—მიიღოს ენერგიული მონაწილეობა ამ კამპანიის ჩატარებაში, რომელიც კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება.

20 აგვისტო—დასასვენებელი დღეა

აგვისტოს 20 დასასვენებელი დღეა. ამ დღეს მოეწყობა ექსკურსიები საკავშირო და საკავშირთაშორისო ხაზით ბათომის, ბაქოს მიმართულებით, ბორჯომ-ბაკურიანში, საქ. სამხედრო გზაზე და სხვ.

იმ მიზნით, რომ კავშირები უზრუნველყოფილი იქნენ ადგილებით მატარებელში, საექსკურსიო ბაზისებში და სხვ. კავშირებს რომლებსაც განზრახული აქვთ ექსკურსიის მოწყობა ხსენებულ დღეს, წინადადება მიეცათ თავის დროზე (არა უგვიანეს 10 დღის წინ) ჩაეწერონ ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილებაში.

სასამართლო

ყაჩაღების გასამართლება

ამ დღეებში ქუთაისის სამაზრო სასამართლოს სესიამ ამხ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: გ. ბუხულეიშვილის და ვ. საშჩუკის და პროკურორ კ. ხარაბაძის მონაწილეობით სოფ. ბაღდადში საჯაროთ გაარჩია ვარლამ (ვალიკო) და გიორგი სიმონის ძე და ნინა სიმონის ასული ინაკავაძეების, კონსტანტინე ისიდორეს ძე და კალისტრატე ვასილის ძე ჯავჯანიძეების, ალექსანდრე და ხარიტონ ბათლომის ძე მახათაძეების, ნოე დარისპანის ძე სვანიძის და ამროსი გიორგის ძე ბაბუაძის საქმე.

ხსენებულ პირებს ბრალდებოდათ ყაჩაღობა და მკვლელობა (საქმის შინაარსი დაწვრილებით იყო მოთავსებული ჩვენი გაზეთის № 156-ში).

სასამართლომ გიორგი და ვარლამ ინაკავაძეებს და ალექსანდრე მახათაძეს მიუსაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა—დახვრეტა; ნოე სვანიძეს, ხარიტონ მახათაძეს, კალ. ჯავჯანიძეს და ნინა ინაკავაძეს ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

კონსტანტინე ჯავჯანიძეს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა, მაგრამ დახვრეტა შეეცვალა ათი წლით თავისუფლების აღკვეთით სასტიკი იზოლიაციით.

ბრალდებული ამროსი ბაბუაძე სასამართლომ გაამართლა.

ხულიგნები

ეს ეს ამბავი მოხდა 24 ივლისს ბ. ლომინაძის ქუჩაზე.

ძმები თედორე და ტარაპონტ დიმიტრის ძე ლომიძე მიიპატიჟა თავის ოჯახში მათმა მეგობარმა, რომელმაც ქეიფი გაუმართა მათ

როცა სტუმრები შეთვრენ, დაიწყეს შეჯიბრება ღვინის სმაში. ლომიძეებს მოეკიდათ ღვინო.

თედორემ რეტ დასხმულ ქათამივით დაიწყო ბზრიალი, ტარაპონტმა კი სუფრა ყირამალა გადააბრუნა და დალეწა ყველაფერი.

ძმებმა ბრძოლა ქუჩაში გადაიტანეს.

ლომინაძის ქუჩაზე თედორეს გვერდით ჩაუარა ახალგაზრდა ქალმა. მას „ტრფობის ალმა“ დაუარა და დაედევნა ქალს. ქალმა იგრძნო აჩქარებული ფეხის ხმა და გასწია ჩქარი ნაბიჯით. დაეწია თუ არა, თედორემ ფეხი გადაუდო და ქალი კინაღამ დაასკდა ფილაქანს.

— გამანებე თავი, თორემ განანებ,—შეუტევს გაბრაზებული თ—ის ქალი.

თედორე რა „ვაჟკაცია“, თუ ქალის მუქარამ შეაშინა. ის კვლავ დაეწევა ქალს და „სასიყვარულოდ“ ზურგში ურტყამს მუშტებს.

ქალმა მორთო ყვირილი. გაჩნდა მეეზოვე და მილიცია.

თედორე იგინება უწმაწური სიტყვებით. მას მხარს უმშვენებს მისი ძმა—ტარაპონტი.

გაისმის მეეზოვეს სტვენა.

— რას უსტვენ, გიჩვენებ სეირს,—ღრიალებს თედორე. მან ერთი მაგრათ ჩაარტყა მეეზოვეს.

საგუშაგოზე მდგომი მილიციელი—ბაჩაჯაშვილი სთხოვს მოჩხუბარ ძმებს, ნუ დაარღვევენ წესრიგს.

შეზარხოშებული ძმები მივარდნენ მილიციელთან და სამჯერ მაგარი სილა გააწნეს მას.

მილიციელმა აპატივა გალახვა და სთხოვა წაყოლოდა კომისარიატში.

— რაო? ვის აქვთ ჩვენი დაპატიმრების უფლება? იცით ვინა ვართ?

— ამხანაგო წამობრძანდით კომისარიატში და იქ გამოვარკვიოთ ეს საკითხი.

ჩვენ სასამართლოს ცაკის წევრები ვართ. ხელი არავინ გვახლოთ, თორემ ყველას მოუხსნით სამსახურიდან.

მილიციელი ითხოვს დამხმარე ძალებს. კომისარიატი გზავნის დასახმარებლად სამ მილიციელს.

როგორც იქნა დააპატიმრეს მთვრალი ხულიგნები.

ამჟამად ორივე ძმები მიცემული არიან პასუხისგებაში. მათ ბრალდებათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და საქ. ცაკის წევრის სახელწოდების მითვისება.

ი. ჭრიკიშვილის საქმე.

გუშინ, თბილისის სამაზრო სასამართლომ ამხ. პ. ბურკაძის თავმჯდომარეობით გაარჩია ისაკ დიმიტრის ძე ჭრიკიშვილის საქმე.

ჭრიკიშვილს ბრალდებოდა ე. ჭ—ის ქალის გაუპატიურება.

სასამართლომ ჭრიკიშვილი დამნაშავეთ სცნო და მიუსაჯა მას 1 წლით და 6 თვით გამასახლში დაპატიმრება.

ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

შემთხვევები

ნიაღვარი თბილისში

1 აგვისტოს, დილით, თბილისში მოვიდა კოკისპირული წვიმა, რის გამო ქალაქის ქუჩებში დიდი ნიაღვარი მოვარდა.

ქალაქის ზოგიერთ ქუჩების როგორც შუა ნაწილი ისე ფილაქნები სავსებით დაიფარა წყალით.

ნიაღვარმა მოსილა დავითის მთიდან ჩამომავალი ქუჩები, რიყე, დიდუბე. და ლენინის რაიონის და ავლაბრის ზოგიერთი ქუჩები.

სილითა და ხრეშით ამოავსო ტრამვაის თითქმის ყველა ხაზები. ამის გამო ტრამვაის მოძრაობა შეწყდა 20 წუთით.

ნიაღვარმა ჩამორეცხა ქალაქის მახლობელი ფერდოები და დააზიანა ზოგიერთ ადგილას გაშენებული ახალი ტყეები.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

რეციდივისტის მოკვლა

მოქ. დავით წოწოლაშვილმა (მცხ. ჩახრუხაძის ქ. № 7), დანით მოჰკლა ვასილ გოგინოვი (იგივე კაზუაშვილი, მცხ. ჩახრუხაძის ქ.);

როგორც გამოირკვა მკვლელობა მოხდარა შემდეგ პირობებში: გოგინოვი და წოწოლაშვილი მუშაობდნენ „ტაჩკაზე“. ორივე ერთმანეთთან ცუდ განწყობილებაში იყვნენ.

გუშინწინ, დილით, წოწოლაშვილი თავის სახლში მიდიოდა. მემწვანილეთა ბაზარში მას შეხვდა კაზუაშვილი, რომელმაც უწმაწური სიტყვებით შეამკო იგი. წოწოლაშვილი მოთმინებიდან გამოვიდა და დანით დასჭრა კაზუაშვილი, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა.

კაზუაშვილი ყოფილა ქურდი-რეციდივისტი.

გამოძიება გრძელდება.

უბედური შემთხვევა

მოქ. მამედ ისა-ოღლი კომუნალურ ქუჩაზე უცაბედათ დაეჯახა პ. ესებუას „ტაჩკას“ და მსუბუქად დაშავდა. ისა-ოღლის აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და მოათავსეს თავის ბინაზე. ესებუა დაპატიმრებულია.

ტრამვაის დაჯახება ავტომობილზე

პლეხანოვის პროსპექტზე (მე-10 სამილიციო რაიონის პირდაპირ) ტრამვაის ვაგონი დაეჯახა საბარგო ავტომობილს.

დაჯახების დროს მსუბუქად დაშავდა ვატმანი სტეფანე ბარსეგოვი, რომელიც გადაგზავნეს ქალაქის პირველ საავადმყოფოში.

ავტომობილის დაჯახება ეტლზე

პლეხანოვის პროსპექტზე ავტომობილი № 53, რომელსაც მართავდა შოფერი ნიკოლოზ ზრებინოვი, დაეჯახა ეტლს ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ძებნა-ძიება გრძელდება

ქურდობა

გაქურდეს ელენე ლორთქიფანიძის ბინა (სასამართლოს ქ. № 36), წაიღეს 120 მანეთის ნივთები.—აბრამ შიმშელაშვილს—ახალ-ბაზარზე მოჰპარეს 200 მანეთის ფართალი.—არტაშ დავიდოვს (მცხ. ვარდის ქ. 3) მისმა ნათესავმა სერგო დავიდოვმა მოჰპარა 150 მანეთის საოჯახო ნივთები.—ვასილ ვოლკოვს (მცხ. კიკეთის ქ. 23). მისმა ძმამ მიხეილმა მოჰპარა 200 მანეთის სადურგლო ხელსაწყოები.—არსენ ეგიაზაროვს „თელავში“ ვიღაც ბოროტმოქმედმა მოჰპარა 400 მანეთის ნივთები.—გაქურდეს ივანე შარუხიას ბინა (მაგისტრალის შეს. 1), წაიღეს 120 მანეთის ნივთები.—ქურდობისათვის დაპატიმრებულია ნიკოლოზ ალექსისძე ივანოვი, აკოფ ნიკოლოზისძე აკოპიანი, სირანა გოგოიანი და ანტონ თედორესძე აივაზოვი.

საკავშირო სპარტაკიადის წინ

ფრანგი ჟურნალისტის მოწვევა

საფრანგეთის ცნობილმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა სთხოვა სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტს, რათა მოწვეული იქნეს სპარტაკიადაზე ფრანგული ჟურნალ „მონდ“-ის რედაქტორი ჟეო შარლი. ანრი ბარბიუსის თხოვნა დაკმაყოფილებულია. ჟეო შარლს გაეგზავნა მოსაწვევი ბარათი.

მოტოციკლეტზე მილანიდან მოსკოვში

14 ივლისს მილანიდან მოსკოვში გამოემგზავრენ საკუთარ მოტოციკლეტებზე საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის ორი თანამშრომელი.

გადარბენის მარშრუტია მილანი-პრაღა-ვარშავა-მინსკი-მოსკოვი. გადარბენის მონაწილენი მოსკოვში დაისვენებენ რამოდენიმე დღე, რის შემდეგაც ისევ უკან გაბრუნდებიან.

ავსტრიელ ფეხბურთელების დამარცხება

უკანასკნელად ქვემო ავსტრიის მუშა-ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს შეჯიბრება ჰქონდა ლენინგრადის ნაკრებ გუნდთან. ლენინგრადელებმა ამ მატჩში გამოიყვანეს თავისი საუკეთესო შემადგენლობა. შეჯიბრება დამთავრდა 2:1 ლენინგრადის სასარგებლოდ.

ამ დღეებში ავსტრიელები ბრუნდებიან სამშობლოში.

ურუგვაის ფეხბურთელები მოდიან მოსკოვში

ჰამბურგში ჩავიდა ურუგვაის მუშათა სასპორტო კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც მოსკოვში მოემგზავრება საკავშირო სპარტაკიადაზე მონაწილეობის მისაღებად.

ინგლისელ სპორტსმენების ჩამოსვლა

22 ივლისს ლონდონიდან ლენინგრადში გამოემგზავრნენ ინგლისის მუშა-სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო სპარტაკიადაზე. სპარტაკიადის გახსნამდე ინგლისელი ფეხბურთელები რამოდენიმე მატჩს ჩაატარებენ სხვადასხვა ქალაქებში.

უყველაზე დიდი სტადიონი საბჭოთა კავშირში

ამ დღეებში დამთავრდება საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდი სტადიონის აგება მოსკოვში. სტადიონს აგებს სასპორტო საზოგადოება „დინამო“.

ამჟამად სტადიონის აღმშენებლობაზე მუშაობს 1000 მეტი მუშა, რომლებიც სამწყებად მუშაობენ. სტადიონი მზათ იქნება 15 აგვისტოსათვის, როდესაც მასზე დაიწყება შეჯიბრებები ფეხბურთში.

სტადიონი იწყობა ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ტრიბუნები აგებულია რკინა ბეტონიდან და დაიტევს 30.000 კაცს. ცალკე მოწყობილი დახურული ლოჟები და სპეციალური ლოჟა პრესის წარმომადგენლებისათვის.

ბრძოლა მუცლის სახადთან

მუცლის სახადის ეპიდემიის საშიშროების შესახებ ჩვენს თანამშრომელს თბილისის აღმასრულებელ კომიტეტის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტ.-ეპიდემიურ ქვე-განყოფილების გამგემ ექ. ნაზარეტიანმა აცნობა:

ჩვენ მიერ მოხდენილი გამოკვლევები ამტკიცებს, რომ მუცლის სახადით დაავადების შემთხვევები ჯერჯერობით არ სცილდება ზაფხულის პერიოდის ნორმებს.

ვინაიდან მუცლის სახადის ეპიდემია ხშირი მოვლენაა ზაფხულობით, ამიტომ თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება ღებს წინასწარ გამაფრთხილებელ ზომებს რომ მოსპოს ყველა ის პირობები, რაც ხელს უწყობს მუცლის სახადის გავრცელებას ქალაქში.

ჯანმრთელობის განყოფილებამ მოახდინა თბილისის წყალსადენის წყალის გამოკვლევა რამაც ნათელჰყო, რომ წყალის მხრივ მოსახლეობას საშიშროება არ მოელის. მიუხედავად ამისა, საჭიროა მოსახლეობა იქნას გაფრთხილებული, რომ არ არის მიზანშეწონილი მოუხარშავ წყალის დალევა განსაკუთრებით ახლა როცა მოსახლეობა ხილითა და მწვანილით იკვებება.

მუცლის სახადის გავრცელების საკითხი იდგა სანიტარულ საბჭოს წინაშე, რომელმაც აუცილებელ საჭიროდ სცნო შემდეგი ღონისძიებების გატარება: უნდა ჩატარდეს საეპიდემიო გამოკვლევა ტიფის გამავრცელებელ ადგილების შესასწავლად; უნდა გაუმჯობესდეს დაავადებულთა აღრიცხვის საქმე; მოსახლეობის შორის ჩატარდეს ტიფის საწინააღმდეგო ნებაყოფლობითი აცრა; გამოკვლეულ იქნას ქალაქის მთელი საკანალიზაციო ქსელი, რაშიაც მონაწილეობას მიიღებს აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება და თავიდან აცილებულ იქნას სანიტარულ ზედამხედველობის მიერ შენიშნული ყველა დეფექტები. ამას გარდა, გადაწყვეტილია მუცლის სახადით დასნეულებულები მოთავსებულ იქნან საავადმყოფოებში. საკუთარ ბინებზე მწოლიარეთათვის კი ჩატარდება დეზინფექცია (ჯანმრთელობის განყოფილების ხარჯზე).

ყველა ამ ღონისძიების გატარება იძლევა გარანტიას, რომ ჩვენ შევძლებთ მუცლის სახადის ეპიდემიის თავიდან აცილებას.

მოტო-გადარბენა

მოსკოვი—თბილისი—მოსკოვი

გუშინ საღამოს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში შესდგა მოტო-გადარბენის ხელისშემწყობი კომიტეტის სხდომა.

მოტო-გადარბენის მონაწილეებს თბილისში მოელიან 4 აგვისტოს საღამოს 5—6 საათზე. საბურთალოზე გამართული იქნება გადარბენის ფინიში, სადაც შეიკრიბებიან პარტიულ პროფესიონალურ დაწესებულებათა, კომკავშირის და ფიზკულტურის საბჭოს წარმომადგენლები.

ფინიშთან შესვენების შემდეგ გადარბენის მონაწილეები გაემართებიან ქალაქისაკენ შემდეგი მარშრუტით: ლენინის ქუჩა, რუსთაველის პროსპექტი, პუშკინის ქუჩა, კარლ მარქსის მოედანი და პლეხანოვის პროსპექტი. გადარბენის მონაწილეები დაბინავდებიან ამიერ კავკასიის ქვეითი სკოლის შენობაში.

5 აგვისტოს გადარბენის მონაწილეთა თანდასწრებით შესდგება მიტინგი ერთ-ერთ მუშათა კლუბში. გადარბენის მონაწილეთა შესახვედრათ და მათ მისაღებათ შესდგება მიტინგი ერთ-ერთ მუშათა კლუბში. გადარბენის მონაწილეთა შესახვედრათ და მათ მისაღებათ დაწყებული წინასწარი მუშაობა დამთავრებულია.

გადარბენის მონაწილეთა გამოსვლის დროს საქ. სამხედრო გზატკეცილის მთელ მანძილზე შეჩერებული იქნება გზის შესაკეთებელი სამუშაოები და ყოველგვარი მოძრაობა (ავტომობილების, ურმების, ქვეით-ხალხის და საქონლის) იწარმოებს გზის მარჯვენა მხარეზე, ხოლო მარცხენა მხარე მთელი დღის განმავლობაში დატოვებული იქნება თავისუფალი, რომ გადარბენაში მონაწილე მანქანების სისწრაფე არაფერმა დააბრკოლოს. გზის ყველა საფრთხის ადგილებზე დაყენებული იქნებიან გზის მუშები სათანადო გამაფრთხილებელი ნიშნების მისაცემად.

მცხეთაში, დუშეთში, ანანურში, ფასანაურში და ყაზბეგში დღის განმავლობაში გამოყვანილი იქნება ცხენოსანი მილიცია გზატკეცილზე წესრიგის დასაცავად. ამავე პუნქტებში და ფინიშთან მოეწყობა აგრეთვე სასწრაფო სამკურნალო დახმარების პუნქტები.

გადარბენისათვის დაწყებულ მოსამზადებელ მუშაობის შესამოწმებლად კავკავში მიემგზავრებიან ამიერ-კავკასიის გზატკეცილების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. აზარნოი, ხოლო ფასანაურში მიემგზავრება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ამხ. საჯაია.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 2 აგვისტო.

დღეს, 2 აგვისტოს, გადაცემას აწარმოებს ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა პროფკავშირის სტუდია.

პარასკევი, 3 აგვისტო.

ხვალ, 3 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტებები რუსულ ენაზე.

საბჭოთა მეურნეობის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში—მოხს. ქართულ ენაზე.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—მოხს. რუსულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

საბჭოების მუშაობისა და საბჭოთა დემოკრატიის შესახებ—მოხს. თურქულ ენაზე.

პარტიის მეორე ყრილობა—მოხს. თურქულ ენაზე.

რადიო-გაზეთი—ოსურ ენაზე.

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.

კონცერტი ან ტრანსლიაცია.

მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 2 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან უნდა გამოცხადდნენ: ნიკოლოზ ბეჟენცოვი; ლიუბა ცეცხლაძე; დონიკ მურადიანი; გიორგი კასრაძე; ნიკოლოზ დიგტერიოვი; სურენ ჯიკარდიანი; ლეონ ვარძიელი; ნიკოლოზ გულიევი; კონსტანტინე ჭიჭინაძე და არამ მუნიატოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ვლადიმერ მჭედლიშვილი; გაბრიელ რატიშვილი; ლეონიდ ბაბიჭაშვილი; სერაფიონ ბუკია; თამარ ჩხაიძე; ნუნუ თაგაიშვილი; ეკატერინე მატკავა; თამარ შალიკაშვილი; ლიუდმილა ნარიმანოვა; ეკატერინე გულნიკოვა; ლიუბა ლავროვა; ლიუსია ტანდილიანი; მარიამ ებანოიძე; სოფიო ჩიქოვანი; ელენე კორგანოვა; ალექსანდრე ნაუმენკო; ნინო ადამოვა; ნადეჟდა ხვედელიძე; ელენე ბოლოტინა; თამარ ფოფხაძე; ბარბალე სომხიაშვილი; პლატონ ბარამიძე; გიორგი რამიშვილი; ნინო რუდანოვსკაია; მარიამ ციციშვილი; ელენე ჩიტოშვილი; სიმონ კოპაძე; პორფირე ნადარაია; ვარლამ ჭირაქაძე; ივანე ლიფიდიანი; ნიკოლოზ ეჯიზანდი; ვასილ ჩიქოვანი; ვერა ბანგელოვიჩი; თამარ მამისარაშვილი; თამარ ხოსიტაშვილი; გიორგი მეძმარიაშვილი; ალექსანდრე გაბუნია; ვასილ მანჯავიძე; რომან აბუევი; ჯაბო ყაჭეიშვილი; ოლღა ჩიქვანია, თამარ ახალაძე; ევგენია ლაზარევა; ალექსანდრე ყანჩაველი; ნინო ცინცაძე; თამარ ნანეევა; ნადეჟდა ბახტაძე; თამარ ნათიძე; თამარ ქუონია; იულია ცოტაძე; თამარ ბზიკაძე; მარიამ მჟავანაძე; და ნინო ჯალალიშვილი.

მშენებელთა სექციიდან: ოსიპოვი; ვარდოვი; არუთინოვა; ანდრიასოვი; კოვერგინი; ტკაჩენკო; ეიტიბროვი; მირზოევი და ტამრაზოვი.

იურიდიული დახმარება

[illegible]

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

მამა ჩემი მსახურობდა სამხედრო [illegible] გარდაიცვალა ისე, რომ მას მიუღებელი დარჩა 1924 წ. უკანასკნელი 4 თვის ჯამაგირი. გამოუცდელობის გამო აქამდე ეს ფული ვერ ავიღეთ. შეგვიძლია თუ არა აღვძრათ ახლა ეს საკითხი, და, თუ შეგვიძლია, ვის უნდა მივმართოთ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

გადაცილებული ვადის აღსადგენად უნდა აღძრათ სარჩელი ხელფასის გადახდევინების შესახებ და მასთანა ერთად, აღნიშნავთ რა ვადის გადაცილების მიზეზებს, სთხოვთ სასამართლოს, სამოქ. სამ. 49 მუხ. თანახმად, ვადის აღდგენას.

ივანე ლორიას

1) ვარ შრომის ინვალიდი 1926 წ. მინდა სადმე ქალაქ-ადგას ვიცხოვრო, სოფელში მაქვს ერთი სამოსახლო, სახლი და ცოტა ხეხილიც. მაქვს თუ არა უფლება გადავცე ვისმეს ჩემი სამოსახლო საცხოვრებელი ბინა და იქედან ავიღო ცოტა რამე ფულათ.

2) როგორც შრომის ინვალიდი, ვირიცხები დამზღვევ სალაროს ხარჯზედ. ვალდებულია თუ არა იგი აღმომიჩინოს სანატორიული სა-

სახლის გაყიდვა შეგიძლიათ მხოლოდ იმ პირობების დაცვით, რაც ნაჩვენებია მიწის კოდექსის 23 მუხ.

სანატორიული წამლობის უფლება თქვენ არა გაქვთ.

ცინცაძეს

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

ვმსახურობ ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის სამუშაოთა წარმოებაში საწყობის გამგის თანაშემწეთ. ვარ დაზღვეული და მასთან პროფკავშირის წევრი 1926 წლიდან. მაქვს თუ არა უფლება მივიღო დახმარება დაზღვევის ორგანოებისაგან. ავადმყოფობით გაცდენილი დღეებისა, მშობიარობისა და რძის ფული, რომელზედაც ადგილობრივი დამზღვევი სალარო უარს მეუბნება როგორც აღმშენებლობაში მოსამსახურეს. ვრცელდება თუ არა აღმშენებლობის მუშა - მოსამსახურეებზე ა.-წ. 3—იანვრის დადგენილება საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოსი.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ:

დროებითი დებულება იმ დახმარების შესახებ, რასაც აძლევენ სოციალური დაზღვევის ორგანოები, უნდა გავრცელდეს საამშენებლო მუშა - მოსამსახურეებზედაც.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პარ. (ბ) საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. **სოლიკო თოდრიას** სამი დღის ვადაში გამოცხადდეს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. № 24, მესამე სართული, ოთახი № 11).

—:—

დღეს, 2 აგვისტოს, დილის 11 საათზე საქ. კომ. პარ. (ბ) ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში დანიშნულია კომისიის სხდომა.

სხდომას უნდა დაესწრონ ამხ. **მამია ორახელაშვილი, კაიტანჯიანი, მიქიშვილი, (სახელგამი) შახნაზაროვი და დემეტრაძე.**

—:—

დღეს, 2 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგება ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება შემდეგ თემაზე: პროფკავშირების კულტურული მუშაობის ნაკლულოვანებანი და ამოცანები.

სავალდებულოა დაესწრონ: საქპროფსაბჭოს პრეზიდიუმის, კავშირების ცენტრალურ გამგეობათა და კლუბების გამგეობათა წევრები და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების კულტკომისიების თავმჯდომარენი.

მოწვეული არიან: პარტიისა და კომკავშირის რაიკომების აგიტპროპმუშაკები, უჯრედების აგიტპროპორგანიზატორები და თბილისის ყველა გაზეთების მუშკორები.

—:—

დღეს საღამოს 7 საათზე საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნება ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი.

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო**	1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო ეთერი	ნიკოლოზ კოლინი მხატვრულ სურათში **საყვარელი მანქანალა**	
საზაფხულო დარბაზი	ახალი სურათი **ჭირვეული დედაკაცი**	რუფ კლიფორდის მონაწილეობით.
საზაფხულო პალასი	საინტერესო კინო-რომანი **რობინზონ კრუზო**	3 და 4 სერია
პროლეტარი ავლაბარი	**„ამერიკელი ქალის თავგადასავალი“** 5 და 6 სერია	

ანონსი. ამ დღეებში კინო ეთერში მხატვრული სურათი „დიდ ქალაქში“ 0—50

აღმშენებელთა კავშირის კლუბი
პლეხანოვის პროსპ. 65

შაბათს 4 აგვისტოს

ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების საკონცერტო ბიურო

ლენინგრადის სახელმწ. აკადემიური ბალეტის პრემიერის პრიმა-ბალერინის, რესპ. დამსახურ. მსახიობ

ელენე მიხეილის ასული ბორის ვასილის-ძე

ლიუკომის და შავროვის

პირველი გასტროლი. ვიოლონჩელისტ ცომიკეს და სახ. ოპერის მსახიობ ოვჩარენკოს მონაწილეობით. როიალთან: ა. შვარცი. ფასები ჩვეულებრივია.
დაწყებულია წინასწარი ბილეთების გაყიდვა. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ნ. 1449. გამგეობა.

ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი
დღეს, 2 აგვისტოს

სიმფონიური კონცერტი
ნ. ზ. ხეიფეცის ხელმძღვანელობით

და სოლისტის ე. კაპელნიცკის მონაწილეობით. პროგრამაში: მიასკოვსკი, ლისტი, ბრუხი.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ბაღში კინო. სიმფონიურ კონცერტისათვის აღებული ბილეთები გამოდგება კინოსთვისაც. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 3 აგვისტოს, მედსანშრომის მუშაკთა კლუბში

5 აგვისტოდან გაიმართება ცნობილი დირიჟორის ხესინის გასტროლები. ნ. 1436

ქ. ონსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება სახელგამის განყოფილებაში
ამხ. ს. ბერიშვილთან
5—3. მთავარი კანტორა

ბაღდადის და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებული
ალექსანდრე აბულაძე
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში) საშემოდგომო მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 8—1 ს., 2—6 ს. ერთ მოწაფეს არ უხნეს 15 წლისა. ვღებულობთ სრულ კმაყოფაზე და ბინით. 4—1 3189

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ქ. ჭრებალოში და მის რაიონში
გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები
მიიღება საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ
ამხ. კოტე ცხვედიანთან
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ქალ. ქუთაისში
გაზ. „კომუნისტ“-ზე ხელისმოწერა
ბინაზე მიტანით მიიღება კონტრაგენტ
მინა ტყაბლაძესთან
როზა ლიუქსემბურგის ქ. № 64
6—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქ. თბილისის მე-4 უბნის სასამართლოს აღმასრულებ.
ა. გიორგაძე
ამით აცხადებს, რომ ის 8 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3, რომელიც მდებარეობს კალინინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მოქ. ნიკოლოზ სიმონიანცის მოძრავ ქონებას: დიდ ბუფეტის შკაფს, მუხის ხის, მარმარილოს დაფით, შეფასებულს 300 მანეთად, მოქ. მარგარიტა სიმონიანცის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმას. საქ. ოლქის სასამართლოსაგან 14 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 28056 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3185

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 6 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 რუსის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის მიხეილ თანდილაშვილის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა ხარისხის ღვინოებს და საყინულეებს შეფასებულს 295 მანეთად, მოქ. ბეროშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. შრომის სახალხო სასამართლოსაგან 27 ივლისს 1928 წ. თარიღით, № 3132 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3188

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი
შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კლარა ცეტკინის ქ. № 77 (ყოფ. ელისაბედის ქ.) ფოსტის გვერდით. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. 13 მარტის № 1, ცირკულიარისა, აღმინგანის მმაჩის ბიურო აცხადებს, რომ მოქ. ანა იოსების ასულმა არაქელოვისამ და მისმა შვილებმა სოლომონ ესტატეს-ძე, ნინო ესტატეს ასულმა და მიხეილ ესტატეს-ძე არაქელოვებმა თავისი გვარი გამოიცვალეს ახალ გვარზე არახელაშვილზე.
მმაჩის ბიუროს გამგე
პ. შარაშენიძე
3119

საქართ. ჭრა-კერვის მრეწველობის სააქციო საზ-ბა „მკერავი“-ს დასკვნითი ბალანსი

1-ლ ოქტომბრისათვის 1927 წ.

აქტივი.

ანგარიშების დასახელება		ჯამი მან. კაპ.	%%
I. ქონება		36.244—41	20,77
II. მასალა დასამუშავებლად		38.321—80	21,96
III. დაუმთავრებელი წარმოება		18.702—93	10,72
IV. ნამზადი საქონელი		31.352—08	17,97
V. შესრულებული შეკვეთები		176—98	0,10
VI. ნაღდი საშუალებანი			
1. სალარო	1.261—30		
2. სახელდახელო ანგ. ბანკ.	6.238—55	7.499—85	4,30
VII. სამისალებო თამასუქები და საბუთები			
1. სამისალებო თამასუქები პორტფელში	3.483—41		
2. ანგარიშ. სავალდ. თანხები	22—88	3.506—29	2,13
VIII. გაუნაღდებელი საკუთარი აქციები		16.000—00	9,16
IX. დებიტორები			
1. შემკვეთელები და მყიდვ.	8.031—67		
2. მომწოდებლები და მონარდენი	5.528—		
3. სხვადასხვა პირნ. და დაწესებ.	832—93		
4. მუშა-მოსამსახურენი	4.742—72		
5. საეჭვო დებიტორები (პროტესტ. ქმნ. თამას.)	2.221—82	21.357—14	12,13
X. აღმშენებლობა და კაპიტალ. შეკეთება		814—46	0,47
XI. მომავალი წლის ხარჯები		500—00	0,29
ბალანსი . . .		174.475—94	100%

პასივი.

ანგარიშების დასახელება		ჯამი მან. კაპ.	%%
I. თანხები			
1. საწესდებო:			
ა) ძირითადი	70.000—		
ბ) სათადარიგო	30.000—		
2. საამორტიზაციო	2.879—47	102.879—47	58,96
II. რეზერვი საეჭვო ვალების დასაფარავად		1.110—91	0,65
III. კრედიტორები			
1. შემკვეთელები და მსყიდველები	16.741—85		
2. სხვადასხვა პირ. დაწესებულებ.	22.049—22		
3. მუშა-მოსამსახურენი	1.632—	40.423—07	23,17
IV. შედეგი			
მოგება საანგარიშო წელს		30.062—49	17,22
ბალანსი . . .		174.475—94	100%

ბალანსის გარეშე მუხლები

1. მიღებულია სხვადასხვა მასალა „ვხოდან“	74.491—99
1. შემკვეთელები და მსყიდველ. „ვ. ხ. ო.“	74.491—99

მოგება ზარალის ანგარიში

1. სავაჭრო ხარჯები	6.702—54
2. ფასების დაკლება გაუვარგისებელ საქონელზე	2.340—96
3. ქონების, საქონლის და მასალის დანაკლისი	932—48
4. ზარალი ვაჭრობის განაცდენით	1.025—03
5. უიმედო ვალების ჩამოწერა	5.344—29
6. რეზერვი საეჭვო ვალების დასაფარავად	1.110—91
	17.456—21
წმინდა მოგება	30.062—49
ბალანსი. . .	47.518—70

1. მოგება ნამზად საქონლის რეალიზაციიდან და შესრულებულ შეკვეთებიდან	28.421—80
2. საქონელის გადაფასებით	6.961—04
3. ქონების, საქონლის და მასალის ზედმეტობა	2.998—31
4. სხვადასხვა შემოსავალი	9.137—55
ბალანსი. . .	47.518—70

სააქც. საზოგ. „მკერავი“-ს გამგეობის თავმჯდომარე რ. დუმბაძე.
გამგეობის წევრი, დირექტორი—განმკარგულებელი დ. მახარაძე
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მ. ბასილია.
მთ. ბუხჰალტერი ვ. თამარაშვილი.

მოგების განაწილება

მოგება 30.062—49 კაპ. საშემოსავლო გადასახადის 10 %-ს მან. 3.006—25 კაპ. გამოკლებით განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურ. ყოფა ცხოვრების გაუმჯობესების 10 %	მან. 2.705—62 კაპ.	
2. სარეზერვო ფონდში (27.056—24) 20%	მან. 5.411—35 კაპ.	
3. საწარმოთა ხელმძღვან. პერს. წამახ. ჯილდოს ფონდში 0,25%	მან. 67—64 კაპ.	
4. დივიდენტი აქციონერებს 69·75 % —18.871—73 დაყოფილია შემდეგნაირად:		
ა) თბ. კომბანკს	მან. 2.246—63 კაპ.	
ბ) თბ. აღმასკომს	მან. 5.616—59 კაპ.	7.863—22
გ) ხაზინაში შესატანია		11.008—51

ეს ბალანსი დამტკიცებულია განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად 28 აპრილს 1928 წ. (№ 2 ოქმი).
ნ. 1446

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი შოთა ცაბაძის სახელზე, ჩ. გ. 3191

კბილის ექიმი
დ. ს. რიქინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათად. 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე

ლოგოპედი
ტ. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
მისამართი: კ. ცეტკინის ქუჩა № 132

დაკარგა: ატესტატი № 433, 1904 წლ. 29 მაისის თარიღით გაცემული ხონის სასტატო სემინარიის მიერ ვლადიმერ მიხეილის-ძე კოვზირიძის სახელზე, ჩ. გ. 3187

დაკარგა: კავშირის წიგნაკი № 12219 გაცემული საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირის მიერ იასონ ვაწაძის სახელზე, ჩ. გ. 3184

დაკარგა: კავშირის საწევრო წიგნაკი № 176331 გაცემული მბეჭდავთა კავშირის ც. გ. მიერ გიორგი ივანეს-ძე ზუბარიოვის სახელზე, ჩ. გ. 3182

დაკარგა: შუშისა და ნავთის მოთხოვნილების ფურცელი გაცემული ამ.-კ. რკ. გზ ს სამმართველოს მიერ და შუშის საფ. სო ფულის—13 მან. გადახდის საბუთი № 1349 გაცემული პაპ აშვილის სახელზე ჩ. გ. 3112

დაკარგა: ინვალიდობის მოწმობა და საღრიცხვო ბარათი ილიკო გიორგის-ძე ლოლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3188

დაკარგა: მეტრიკული ამონაწერი № 931 სერგო ივანეს-ძე კიკნაძეს სახელზე, ჩ. გ. 3186

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.